ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში

საბოლოო ანგარიში

2017

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

UN WOMEN | Sweden/შვედეთი Sverige | UNFPA | UNDP Empowered lives. Resilient nations.

unicef for every child

NCDC
NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

PROMUNDO

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში

საბოლოო ანგარიში

2017

ავტორები და კონტრიბუტორები

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი:

ლ. შენგელია
ლ. სტურუა

Promundo-US

ტ. პ. გუპტა
ა. ტეილორი
ჯ. ლაურო

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პარტნიორების მხარდაჭერით: გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა.

რეკომენდაციები შემუშავდა კვლევის საწყის მიგნებებზე დაყრდნობით ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრევენციის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც კოორდინაციას უწევს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და შვედეთის მთავრობის მოსაზრებებს.

კვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართეთ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

საქართველო, თბილისი 0177, ასათიანის ქ. 9
ტელ.: (995 32) 239 89 46
e-mail: ncdc@ncdc.ge

ISBN 978-9941-27-966-9

ანგარიში დაიბეჭდა: შპს თეგი

გარეკანის კონცეპცია: ForSet

© UNFPA, UNICEF

ციტირების ნიმუში: გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2018). „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში" - თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში. თბილისი, საქართველო და ვაშინგტონის ოლქი, აშშ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, Promundo-US, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

მადლიერების გამოხატვა

2017 წლის კვლევა საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის შესახებ განხორციელდა საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ Promundo-US თან თანამშრომლობით და გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უხელმძღვანელა და მეთვალყურეობა გაუწია საველე სამუშაოების პროცესს, ხოლო Promundo-US-მა უზრუნველყო ტექნიკური დახმარება კვლევის დიზაინისა და კითხვარის შემუშავების, მონაცემთა დამუშავებისა და ანგარიშის შედგენის პროცესში. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და Promundo-US მადლობას უხდიან ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის განხორციელებაში და წინამდებარე ანგარიშის მომზადებაში.

გვსურს, ღრმა მადლიერება გამოვხატოთ ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის/გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის ქალბატონი სოფიო ჯაფარიძის მიმართ მისი მხარდაჭერისა და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრევენციის საკითხზე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობაში დახმარებისთვის. სწორედ ამ ჯგუფში განიხილებოდა და თანხმდებოდა კვლევასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, პროცესი და მისი თავდაპირველი შედეგები. გარდა ამისა, ჯგუფმა შეიმუშავა საჯარო პოლიტიკისა და ოპერაციული რეკომენდაციები კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით შვედეთის მთავრობას, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც, 2012 წლიდან, ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის. სწორედ პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი წინამდებარე კვლევის შესრულება.

დიდი მადლობა გაეროს ბავშვთა ფონდს ტექნიკური და ფინანსური დახმარებისთვის, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში.

უღრმესი მადლობა გაეროს მოსახლეობის ფონდის გუნდს საქართველოში - ლელა ბაქრაძეს, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს, მარიამ ბანძელაძეს, გაეროს ერთობლივი პროგრამის კომპონენტის მენეჯერს, სალომე ბენიძეს, კომუნიკაციის ანალიტიკოსს და მარიამ ხოჭოლავას - კომუნიკაციის ასისტენტს/ახალგაზრდული პროგრამებისს კოორდინატორს. ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის გუნდს - „იუნისეფის“ წარმომადგენელს საქართველოში ლაილა ომარ გადს, სოციალური პოლიტიკის სპეციალისტს თინათინ ბაუმს, სოციალური დაცვის კონსულტანტს თეა ჯამასპიშვილს, კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელს, მაია ქურციკიძეს, სოციალური პოლიტიკისა და კომუნიკაციის პროგრამის ასისტენტს ნინო ძოწენიძეს მათი მხარდაჭერისა და ფასდაუდებელი წვლილისთვის.

თუმცა, ყველაზე დიდ მადლობას მაინც იმ ადამიანებს ვუხდით, რომელთა მონაწილეობით შესაძლებელი გახდა სანდო ინფორმაციის მოგროვება და საქართველოში საზიანო პრაქტიკის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევა. მადლობლები ვართ ჩვენი ინტერვიუერების და მონაცემებზე მომუშავე გუნდისა ანგარიშის მომზადების პროცესში გამოვლენილი ერთგულების, დისციპლინისა და პროფესიონალიზმისთვის.

ანგარიში მოამზადეს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა და Promundo-US-მა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები თითქმის არ წარმოადგენდა საჯარო დისკუსიისა და პოლიტიკის დონეზე განხილვის საგნას საქართველოში - ქვეყანაში, სადაც ქალების 14 პროცენტი 18 წლამდე ასაკში ქორწინდება[1], რაც ევროპაში ადრეული ქორწინების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება განისაზღვრება, როგორც იმ პირთა ოფიციალური თუ არაოფიციალური კავშირი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც თვრამეტ წლამდეა. ეს არის ფენომენი, რომელიც მძიმედ აისახება როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ცხოვრებაზე. თუმცა მას გენდერული განზომილებაც აქვს, რადგან განსაკუთრებულად მძიმე გავლენას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონებზე ახდენს, რომლებსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევთ მათი უფლებების დარღვევის შედეგები. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების, როგორც ადამიანის უფლებების შემლახავი იმ პრაქტიკის უგულებელყოფამ, რომელიც მოითხოვს ყურადღებასა და რესურსებს პოლიტიკისა და სერვისების მიწოდების დონეზე, ამ სფეროს კვლევაში სერიოზული ჩავარდნები გამოიწვია. თუმცა ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მცირე, მაგრამ ინფორმაციულმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ეს პრაქტიკა არ არის დაკავშირებული მხოლოდ ტრადიციებთან და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან, როგორც თავდაპირველად იყო მიჩნეული: იგი გენდერული უთანასწორობის ფართო ტენდენციებს ასახავს.

მიუხედავად პროგრესისა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი უკანასკნელ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელებისთვის, რაც მტკიცე პოლიტიკურ მხარდაჭერას მოითხოვს. ამ კონკრეტულ პრობლემაზე მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მცირე ჯგუფი მუშაობს, რაც განაპირობებს კვლევების მწვავე დეფიციტს და მხოლოდ ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის საზიანო პრაქტიკების მასშტაბის შესახებ. წინამდებარე კვლევა დროული ნაბიჯია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების სიღრმისეული შესწავლის მიმართულებით, როგორც გეოგრაფიულად (ეროვნულ დონეზე), ასევე საკვლევი კოჰორტის ზომის გამოც.

საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების კომპლექსური ხასიათისა და მასთან დაკავშირებული უთანასწორო გენდერული ნორმების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, 2017 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდმა, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობასთან ერთად და Promundo-თან პარტნიორობით, განახორციელა მასშტაბური კვლევა, რომლის მიზანია, გამოავლინოს, თუ რას ეფუძნება საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის მიმართ არსებული დამოკიდებულებები, ნორმები და პრაქტიკა და გამოკვეთოს ის რისკები და შესაძლებლობები, რომელიც თან ახლავს ამ პრობლემის გადაჭრას. კვლევის ფარგლებში ყურადღება იმ მსგავსებებსა და განსხვავებებსაც მიექცა, რომელიც რეგიონებს სოფელსა და ქალაქს, ეთნიკურ ჯგუფებს, ასევე სხვადასხვა ენობრივ და რელიგიურ ჯგუფს შორის არსებობს. კვლევის ძირითადი კითხვები იყო:

[1] ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010 წელი

- რა არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები და მისი შედეგები?
- როგორი დამოკიდებულება, შეხედულებები, სოციალური ნორმები და პრაქტიკა არსებობს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ირგვლივ და როგორ მოქმედებს ისინი?
- რა რისკები და დაცვის ფაქტორები არსებობს ქვეყანაში ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით?
- როგორია ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა საქართველოში?

მეთოდოლოგია. თვისებრივი მონაცემები შეგროვდა საქართველოს 10 რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში და ქვეყნის დედაქალაქში: თბილისში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში. ამგვარი მიდგომა მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული სამი ძირითადი ენობრივი და მოსახლეობის უმრავლესობის/ეთნიკური ჯგუფების - ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების - წარმოდგენას კვლევაში. მონაცემთა შეგროვებისთვის შეირჩნენ პირები, რომლებისთვისაც ეს ენები მშობლიურია. წინასწარი დაგეგმვის ფარგლებში ჩაიწერა თორმეტი ინტერვიუ მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან თვისებრივი კვლევის პროტოკოლების შემუშავების მიზნით. პროტოკოლების საბოლოო ვერსიაში აისახა მკვლევართა თითოეული ჯგუფის პარტნიორებისა და მონაცემთა შემგროვებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, აგრეთვე კვლევითი ინსტრუმენტების სატესტო გამოყენების შედეგები. ცალკე თვისებრივი პროტოკოლები შემუშავდა თითოეული საკვლევი ჯგუფისთვის, რომელშიც შედიოდნენ:

(1) დაქორწინებული გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34;

(2) დაუქორწინებელი გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17;

(3) დაქორწინებული ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34;

(4) დაუქორწინებელი ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17;

(5) დაქორწინებული წყვილების ოჯახის წევრები;

(6) სხვა პირები (მასწავლებლები, ექიმები, სკოლის ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), გადაწყვეტილების მიმღებები, აგრეთვე ადგილობრივი თემის და რელიგიური ლიდერები.

კვლევის საბოლოო ნიმუშში შევიდა 342 მონაწილე, ჩატარდა 99 ჩაღრმავებული ინტერვიუ, 35 დისკუსია ფოკუსჯგუფში და 12 ინტერვიუ მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან და ფოკუსჯგუფის მონაწილეებიდან 213 იყო ქალი, ხოლო 117 მამაკაცი. მონაწილეთა უმეტესობა თბილისიდან იყო (n = 86), შემდეგ მოდიოდა აჭარა (n = 46) და ქვემო ქართლი (n = 43). ნიმუშში წარმოდგენილი იყო ოთხი ეთნიკური ჯგუფი. გამოკითხულებიდან ყველაზე მეტი, 221 - ქართველი იყო, 52 - აზერბაიჯანელი, 36 - სომეხი, 14 - ავარი, და 7 - ქისტი. რაც შეეხება ნიმუშში ასაკობრივ განაწილებას, ყველაზე მეტი რესპონდენტი იყო 15-დან 17 წლამდე ასაკის (n = 100).

ძირითადი მიგნებები

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელების მასშტაბი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებული მოვლენაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, დედაქალაქის - თბილისის - ჩათვლით. მონაწილეებისა და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება მხოლოდ სოფლად და ეთნიკური

უმცირესობების ჯგუფებში გვხვდება, თუმცა კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ეს შეხედულება მიკერძოებულია და შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ასაკად 13, 14 და 15 წლები სახელდება, განსხავებით ძირითადი მოსახლეობისგან, სადაც ადრეული ქორწინების ასაკი უფრო 16 და 17 წლებია. ზოგიერთ სამიზნე ადგილას აგრეთვე ნახსენები იქნა ქორწინება მოტაცებით. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებული მოვლენაა, რესპონდენტები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ამ ფენომენის მიმართ და ხაზს უსვამდნენ, რომ ქორწინება, რომელიც ძალადობრივია და არ ითვალისწინებს ბავშვის მოსაზრებებს, თანხმობას და შეხედულებებს, უფრო ხშირად წარსულში ხდებოდა. შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა გენდერული განსხვავებები. მაგალითად, გამოკითხულები უფრო უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიმართ, როდესაც ის ეხებოდა ბიჭებს და არა გოგონებს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მასშტაბისა, არსებობს ამ პრაქტიკის არასწორი აღქმა, მაგალითად, ის, რომ ადრეული ქორწინება უფრო გავრცელებულია სოფლად ან ის, რომ თუ ქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული მოზარდის აზრი, მხოლოდ ამგვარი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებად.

მოზარდთა უფლებამოსილების როლი. როგორც გამოკითხულმა გოგონებმა, ასევე ბიჭებმა, მიუთითეს, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკა შეიცვალა. ახლა გოგონებსაც და ბიჭებსაც მიაჩნიათ, რომ მეტი არჩევანი აქვთ და მეტად ეთქმით სიტყვა მათი მშობლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ჰყავთ პიროვნება, რომელიც უყვართ. თუმცა ეს უფრო მეტად ეხება ბიჭებს, ვიდრე გოგონებს, რომლებიც, ზოგიერთის აზრით, განიცდიან ზეწოლას - მათგან მოითხოვენ დაქორწინებას საკუთარი არჩევანის მიუხედავადა. ამ ტენდენციას ხსნის ის ფაქტორიც, რომ ოჯახური ნორმები უფრო შემწყნარებელია ბიჭების, ვიდრე გოგონების მიმართ, როდესაც ისინი ღიად გამოხატავენ საკუთარ არჩევანს პარტნიორთან დაკავშირებით.

სამიზნე ადგილების მიხედვით, განსხვავებული შედეგები გამოიკვეთა მშობლების თანხმობის მნიშვნელობასთან და გავლენასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა აზრითი, დიდი ალბათობით, ახლადდაქორწინებულ მოზარდებს მშობლებთან უწევთ ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალგაზრდების ოჯახები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან. აღსანიშნავია, რომ მამები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით გოგონების შემთხვევაში, ვიდრე დედები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამდნენ. უნდა ითქვას, რომ უფლებამოსილების საკითხის კომპლექსური როლი და მისი ნიუანსები, არჩევანისა და თანხმობის ცნებებთან ერთად, საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რათა შესწავლილი იქნეს მისი გავლენა და ვარიაციები ქართულ კონტექსტში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წნეხის და გავლენის შესაფასებლად, რასაც გოგონები განიცდიან შეზღუდული შესაძლებლობებისა და ალტერნატივების ნაკლებობის ფონზე.

მოწიფულობაში გადასვლა: ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა. რეგიონებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგებიდან ირკვევა, რომ მოწიფულობაში გადასვლა არ აღინიშნება რაიმე კონკრეტული რიტუალით. თუმცა 7-12 წლამდე ასაკის ბიჭებს მუსლიმურ თემებში უტარდებათ წინადაცვეთა. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა არ ხდება, თუმცა უმეტესობას სმენოდა ამგვარი პრაქტიკის შესახებ ინტერნეტიდან ან

ტელევიზიიდან. ხანდაზმულმა ავარმა ქალებმა განაცხადეს, რომ მათ ყველას ჩაუტარდათ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა, განსაკუთრებით კი მისი Ia ტიპი, რაც ითვალისწინებს მხოლოდ კლიტორის ნაწილობრივ კვეთას. თუმცა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის არ იყო ცნობილი ამგვარი შემთხვევების შესახებ, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის შემთხვევების შესაძლო შემცირება შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ სამართლებრივი სანქციების შემოღებას, რის გამოც პროცედურები შესაძლოა საიდუმლოდ/დაფარულად ტარდებოდეს. მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ერთმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მას გაუგია ამგვარი შემთხვევის შესახებ. სხვა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევების კლება შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ ქალი, რომელიც ამ პროცედურას ატარებდა სოფელში, გარდაიცვალა.

მონაცემების მიხედვით ძნელია იმის გარკვევა, ახდენს თუ არა რესპონდენტთა პასუხებზე გავლენას საზოგადოებრივი აზრი, კერძოდ, ის, რომ მათ ბევრი ადამიანისგან სმენიათ იმ ზიანის შესახებ, რომელიც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებას/კვეთას მოსდევს. ეს ელემენტები უნდა იქნეს გათვალისწინებული სამომავლოდ იმ კვლევისას, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის მრავალრიცხოვან მუსლიმ მოსახლეობას და მათ რწმენას, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალია, საგანგაშოდ გამოიყურება ამ პრაქტიკის შესახებ საქართველოში კვლევისა და მონაცემების სიმწირე. მონაწილეები ან უარყოფდნენ, რომ ამგვარი რამ ჯერ კიდევ ხდება, ან ამბობდნენ, რომ ეს ფენომენი წარსულში დარჩა და ახლა აღარავინ მიმართავს. თუმცა არსებობს იმის ალბათობა, რომ პრაქტიკას ახლა მალულად მისდევენ.

გზა ქორწინებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებათა უმეტესობა ნიშნობით იწყება, გამოკითხულებში დაფიქსირდა ნიშნობის გარეშე ქორწინების რამდენიმე შემთხვევა. როდესაც წყვილი ინიშნება, ეს თითქმის ყოველთვის მთავრდება ქორწინებით. იმ შემთხვევებში, როდესაც ნიშნობა ჩაიშალა, არსებობდა წყვილის სტიგმატიზაციის ნიშნები, რაც შესაძლოა ხსნიდეს, თუ რატომ დააჩქარეს დანიშნული წყვილის ქორწინება დანიშვნიდან მალევე ზეწოლის გამოყენებით. როდესაც საქმე ეხება წყვილს შორის ასაკობრივ სხვაობას, მონაწილეები და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები უფრო მეტად თანხმდებიან იმაზე, რომ ჩვეულებრივ, პატარძლები ორი-სამი წლით უმცროსები არიან სიძეებზე, განურჩევლად იმისა, ძალდატანებითია (ბავშვის თანხმობის გარეშე) თუ ნებაყოფლობითი ქორწინება. რესპონდენტთა თქმით, ასაკობრივ განსხვავებას განაპირობებს ისეთი ნორმები, რომლებიც უკავშირდება ნაყოფიერებას (გოგონების შემთხვევაში) და ოჯახის უზრუნველყოფის ვალდებულებას (ბიჭების შემთხვევაში). ეს ტენდენცია საჭიროებს *პროგრამული ზომების მიღებას, რათა აღმოიფხვრას უთანასწორო ნორმები, რომლებიც აძლიერებს მამაკაცის, როგორც ოჯახის ექსკლუზიური მარჩენალის, და ქალის, როგორც მზრუნველის, როლს. გარდა ამისა, საჭიროა დამატებითი კვლევა იმისა, თუ როგორ განსხვავდება ქორწინება და მისი გაგება საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა თემში, იმის გათვალისწინებით, რომ საქორწინო ცერემონიები ხშირად შეიძლება იყოს თემში სოციალური მდგომარეობის გამყარების გზა, რაც ბევრ იმ სხვა ადგილს ახასიათებს, სადაც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებული პრაქტიკაა.*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ფაქტორები. ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში განხილვის შედეგად გამოვლინდა საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების რამდენიმე გამომწვევი ფაქტორი. ამ ფაქტორებიდან ხში-

რად სახელდებოდა ის გარემოება, რომ „შეყვარებულ“ ახალგაზრდებს სურთ ადრე დაქორწინება, რასაც რესპონდენტები ახალგაზრდა თაობისთვის დღევანდელ დღეს მინიჭებული მეტი თავისუფლებით ხსნიან. თუმცა სიღრმისეულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე სხვა ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა კი ნორმები, რომლებიც ახალგაზრდებს უზღუდავს შესაძლებლობას, თავისუფლად შეხვდნენ მეგობარ გოგოს/ბიჭს, რის გამოც ისინი გამოსავალს დაქორწინებაში ხედავენ. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ტაბუდადებულ თემას. ამ სიტუაციაში დაქორწინება ის მისაღები გამოსავალია, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, გაიგონ მეტი საკუთარი სექსუალობის შესახებ სტიგმატიზაციის გარეშე. მესამე ფაქტორია მამაკაცურობასთან დაკავშირებული ნორმები, რომელიც ხელს უწყობს ბიჭის, როგორც სექსუალური ქმნილების, იმიჯის განმტკიცებას და ბიძგს აძლევს ბიჭებში სქესობრივი გამოცდილების მოზარდობაშივე მიღების სურვილს. მეოთხე ხელშემწყობი ფაქტორია ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება და ზოგ საკვლევ არეალში თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებისთვის არასაკმარისი სივრცეები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდებს მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით აქვთ ერთმანეთთან კონტაქტი და, შესაბამისად, ცდილობენ, რეალურ ცხოვრებაში დაამყარონ საინტერესო ურთიერთობები.

ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური პრობლემების აღნიშვნა, რომლებსაც კიდევ უფრო ამწვავებს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი. ამ პირობებში ოჯახებისთვის ხშირად ქორწინებაა ყველაზე მისაღები ფინანსური გამოსავალი. მეექვსე ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ნორმები, რომელიც 30 წლის და უფროსი ასაკის დაუქორწინებელი ქალების სტიგმატიზებას ახდენს და მათზე სოციალურო ზეწოლის განხორციელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, უფროს თაობასთან და დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრების ტრადიციამ ასევე წარმოქმნა ის კონტექსტი, სადაც დედამთილს ურჩევნია, ახალგაზრდა რძალი ჰყავდეს, რომელსაც იოლად „გამოზრდის“. და ბოლოს, სხეულის ფორმების ცვლილება ხშირად ის ინდიკატორია, რომელიც განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა გოგონა უკვე ქალად ჩაითვალოს. გოგონები, რომლებიც ადრე მწიფდებიან, უფრო მეტად არიან ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების რისკის ქვეშ. ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობამ და ურთიერთდამოკიდებულებამ შექმნა კონტექსტი, რომელიც ზღუდავს შესაძლებლობებსა და არჩევანს მოზარდებისთვის და ქმნის იმის განცდას, რომ ახალგაზრდები „ირჩევენ“ ადრეულ ქორწინებას, თუმცა შეზღუდული ნებასურვილის პირობებში. ამ ფაქტორებისა და კონტექსტის გათვალისწინებით, ადრეული/ბავშვობის ასაკში *ქორწინებაზე ინსტიტუციური რეაგირება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომლის ძირითადი მიზანი უნდა იყოს გოგონებისთვის სტიმულის მიცემა და მათი შესაძლებლობების გაზრდა და, ამავე დროს, იმ მანკიერი ნორმების შეცვლა, რომლებიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ გოგონების, არამედ მათი ბიჭი თანატოლებისა და მომავალი ქმრების ცხოვრებაზე.*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. კვლევის ფარგლებში ნაკლებად შეგვხვდნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს ძალდატანებით ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებას. თუმცა შეგვხვდა ბევრი დაუქორწინებელი გოგონა, რომლებსაც აქვთ მკაფიო სამომავლო გეგმები და ამ გეგმებში ადრე დაქორწინება არ შედის. კვლევის შედეგებით ნათელი გახდა, რომ საზოგადოება ხშირად ერთმანეთს უპირისპირებს, ერთი მხრივ, ქორწინებას, ხოლო, მეორე მხრივ, განათლებასა და დასაქმებას და მათ ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნევს, განსაკუთრებით გოგონებისთვის. თუმცა რამდენიმე წყვილის მაგალითი, რომლებიც

თანაცხოვრებასთან ერთად სწავლასაც ახერხებენ და მუშაობასაც, ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით აღქმა იცვლება და იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ორივე შესაძლებელია. *შესაბამისად, სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გოგონებისთვის ქორწინებამდე და ქორწინებაში ყოფნისას განათლებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების ოპტიმიზება. ინტერვენციების დროს ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დადებით დევიანტებს, როგორებიც არიან ოჯახის წევრები, თვითონ გოგონები, მამაკაცები, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან გოგონების ოცნებებს და არ აჩქარებენ მათ, და მასწავლებლები და საგანმანათლებლო პერსონალი, რომლებიც მოუწოდებენ გოგონებს, დაასრულონ სკოლაში სწავლა.*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა განათლებაზე. განათლება და ქორწინება, რესპონდენტების უმეტესობის აზრით, ერთი და იმავე ღერძის ორი საპირისპირო პოლუსია და სწორედ ამ ლოგიკით გოგონები, რომლებიც ადრე ქორწინდებიან, ტოვებენ სკოლას. ამგვარი პრაქტიკის ერთ-ერთი მიზეზია იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაბალანსებასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელთა შესრულებასაც დაქორწინებული გოგონებისგან ელიან. საშუალო და უმაღლესი განათლება ბიჭებისთვის უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გოგონებისთვის, რომელთაც სიღარიბე და მასთან დაკავშირებული ფინანსური სიძნელეები ხშირად წინააღმდეგობებს უქმნით საშუალო და უმაღლესი განათლების გზაზე. გარდა ამისა, ქორწინების შემდეგ გოგონების მიერ განათლების გაგრძელების გადაწყვეტილებას ხშირად მათი ქმარები ან დედამთილები/მამამთილები იღებენ.

რესპონდენტთა უმეტესობა თანხმდება, რომ განათლება მნიშვნელოვანია გოგონებისთვის, მაგრამ ძირითადად იმისთვის, რომ შვილების კარგად აღზრდა შეძლონ. თუმცა რესპონდენტთა ნაწილს, განსაკუთრებით, გოგონებსა და ქალებს, უფრო პროგრესული შეხედულებები ჰქონდათ - მათი თქმით, განათლება მნიშვნელოვანია პირადად გოგონებისთვის. ამ რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით იკვეთება, რომ როდესაც გოგონები, მათი ოჯახის და ფართო სოციალური ქსელის წევრები მხარს უჭერდნენ გოგონების განათლებას, იკლებდა ადრეული ქორწინების რისკი ან წარმოიქმნებოდა დაქორწინებული გოგონებისა და ქალების ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობა. კვლევის შედეგები და მიგნებები *ხაზს უსვამს გოგონებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის და განათლების სისტემაში დარჩენის მნიშვნელობას იმ ნორმების აღმოფხვრის მეშვეობით, რომლებიც პრიორიტეტს ბიჭების განათლებას ანიჭებს „გოგონების განათლების ხარჯზე“, ხოლო გოგონების დანიშნულებად მხოლოდ ზრუნვასა და მოვლას მიიჩნევს. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ზრუნვის თანაბარი განაწილება, დასაწყისისთვის კი აუცილებელია იმ ნორმებთან ბრძოლა, რომელთა საფუძველზე ხდება ბიჭებისა და გოგონების სოციალიზება სტერეოტიპული გენდერული როლების შესასრულებლად. პარალელურად საჭიროა გოგონების წახალისება მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და რეალური დასაქმების შესაძლებლობების შექმნით. ამავე დროს, უნდა გაიზარდოს გოგონებისთვის შრომითი ბაზრის ხელმისაწვდომობა და ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოიფხვრას ის დამკვიდრებული გენდერული ნორმები, რომელიც გოგონებს მხოლოდ მზრუნველებად წარმოაჩენს.*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა ჯანმრთელობაზე. გოგონების ოჯახური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს ჯანმრთელობის რისკებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე. კვლევის მონაწილეთა უმეტესობა თანხმდება და აცნობიერებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს, რომელიც თან სდევს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებას, დაწყებული ადრეულ ასაკში

მშობიარობით და დამთავრებული ადრეული ქორწინების თანმდევი ფსიქოლოგიური ტრავმებით. დასახელდა ასევე ნეგატიური შედეგები იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც არასრულწლოვანი დედები ჰყავთ, რისი მიზეზია მოზარდი დედების მიერ განცდილი სხვადასხვა სახის სტრესი. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ დაქორწინებული გოგონები, მათ დაუქორწინებელ თანატოლებთან შედარებით, უფრო ხშირად აკითხავენ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებს, რაც განპირობებულია იმ ნორმების არსებობით, რომელთა მიხედვით ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი გოგონებისთვის სირცხვილად ითვლება. საინტერესოა, რომ ბევრი გამოკითხული, მაგალითად, ახალგაზრდა კაცები და ქალები და რელიგიური ლიდერები, არ ეწინააღმდეგებოდა გოგონების მიერ ქორწინებამდე სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების გამოყენებას, პირიქით, ისინი აღიარებდნენ ამ მომსახურების საჭიროებას. განსხვავდებოდა პასუხები კითხვაზე - უნდა გაჰყვნენ თუ არა ოჯახის წევრები, განსაკუთრებით ქმრები, გოგონებს გინეკოლოგთან ვიზიტისას. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის ახსნისას რესპონდენტები ხშირად ასახელებდნენ უხერხულობას. *შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას. ჯანდაცვის სერვისებში არ იგულისხმება მხოლოდ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და სამეანო მომსახურება, არამედ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები და უფლებებიც, რომლებიც აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც დაუქორწინებელი გოგონებისათვის, ისე დაქორწინებული ქალებისა და გოგონების ქმრებისთვისაც.* ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჯანდაცვის მომსახურების მიღების ქცევის დესტიგმატიზაცია და ამით ჯანდაცვის მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდის ხელშეწყობა, არამედ ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებს შორის დაუქორწინებელი გოგონების, დაუქორწინებელი ბიჭებისა და დაქორწინებული გოგონების ქმრების მიმართ დამოკიდებულების ტრანსფორმაცია.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა გოგონების მობილურობაზე. გოგონების დაქორწინების შემდგომი თანაცხოვრების გამოცდილებას ძირითადად გენდერული ნორმები განსაზღვრავს. რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თუ ქორწინებამდე გოგონები ხშირად იყენებდნენ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მაგალითად, მობილურ ტელეფონსა და ინტერნეტს, დაქორწინების შემდეგ მათი მოხმარება მკვეთრად იზღუდებოდა, ძირითადად ქმრების მიერ. მობილური ტელეფონისა და კომპიუტერის გამოყენების მსგავსად, აღმოჩნდა, რომ დაქორწინების შემდეგ გოგონების მობილურობაც იზღუდებოდა როგორც ქმრების, ასევე მათი მშობლების მიერ. ამგვარი შეზღუდვები განპირობებულია იმ გენდერული ნორმებით, რომლებიც საზოგადოებას უდგენს, თუ როგორი საქციელი ითვლება გოგონებისთვის მისაღებად. ამ ნორმების დაცვა შედარებით მკაცრად მოეთხოვებოდათ ისეთ ქორწინებაში მყოფ ქალებს, სადაც ცოლსა და ქმარს შორის შედარებით დიდია ასაკობრივი განსხვავება. ამგვარ ქორწინებებში გენდერული როლებიც უფრო მკაცრად არის განსაზღვრული. ეს შედეგები ცხადყოფს, რომ როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს გათავისებული აქვთ საზოგადოებრივი ნორმების გენდერული აღქმა, რაც იწვევს არჩევანის და მობილურობის შეზღუდვას გოგონებისთვის დაქორწინების შემდეგ, და მიუთითებს, რომ *ძალზე მნიშვნელოვანია როგორც გოგონების, ასევე ბიჭებისთვის სოციალიზაციის უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ სასიამოვნო და საინტერესო ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება.* დამეგობრების ამგვარი შესაძლებლობების ნაკლებობა არა მხოლოდ ამცირებს ახალგაზრდების შანსს, მიიღონ მრავალფეროვანი გამოცდილება და სტიმული ჩამოყალიბების პროცესში, არამედ ზღუდავს ემოციური დახმარების მიღების შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, როდესაც

საქმე ეხება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ან მეუღლესთან დაშორებას.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა როლებსა და პასუხისმგებლობებზე. ქორწინების შემდეგ როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებაც გენდერულ ნორმებით განისაზღვრება. გადაწყვეტილება ოჯახის ბიუჯეტის, განათლების გაგრძელებისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ უფრო ხშირად ქმრის ან მისი მშობლების პრეროგატივაა. რაც შეეხება ქალის პასუხისმგებლობებს, ისინი ძირითადად იმ ნორმებს ეფუძნება, რომელიც ქალს მომვლელად და მზრუნველად წარმოაჩენს და ავალდებულებს, იზრუნოს მისი შვილების ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. კვლევის მიხედვით, მამები მეტად იყვნენ ჩართულები განათლებაში, ხოლო ბავშვის ცუდად მოქცევა დედას ბრალდებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ურთიერთობა თანასწორობას ეფუძნება. ბევრმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ ოჯახის დაგეგმვა წყვილის პრეროგატივაა. უფრო მეტიც, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ ბავშვის მოვლა თანაბრად ნაწილდება დედასა და მამას შორის. *ეს შედეგები მიუთითებს პოზიტიური დევიანტების გამოვლენის მიზნით მიზნობრივი შინაარსობრივი კვლევის მნიშვნელობაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სამომავლო პროგრამულ სტრატეგიაში. ამ საშუალებით შესაძლებელი იქნება იმ ვარიაციების უკეთ გაგება, რომელიც არსებობს გენდერული როლების ირგვლივ, და იმ ამოსავალი წერტილების მოძებნა და გამოყენება, რომელიც შეებრძოლება მავნე გენდერულ ნორმებს.*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა ოჯახში ძალადობაზე. ოჯახში ძალადობის ირგვლივ არსებული სტიგმის შედეგად ეს მოვლენა იშვიათად სცილდება კერძო სფეროს, რაც ალბათ ის ძირითადი ფაქტორია, რომლის გამოც რესპონდენტები უარყოფენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების არსებობას. თუმცა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ძალადობა, რომელიც ძირითადად ვლინდება ქცევის კონტროლის მცდელობაში, მაინც არსებობს და ძირითადად მომდინარეობს ქმრის ოჯახისგან. უფრო მეტიც, ისინი ხშირად არიან ხოლმე წყვილს შორის ძალადობის წამქეზებლები. ბავშვები, რომელთა ოჯახებშიც ხშირად ხდება ძალადობა, ოჯახური კონფლიქტების მოწმეები და მსხვერპლებიც არიან. *შედეგად, საჭიროა თვისებრივი კვლევის გაღრმავება საქართველოში პარტნიორთა შორის ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უკეთ შესწავლისთვის, იმის მიუხედავად, რამდენად არის აღიარებული ოჯახში ძალადობა პრობლემად (იმის გათვალისწინებით, რომ, კვლევისას გამოვლენილი ტენდენციის მიხედვით, რესპონდენტები უარყოფენ ამ პრობლემის არსებობას).*

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა დაშორებასა და გაყრაზე. გაყრა ან დაშორება გავრცელებული მოვლენაა ქართულ საზოგადოებაში, თუმცა ნაკლებად მისაღები. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება, რადგან გაყრის შემთხვევაში მათ მიმართ არსებული სტიგმა ზღუდავს ქალების არჩევანს გაყრის შემდგომი შემოსავლის წყაროსა და ხელახლა დაქორწინების მხრივ. რესპონდენტები თანხმდებოდნენ, რომ გაყრის რისკი უფრო მაღალია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევაში, რადგან წყვილები მეტისმეტად ახალგაზრდები არიან იმისათვის, რომ სრულად გაიაზრონ, რას გულისხობს ოჯახური ცხოვრება. უფრო მეტიც, განქორწინების მიზეზად ხშირად სახელდებოდა კონფლიქტი ქალსა და მამაკაცის ოჯახს შორის. მიუხედავად იმისა, რომ განქორწინება ხშირია, ნათელია ისიც, რომ განქორწინება მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ქალებისთვის, რადგან ბევრი მათგანი არასათანადო განათლებით, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობითა და სუსტი სოციალური კავშირებით რჩება მარტო.

შესაბამისად, ბევრი მათგანი ამჯობინებს, ცხოვრება რთულ პირობებში გააგრძელოს. გარდა ამისა, გოგონები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ქორწინებისას ჯერ არ შესრულებოდათ 18 წელი, ოფიციალურად ვერ აფორმებენ ქორწინებას და, შესაბამისად, განქორწინების შემთხვევაში მოკლებულები არიან კანონიერი დაცვის საშუალებებს.

ინსტიტუციური რეაგირება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე. ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში განხილვის შედეგები ადასტურებს, რომ ახალგაზრდებისთვის არ არსებობს რაიმე ინსტიტუციური ან პროგრამული მექანიზმები, რომელიც სისტემატურად მიაწვდიდა მათ ინფორმაციას ქორწინების შესახებ. ეს ვაკუუმი, თავის მხრივ, ქმნის კონტექსტს, სადაც ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა ახალგაზრდებისთვის საკუთარი თანატოლები, მშობლები ან ინტერნეტია. თუმცა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ არსებობს გარკვეული ინიციატივები ამ მიმართულებით, მაგალითად, მუშაობა მშობლებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით. ინიციატივების ნაწილი ასევე ეხება საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ მონაცემების მოძიებას. ყველა მონაწილე თანხმდებოდა, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ დაეყრდნონ პოლიციასა და ჯანდაცვის სამსახურებს, თუმცა მოზარდები არ იყენებენ ამ სერვისებს. რამდენიმე მონაწილემ დაასახელა ენობრივი და ინფრასტრუქტურული ბარიერები, რაც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებსა და მოშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტებში/სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, ისარგებლონ ამ სერვისებით. კიდევ ერთი განსხვავება, რაც გვხვდება ქალაქებსა და სოფლებს შორის, არის ის, რომ სოფლად ტრადიციები და მზითევის ფაქტორი უფრო ხშირად განიხილება. თუმცა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების კონტექსტთან დაკავშირებით არ გამოვლენილა რაიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მკვეთრად განასხვავებდა სოფლებსა და ქალაქებს.

რაც შეეხება სამართლებრივ რეაგირებას, რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათთვის ცნობილი იყო იმ კანონის არსებობა, რომელიც კრძალავს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებას, თუმცა ცოტას თუ სმენოდა კანონის ბოლო ცვლილებების შესახებ. კულტურული და რელიგიური წესები ხშირად ეწინააღმდეგება კანონს და იწვევს დაბნეულობას რესპონდენტებში, შესაბამისად, კანონის აღსრულება ხშირად არ ხდება. ქორწინების რეგისტრაცია იშვიათია, რადგან წყვილები ამჯობინებენ, ქორწინება მას შემდეგ დაარეგისტრირონ, რაც 18 წელი შეუსრულდებათ. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა პასუხები მოწმობს, რომ ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებლები (მაგალითად, გინეკოლოგები) თვითონაც მანკიერი გენდერული ნორმების გავლენის ქვეშ არიან და ხშირად ამჟღავნებენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას გოგონების ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირის მიმართ. ეს დამოკიდებულება ხსნის, თუ რატომ ამჯობინებენ გოგონები, არ მიმართონ ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებს. მსგავსად ამისა, სოციალური ნორმები დამატებით გამოწვევებს ქმნის ჯანდაცვის მუშაკებისთვის, რომ ღიად შეეხონ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემას, რადგან მასთან დაკავშირებული საკითხები ოჯახის პირად საქმედ მიიჩნევა.

კვლევისას ნათელი გახდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობა არ მიიჩნევა ჯანდაცვის სერვისების მნიშვნელოვან კომპონენტებად, განსაკუთრებით, ახალგაზრდა, დაქორწინებული ქალებისთვის. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები შესაბამის უწყებას ინფორმაციას არასრულწლოვან ორსულებთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში აწვდიან დაბადების მოწმობის გაცემის მიზნით, ვერ დადგინდა, მოჰყვება თუ არა ამგვარ შეტყობინებას რაიმე სამართლებრივი რეაგირება.

განათლების სფეროში ინსტიტუციური რეაგირებაც იმ მასწავლებლების გამო ფერხდება, რომლებსაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის მიმართ. გარდა ამისა, უმწვავეს პრობლემად დასახელდა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კომპონენტის არარსებობაც, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი უნდა იყოს. არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ სკოლები ახორციელებენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა მონიტორინგს და ამგვერი შემთხვევების შესახებ ინფორმაციას აწვდიან შესაბამის უწყებას. და ბოლოს, რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლების პასუხებმა ცხადყო, რომ მათი უმეტესობა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგია, თუმცა მათთვის ნაკლებად იყო ცნობილი კანონით დაწესებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია ერთობლივი სამართლებრივი და პოლიტიკური რეაგირება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ქორწინებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულებას და, აგრეთვე, დაცვის, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებს, რასაც თან უნდა ახლდეს გენდერული თვალსაზრისით ტრანსფორმაციული ინტერვენციები იმ უთანასწორო გენდერული ნორმების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც ხელს უწყობს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ტრადიციას.

რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია პოლიტიკის შემუშავების, პროგრამების დაგეგმვისა და კვლევის მიმართულებით. ყველა განხორციელებული ზომა განსაკუთრებით უნდა იყოს ფოკუსირებული იმ სოციალური ნორმების აღმოფხვრაზე, რომელიც განამტკიცებს უთანასწორო გენდერულ ურთიერთობებს და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობ ფაქტორებს.

	რეკომენდაციები	**როგორ?**
პოლი-ტიკა	მოქმედი კანონმდებლობის აღსრულება და, ამავე დროს, მაღალი ხარისხისა და ინკლუზიური სერვისების შეთავაზება და შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდების მომავლისთვის	რადგან ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ის პრობლემაა, რომელიც მრავალ სფეროს ეხება, საჭიროა ადეკვატური ფინანსური რესურსების გამოყოფა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად შემდეგი მიმართულებებით: ✔ არსებული კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულება შესაბამისი უწყებების მოხელეების - როგორებიც არიან მოსამართლეები, სამოქალაქო რეესტრისა და ბავშვთა დაცვის სამსახურების თანამშრომლები - გადამზადების მეშვეობით, რათა სათანადოდ იქნეს დაცული კანონით გათვალისწინებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა შეტყობინების მოთხოვნა. ✔ ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის (განსაკუთრებით სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის) სერვისების შეთავაზება, ჯანდაცვის პერსონალის დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე მუშაობა და ინოვაციური გზების შემუშავება ენობრივი ბარიერების დაძლევისა და ქვეყნის ყველაზე მარგინალიზებული (გეოგრაფიულად, ენობრივად და კულტურულად) მოსახლეობის დაფარვის მიზნით. ✔ რეგიონული განვითარების მიზნით მუშაობის გაძლიერება, რადგანაც რეგიონულ დონეზე მუშაობა განსაკუთრებით ეფექტიანია სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვისა და მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების შექმნისთვის. ✔ მოზარდებსა და ახალგაზრდებზე მიზანმიმართული პროგრამებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფა ადგილობრივ ბიუჯეტებში, როგორიცაა, მაგალითად საგანმანათლებლო პროგრამები, მოზარდების/ახალგაზრდების კლუბები, ტრენინგები და სხვა. ✔ ახალგაზრდებისა და ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თვითმართველობებში, რათა შეძლონ კონკრეტული საკითხების ადვოკატირება და რესურსების მოძიება საზიანო პრაქტიკების დაძლევის მიზნით. ✔ უზრუნველყოფილი იყოს, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ზომები იყოს როგორც პრევენციული, ასევე დამცავი. აღნიშნული ზომებით მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვა ტიპის დახმარებისადმი წვდომა.

პროგრა-მების შემუ-შავება	სოციალური ნორმებისადმი გენდერული თვალსაზრისით ტრანსფორმა-ციული მიდგომის გამოყენება, ძირითად აქტორებთან მუშაობა, ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის საინტერესო სივრცეების შექმნა და გოგონების გაძლიერება	გარდა იმ კანონებისა, რომლებიც უზრუნველყოფს დაცვას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისგან, იმისათვის, რომ გოგონებს მიეცეთ საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება, საჭიროა იმ ღრმად გამჯდარი გენდერული ნორმების ტრანსფორმაცია, რომლებიც გავლენას ახდენს გოგონების ცხოვრებაზე და ძირითადი აქტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამისათვის საჭიროა შემდეგი ზომების მიღება: ✔ ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, თუ სხვა რელევანტური საკითხების შესახებ. ✔ არაფორმალური განათლების სისტემის, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირებისა და გაძლიერების საშუალების, განვითარება, მათ შორის მათი უფლებების, ჯანმრთელობისა და სრჯ საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია გოგონებისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნა, სადაც შეძლებენ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიღებას, საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას და სოციალიზაციას. ✔ საზიანო პრაქტიკების, ისევე როგორც გენდერული სტერეოტიპების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში. მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსების შექმნა მასწავლებლებისთვის და მათი გადამზადება. ასევე რეკომენდებულია კონკრეტული მოდულის შემუშავება საზიანო პრაქტიკების შესახებ და მისი მასწავლებელთა უწყვეტი განათლების სისტემაში ინტეგრირება. ✔ მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნას და დაამტკიცოს სპეციალური პროგრამა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის პრევენ-ციის შესახებ. არაფორმალური განათლება, ისევე როგორც, მშობელთა განათ-ლების კომპონენტი შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს მასში, რადგანაც ხშირად, სწორად მშობლები არიან გადაწყვეტილების მიმღებები თავიანთი არასრულწლოვანი ბავშვების ქორწინების საკითხთან მიმართებაში. ✔ ადრეულ ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება. მნიშვნე-ლოვანია მათი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა. ასევე საჭიროა ბავშვთა მოვლის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა შეძლონ სკოლაში ყოფნის განმავლობაში ბავშვის უსაფრთხოდ დატოვება. ✔ მუშაობა გადაწყვეტილებათა მიმღებ იმ ძირითად პირებთან - განსაკუთრებით მამებთან, დედებთან, დედამთილებთან, რელიგიურ ლიდერებთან, ჯანდაცვისა და განათლების სერვისების პროვაიდერებთან, ასევე ბიჭებთან და მამაკაცებთან (მომავალი და ახლანდელი მეუღლეები) - რომლებიც გავლენას ახდენენ გო-გონების ცხოვრებაზე, გენდერული თანასწორობისა და გოგონებსა და ქალებთან ურთიერთობის არაძალადობრივი ნორმების დანერგვის და წახალისების მიზნით. ✔ იმ სოციალურ ნორმებთან გამკლავება, რომლებიც აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ როლებს შინ და საზოგადოებაში. ✔ იმ პოზიტიური დევიანტების წარმოჩენა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულები იქნენ მისაბაძ მოდელებად თემში, და მათი გავლენის გამოყენება პროგრამული ინტერვენციის საწყის წერტილად. ✔ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ტრენინგების ორგანიზება ჯანდაცვის პროფესი-ონალებისთვის ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის მსხვერპლ-თათვის კონფიდენციალური ინფორმაციისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად (მაგალითად, 24 საათიანი ცხელი ხაზი ფაქტების გამჟღავნების მიზნით). ✔ ინფორმირების გაზრდა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთისა და მისი შედეგების შესახებ კონკრეტულ პირებსა თუ თემებში, სკოლებში, ასევე სამარ-თალდამცავებისა და ჯანდაცვის პერსონალში. ✔ კონკრეტული ტრენინგების ჩატარება სრჯ სერვისის მიმწოდებლებისთვის ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის ფაქტის გამოკითხვისა და მართვის მიზნით.

კვლევა	ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ უფრო დაწვრილებითი მონაცემების შეგროვება	რადგან მსგავსი კვლევა საქართველოში პირველად ტარდება, არსებობს დამატებითი და უფრო სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის. ამგვარი კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს ცვლილებების ინდიკატორად. ამ მიზნით, ყოველწლიურ გამოკითხვებში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ინდიკატორების შეტანის პარალელურად, შემდგომი კვლევები უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებს: ✔ საქართველოში, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკების შესახებ მონაცემთა შეგროვების (მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში) გაძლიერება, რათა შესაძლებელი იყოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამირების განხორციელება, მიღწეული პროგრესის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეფასება. ✔ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება. ✔ ურბანულ/სოფლის სიღატაკესა და ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას შორის კავშირის გამოვლენა, რადგან, წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება არ არის დამახასიათებელი მხოლოდ სოფლად მცხოვრები თემებისთვის ან მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის. ✔ პოზიტიური დევიანტების როლის შესწავლა - იგულისხმებიან, მაგალითად, მამები, რომლებიც ინვესტირებას აკეთებენ გოგონების განათლებაში - და მათი გამოყენება პროგრამული ჩარევისთვის ამოსავალი წერტილის სახით. ✔ იმის გარკვევა, თუ რა როლს თამაშობს მამაკაცურობისა და ქალურობის კონცეპტუალიზაცია - ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკის შენარჩუნებაში. ✔ გოგონების „უფლებამოსილების“ საკითხის და მათი მისწრაფებების შემდგომი კვლევა შეზღუდული საგანმანათლებლო და ეკონომიკური შესაძლებლობების ფონზე, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული გარემოებიდან გამომდინარე გოგონები „ირჩევენ“ ადრეულ ქორწინებას. ✔ მონაცემთა ეროვნულ ბაზებში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ინდიკატორების დამატება კვლევის შერეული დიზაინების მეშვეობით, რომლებშიც ნაჩვენები იქნება როგორც გოგონების, ასევე ბიჭების პერსპექტივა. რეკომენდებულია ეროვნულ მონაცემთა შეგროვების არსებულ ინსტრუმენტებთან, როგორიც არის მულტიინდიკატორული კლასტერული კვლევები, ტრიანგულირება.

სარჩევი

მადლიერების გამოხატვა **3**
შემაჯამებელი მიმოხილვა **4**
1. შესავალი **18**
1.1 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში 18
ჩანართი 1: საქართველო: ინფორმაცია ქვეყნის შესახებ 19
1.1.1 რატომ უნდა შევისწავლოთ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები? ადგილობრივი და გლობალური ტენდენციები 19
1.1.2 ბოლო წლების ისტორიული, ინსტიტუციური და სამართლებრივი განვითარება საქართველოში 21
1.2 კვლევა 24
1.2.1 კვლევის კითხვები 25
2. მეთოდოლოგია **26**
2.1 კვლევის განხორციელების ადგილი 26
2.2 თვისებრივი კვლევის პროტოკოლი 27
2.3 ნიმუშის მახასიათებლები 28
2.4 ეთიკური საკითხები 30
2.5 ანალიზის გეგმა 30
2.6 შეზღუდვები 31
3. თვისებრივი მიგნებები **32**
3.1 ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა 32
3.2 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკა 33
3.2.1 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელება 33
3.2.2 გოგონებისა და ბიჭების უფლებამოსილების საკითხი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით 36
3.2.3 ქორწინების ტიპები 38
3.3 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორები 40
3.4 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისათვის წინააღმდეგობის გაწევა 45
3.5 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედეგები 46
3.5.1 განათლება და ბავშვთა ქორწინება 46
3.5.2 ზეგავლენა ჯანმრთელობაზე 53
3.5.3 მობილურობა და სოციალური ქსელი 58
3.5.4 როლები და პასუხისმგებლობა 59
3.5.5 კონფლიქტი და ოჯახში ძალადობა 61
3.5.6 დაშორების და განქორწინების გავლენა 62
3.6 ინსტიტუციური რეაგირება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე 64
3.6.1 რეაგირება კანონის ფარგლებში 65
3.6.2 ჯანდაცვის სფეროს რეაგირება 65
3.6.3 განათლების სისტემის რეაგირება 67
3.6.4 რელიგიური და თემის ლიდერები 69
3.6.5 განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის 70
3.7 ექსპერტთა მოსაზრებები 70
4. დასკვნები **74**
5. რეკომენდაციები **79**
5.1 რეკომენდაციები საჯარო პოლიტიკისთვის 79
5.2 რეკომენდაციები პროგრამების შემუშავებისთვის 80
5.3 რეკომენდაციები კვლევისთვის 84
ბიბლიოგრაფია **85**
დანართი 1 . . . . . **87**

1. შესავალი

1.1 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში

ბოლო წლებში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემა უფრო თვალსაჩინო გახდა კვლევის, პროგრამული და ადვოკატირების ინიციატივების წყალობით. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება განისაზღვრება როგორც რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც არ მიუღწევია 18 წლამდე. სტამბულის კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი, ხოლო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, „ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად, თუ შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოფხვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განვითარების მიზნების მიღწევისთვის. ორგანიზაციის Girls not Brides 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოფხვრა აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის, მათ შორის გენდერული თანასწორობის, სიღარიბის აღმოფხვრის, ეკონომიკური ზრდის, აგრეთვე, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოში (ქვეყნის შესახებ ზოგადი ინფორმაციისთვის იხილეთ ჩანართი 1) ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკის კვლევა. ეს გენდერთან დაკავშირებული ფენომენია, რომელიც უფრო მწვავედ გოგონებს ეხება, თუმცა სხვადასხვა ტიპის გავლენას ახდენს როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ცხოვრებაზე. საქართველოში ქალთა დაახლოებით 14 პროცენტი 18 წლამდე ქორწინდება, რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2005; 2010).[2]

[2] ტერმინი „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება“ ყველაზე ხშირად მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მიერ გამოიყენება საველე სამუშაოების დროს და მომდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოდან. ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება პირი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, „თუ შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. გარდა ამისა, გამოყენება ისეთი ტერმინებიც, როგორებიც არის „ბავშვთა ქორწინება“, „ადრეული“, „ბავშვთა“ და „იძულებითი“ ქორწინება (ECFM).

ჩანართი 1: საქართველო: ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

კვლევა განხორციელდა საქართველოში, რომლის მოსახლეობა 3.7 მილიონი ადამიანია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014). ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (83.4%) მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა ქვეყანაში სხვა რელიგიური ჯგუფებიც ცხოვრობენ: მოსახლეობის 10.7% მუსლიმია, ხოლო 2.6% სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი. საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი 0.76-ია. ამ მაჩვენებლით ის 188 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს (Jahan et al. 2016). გაეროს განვითარების პროგრამის ბოლოდროინდელი სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 15.2% მომუშავე ღარიბების კატეგორიაში გადის (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი 3.10 აშშ დოლარი დღეში), ხოლო 2015 წლის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 12%-ს შეადგენს.

კვლევის უმნიშვნელოვანეს კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს უთანასწორო გენდერული ნორმების, როგორც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორის, მნიშვნელობის აღიარება. ნორმები, რომლებიც ეხება ოჯახის ღირსების დაცვას და გოგონას პატიოსნების შენარჩუნებას, ნათესაური კავშირების განმტკიცებას და ბიჭებისთვის უპირატესობის მინიჭებას, მნიშვნელოვნად განაპირობებს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას (Jones et al., 2014; UNICEF, 2014). გენდერზე დაფუძნებული ინდიკატორების მიხედვით, როგორიც არის სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (Social Institutions and Gender Index), საქართველო „საშუალო“ კატეგორიას მიეკუთვნება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2016 წლის მონაცემებით ქალები ქვეყნის მოსახლეობის 52%-ს შეადგენენ ((N=3,717000). სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქორწინების მაჩვენებელი 2016 წელს 1000 მოსახლეზე შეადგინა 6.7. ასევე მაღალია მოზარდების შობადობის მაჩვენებელი. 2015 წელს მონაცემებით, 15-19 წლამდე ასაკის ქალთა შორის შობადობის მაჩვენებელმა შეადგინა 48.6 1000 ქალზე (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2016), დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა100,000 ცოცხალშობილზე შეადგინა 32. აბორტის მაჩვენებელი რეპროდუქციული ასაკის 1000 ქალზე შეადგინა 9.2 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). 2016 წლისთვის 16-19 წლის ასაკის მოსახლეობამ შეადგინა 220 400 ა (116 600 მამაკაცი, 103 800 ქალი).

1.1.1 რატომ უნდა შევისწავლოთ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები? ადგილობრივი და გლობალური ტენდენციები

გავრცელება - ევროპაში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელება სხვა რეგიონებთან, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აფრიკასთან, შედარებით დაბალია. მიუხედავად გავრცელების მაჩვენებლის კლებისა 17.2%-დან (გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2005, 2012) 14%-მდე (საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, 2010), და 2000 წლიდან მოყოლებული კლების სტაბილური ტენდენციისა (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2000), საქართველოს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ მაღალია და მოლდოვასა და თურქეთის მაჩვენებლებთან ახლოს დგას (19% და 14%). ამ მხრივ საქართველო მეზობელ სომხეთს (7%) და აზერბაიჯანსაც უსწრებს (12%) (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2012). მონაცემების მიხედვით, სოფლად ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება ქალაქის მაჩვენებლებს, სადაც უმაღლესი განათლების მქონე და შეძლებულ ოჯახებში დაბადებული გოგონები შედარებით ნაკლებად ქორწინდებიან 18 წლამდე (გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2005, 2012). 16-19 წლის ასაკის 200,000 მოსახლიდან 2015 წელს 2.7% დაქორწინდა. გოგონებს შორის ეს მაჩვენებელი ხუთჯერ აღემატება ბიჭებისას.

არსებულ მონაცემებთან დაკავშირებული შეზღუდვები - რამდენიმე წყაროდან მიღებული ინფორმაცია და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მაჩვენებელმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიმატა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელების მაჩვენებლები არათანმიმდევრულად გროვდება და ხშირად მოძველებულიცაა. შედეგად, პროლემის მასშტაბის დადგენა და მასთან გამკლავების მექანიზმების შემუშავება მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. დასაწყისისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება უფრო გავრცელებულია საქართველოში, ვიდრე ამას არსებული მონაცემები მიუთითებს, რაც ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ამგვარი ქორწინება, მსგავსად სხვა ადგილებისა, სადაც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ასევე გავრცელებული მოვლენაა, ხშირად არ რეგისტრირდება. სტატისტიკა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელების შესახებ ხშირად დამოკიდებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მიდგომაზე. მაგალითად, დაბადების რეგისტრაცია, რომლის მიხედვით ბავშვის დაბადებისას მშობლებს ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, ხშირად მიუთითებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედარებით მაღალ მაჩვენებელზე (სახალხო დამცველის ანგარიში, 2016).

გარდა ამისა, განსხვავებით სამოქალაქო ქორწინებისგან, არ ხდება რელიგიური ქორწინების ოფიციალური რეგისტრაცია. კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ მონაცემები ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ მოიცავს 18 და 19 წლის ახალგაზრდებსაც, რაც ძალზე ართულებს მონაცემთა სეგრეგირებას და მათში 17 წლის და უფრო დაბალი ასაკის ახალგაზრდების გამორჩევას, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის მიხედვით არასრულწლოვნებად ითვლებიან. ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიცავს ჩაშლილ მონაცემებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ. ეს მონაცემები მიუთითებს იმ მკვეთრად გამოხატულ განსხვავებებზე, რომლებიც ამ კუთხით გოგონებსა და ბიჭებს შორის არსებობს.

ცხრილი 1. რეგისტრირებული ქორწინებების სრული მაჩვენებელი 2014-2016 წლებში (16-19 წლის გოგონები და ბიჭები)

	2014	2015	2016
გოგონები			
16 წლის	237	223	NA
17 წლის	411	370	5
18 წლის	1635	1403	1238
19 წლის	1701	1527	1302
ბიჭები			
16 წლის	6	7	NA
17 წლის	21	26	1
18 წლის	281	241	143
19 წლის	468	445	314

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2017)

და ბოლოს, ხელმისაწვდომი მონაცემები სრულყოფილად ვერ ასახავს რეგიონში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლებთან დაკავშირებულ კომპლექსურ რეალობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს სრულყოფილი მონაცემები ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში მიუთითებს, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების რეალური გავრცელების მაჩვენებელი - თუ ჩავთვლით არარეგისტრირებულ კავშირებს - დიდი ალბათობით მნიშვნელოვნად აღემატება 14%-ს. აღსანიშნავია, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების აღრიცხვის ტენდენცია ევროპაშიც ჩამორჩება რეალურ მაჩვენებელს (Hotchkiss et al. 2016). ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელების მაჩვენებელი საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებში უფრო მაღალია. საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით (აზერბაიჯანელები, სომხები და ეთნიკური რუსები) დასახლებულ რეგიონში ჩატარებული გაეროს ქალთა პრობლემების კვლევის შედეგების მიხედვით, ქალების 32% მანამდე დაქორწინდა, სანამ 18 წელი შეუსრულდებოდა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014).

1.1.2 ბოლო წლების ისტორიული, ინსტიტუციური და სამართლებრივი განვითარება საქართველოში

მდგრადი განვითარების მიზანი 5.3 გულისხმობს „ყველა ისეთი მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას, როგორიც არის ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინება და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება“. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროგრესის გასაზომად რამდენიმე ინდიკატორი გამოიყენება, მათ შორის: „არსებობს თუ არა შესაბამისი სამართლებრივი ბაზა გენდერული თანასწორობისა და სქესის მიხედვით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, დანერგვისა და მონიტორინგისთვის“ (5.1.1). ამის მსგავსად, სტამბულის კონვენციის 372-ე მუხლის მიხედვით:

- „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარ განზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს აიძულებს ქორწინებაში შესვლას.
- მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარ განზრახული ქცევა, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, ამ ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის ქორწინებაში შესვლის იძულების მიზნით“.

ამ საერთაშორისო მოწოდებების გათვალისწინებით, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლებრივ რეაგირებას ადრეულ/ბავშვთა ქორწინებაზე, წინამდებარე ნაწილი განიხილავს იმ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ბაზებს, რომლებიც ეხება საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკას. 1994 წელს საქართველომ მოახდინა ორი კონვენციის რატიფიცირება. ესენია: გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას ეროვნულ დონეზე, ადრეულ/ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს კანონით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (2006) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად პირი, რომელსაც ჯერ

არ შესრულებია 18 წელი, სამართლებრივად ბავშვად ითვლება). 2014 წლის სტამბულის კონვენციის ხელმოწერილი დეკლარაციების საფუძველზე შემუშავებული იქნა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც შევიდა გენდერული ძალადობის უფრო ფართო ელემენტები, როგორიც არის იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია და პატიმრობის შესახებ კანონში შესწორებების შეტანა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის აღსრულება სრულად არ ხდება, ქვეყნის მიდგომამ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიმართ ბოლო წლების განმავლობაში განვითარების სამი მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო. პირველი მათგანი ეხება სამართლებრივ ვალდებულებას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან მიმართებაში და სავალდებულო თანხმობას 16 და 17 წლის ახალგაზრდების ქორწინების შემთხვევაში. 2015 წლიდან მოყოლებული 1108-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მშობლების თანხმობა გაუქმდა და მხოლოდ სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, 16 ან 17 წლის ახალგაზრდებისთვის მიეცა ქორწინების ნებართვა. ბოლო, 2017 წლის ცვლილებების, თანახმად, ქორწინების მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 18 წელი გამონაკლისების გარეშე. მეორე საყურადღებო ცვლილება ეხება ამ პრაქტიკასთან საბრძოლველად სისხლისსამართლებრივი ბაზის გავრცობას. სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვთან თანაცხოვრება ისჯება სამ წლამდე პატიმრობით. 2014 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 150-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს იძულებითი ქორწინების საკითხებს. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2015-2016 წლებში სისხლის სამართლის საქმე ხსენებული მუხლით აღიძრა 183 პირის წინააღმდეგ, რომელთა უმეტესობა (n=161) მონაწილეობდა ოჯახთან დაკავშირებულ დანაშაულებში, უფრო კონკრეტულად კი იძულებით ქორწინებაში (88%) (სახალხო დამცველის აპარატი, 2016).

და ბოლოს, სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ძალისხმევით უპრეცედენტო ყურადღება დაეთმო ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებას, როგორც გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთ გამოვლინებას. ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია 2015 წელს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხებს ეძღვნება. ხსენებული ანგარიში არა მხოლოდ ამდიდრებს ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებულ მონაცემებს, არამედ უზრუნველყოფს ინფორმაციას სახალხო დამცველის სამსახურის მიერ ჩატარებული ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობისთვის.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება და გენდერული თანასწორობა - აქცენტი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოფხვრის ზომებზე გენდერული თანასწორობის ჭრილში წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ წინა მცდელობებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თაოსნობით ეს პრობლემა ძირითად განიხილებოდა ბავშვთა მიმართ ძალადობის ჭრილში. ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, რომელიც მიზნად ისახავდა იმ მიზეზების დოკუმენტირებას, მათ შორის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევების, რომელთა გამო ბავშვები თავს ანებებდნენ სკოლაში სიარულს, რაც ამავდროულად, განათლებასთან მიმართებაში ქორწინების ტენდენციების დოკუმენტირების კიდევ ერთი მექანიზმი გახლდათ. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში

გენდერული თანასწორობის ჩარჩო, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის რიტორიკასა და საქმიანობაში აისახებოდა, კიდევ უფრო განმტკიცდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის საქმიანობით, რაც გულისხმობდა კანონმდებლობის პირველ მიმოხილვას ამ კუთხით და მცირე მასშტაბიანი, ინფორმაციული კვლევის ჩატარებას 2013-2014 წლებში. ადვოკატირების შედეგად, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის შესახებ სპეციალური რეკომენდაციები აისახა საქართველოს შესახებ CEDAW კომიტეტის მეოთხე და მეხუთე კომბინირებული ანგარიშის დასკვნით დებულებებში (2014), სადაც ყურადღება გამახვილდა ამ ფენომენის მასშტაბის, გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სიღრმისეული ანალიზის საჭიროებაზე. რეკომენდაციები ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შესახებ ასევე ასახულია 2015 წლის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) რეკომენდაციებში, რომლებიც მიიღო მთავრობამ. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2015 წლის ანგარიშში ასევე დაფიქსიდა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხი.

ამ მცირე, თუმცა ინფორმაციული საწყისი მცდელობების წყალობით მნიშვნელოვნად ამაღლდა ცოდნის დონე საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემების შესახებ, რის შედეგადაც უკვე ცნობილია, რომ ეს მოვლენა არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში, არამედ ქვეყნის ძირითად მოსახლეობაშიც გავრცელებულია და თანხვედრაშია გენდერული უთანასწორობის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციებთან. ამ პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ახალი სტრატეგიებისა და პოლიტიკის პრაქტიკაში გასატარებლად და უფრო მტკიცე პოლიტიკური მიზანსწრაფვის ხელშესაწყობად. ეს საკითხი ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და სამთავრობო უწყებების ყურადღებას იქცევს. შესაბამისად, სიღრმისეული კვლევის განხორციელება სწორედ რომ დროულია, მით უმეტეს, რომ კვლევა გეოგრაფიულადაც (ეროვნული დონე) და რაოდენობრივადაც (უფრო დიდი და ფართო შერჩევის ნიმუში) შთამბეჭდავია.

ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად აქვთ უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ განქორწინების შემდეგ და როგორც ქალი, ასევე მამაკაცი შეიძლება იქნეს სამართლებრივად აღიარებული ოჯახის უფროსად (მსოფლიო ბანკი, 2011). გარდა ამისა, საქართველოში მიწის ფლობისა და სარგებლობის უფლება აქვს როგორც კაცს, ასევე ქალს (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 2012), თუმცა ქვეყნის სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერული ინდექსის მიმოხილვა ადასტურებს, რომ ტრადიციული ჩვეულებები და რელიგიური კანონები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიწის საკუთრების უფლების პრაქტიკულ განხორციელებაზე და რომ ეს ტრადიციები და კანონები ქალების მიმართ დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს.[3] რაც შეეხება მემკვიდრეობას, სამართლებრივად ქალები - ცოლები და ქალიშვილები - იმავე უფლებებით სარგებლობენ, რითაც კაცები. ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 და 26-ე მუხლებით ისჯება.

[3] ხელმისაწვდომია ინგლისურად: https://www.genderindex.org/wp-content/uploads/files/datasheets/GE.pdf

1.2 კვლევა

რაციონალური საფუძველი - ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები თითქმის არ განიხილებოდა საჯარო რიტორიკისა და პოლიტიკის დონეზე საქართველოში. დაბალმა ინტერესმა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების, როგორც ადამიანის უფლების დარღვევის, მიმართ, რომლის გადაჭრასაც ესაჭიროება რესურსები და ყურადღება როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე საზოგადოების მხრიდან, შედეგად მოიტანა ის, რომ ამ მიმართულებით არ ჩატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი კვლევა. ხელმისაწვდომი ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი სტატია საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ. თუმცა ბოლო ხანს მომრავლებული ანგარიშები საქართველოში საინტერესო მონაცემებს გვაწვდის რეპროდუქციული ჯანმრთელობის (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2012), ბავშვთა მიმართ ძალადობის („იუნისეფი“, 2008) და ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით ქალების (Peinhopf 2014; გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2014; უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, 2014) მდგომარეობის შესახებ. თუმცა ასევე უნდა ითქვას, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2017 წლის დასაწყისში გაეროს მოსახლეობის ფონდმა საქართველოში და გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიასთან თანამშრომლპობით, დაიწყო ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემის კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კვლევა წარმოადგენს ამ პრობლემის კომპლექსური ბუნებისა და მასთან დაკავშირებული უთანასწორო გენდერული ნორმების სიღრმისეულად შესწავლის ძალისხმევის მხოლოდ ერთ ნაწილს. კვლევის მიზანია, შეისწავლოს, თუ რატომ არის გავრცელებული ქვეყანაში ის პრაქტიკა, დამოკიდებულებები და ნორმები, რომლებიც უკავშირდება ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას, გამოიკვლიოს ის რისკები და დამცავი ფაქტორები, რომელთა ანალიზი აუცილებელია ამ პრობლემის გადასაჭრელად. კვლევა ასევე ქმნის მყარ საფუძველს მიზანმიმართული ინტერვენციებისა და შემდგომი კვლევისთვის, ასევე ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საქართველოში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა გენდერული თვალსაზრისით ტრანსფორმაციული ღონისძიებები და ადვოკატირება, ასევე ადგილობრივ თემებზე მიმართული კამპანიები. გარდა ამისა, კვლევის შედეგები წვლილს შეიტანს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების შეგროვებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოლიტიკური დიალოგის წამოწყებას. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ტენდენციების შესუსტებაში მამაკაცების ამჟამინდელი და პოტენციური როლის ანალიზისთვის, რაც ნაკლებად ხდება, მათ შორის გლობალურადაც. და ბოლოს, კვლევა საშუალებას მისცემს მკვლევარებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, დაინახონ, თუ რა პოზიციაზე იმყოფება ქვეყანა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გლობალურ კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავს გოგონებზე, მათ მეუღლეებზე, ბავშვებსა და საზოგადოებაზე ამ პრაქტიკის გავლენის შესწავლას.

კვლევას ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია Promundo, გამოყენებითი კვლევის ცენტრი, რომელიც მთელ მსოფლიოში მუშაობს გენდერული სამართლიანობის განმტკიცებისთვის. მისი ადგილობრივი პარტნიორია საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებირივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქვეყნის წამყვანი უწყება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით კვლევა საფუძველს

ჩაუყრის მტკიცებულებების ბაზას, რაც, თავის მხრივ, გამოყენებული იქნება ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით შესამუშავებელი პოლიტიკისა და პროგრამებისთვის.

მულტიინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) (დაგეგმილია 2018 წელს) რაოდენობრივი მაჩვენებლების შევსების მიზნით, Promundo-მ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, გაეროს მოსახლეობის ფონდსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, შეიმუშავა თვისებრივი კვლევა, რომელიც ასევე მიზნად ისახავდა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დამოკიდებულების, შეხედულებებისა და სხვადასხვა პრაქტიკის შესწავლას, ასევე რისკების, დამცავი და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენას საქართველოს კონტექსტში. მონაცემთა შეგროვების პროცესს მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელმძღვანელობდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები საჯარო პოლიტიკის დიალოგისა და მიზანმიმართული ინტერვენციებისთვის რეგიონებთან და მოსახლეობის ჯგუფებთან მიმართებაში, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები. თუ გავითვალისწინებთ მთავრობის რეაგირებას ამ პრობლემაზე, განსაკუთრებით 2013 წლიდან, კვლევის მიგნებები შეიძლება გამოყენებული იქნეს საჯარო პოლიტიკის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. რეკომენდაციებში ასევე მითითებული იქნება ის ასპექტები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ კვლევას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამ პრობლემის შესახებ ცოდნის დეფიციტს.

1.2.1 კვლევის კითხვები

კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევის შემუშავებისა და მიგნებების ინტერპრეტაციისთვის, საფუძვლად დაედო საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლა და მსოფლიო მასშტაბით არსებული ლიტერატურა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ (იხ., მაგალითად, Svanemyr et al, 2015; ქალთა კვლევების საერთაშორისო ცენტრი, 2015, Jain & Kurtz, 2007; Raj, 2010); გარდა ამისა, გამოყენებული იქნა ლიტერატურა სოციალური ნორმების თეორიის შესახებ (Bicchieri, Jiang and Lindemans 2014) დაქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ (Hotchkiss et al. 2016).

კვლევაზე, მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუებსა და ქართველ პარტნიორებთან კონსულტაციაზე დაყრდნობით განისაზღვრა შემდეგი კითხვები:

- ✔ რა არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები და მისი შედეგები?
- ✔ როგორი დამოკიდებულებები, შეხედულებები, სოციალური ნორმები და პრაქტიკა არსებობს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ირგვლივ და როგორ მოქმედებს ისინი?
- ✔ რა რისკები და დაცვის ფაქტორები არსებობს ქვეყანაში ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით?
- ✔ როგორია ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა საქართველოში?

კვლევისას ყურადღება მიექცა რეგიონებს, ქალაქებსა და სოფლებს, ასევე ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებულ განსხვავებებსა და მსგავსებას.

მომდევნო ნაწილში განხილულია მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია 11 სამიზნე ადგილას. მეთოდოლოგიის ნაწილის შემდეგ წარმოდგენილია ინტერვიუების თვისებრივი ანალიზის მიგნებები. და ბოლოს, ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საჯარო პოლიტიკასთან, პროგრამების შემუშავებასა და კვლევასთან დაკავშირებით, რომლებიც შედეგებსა და მიგნებებს ეფუძნება.

2. მეთოდოლოგია

2.1 კვლევის განხორციელების ადგილი

მონაცემები შეგროვდა საქართველოს 10 რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში და ქვეყნის დედაქალაქში: თბილისში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში (იხ. სურათი 1). მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობდა სამ ენაზე - ქართულად, აზერბაიჯანულად და სომხურად ინტერვიუერების მიერ, რომლებისთვისაც ეს ენები მშობლიურია. ეს სამი ენა ასევე შეესაბამება ქვეყნის სამ ძირითად ეთნიკურ ჯგუფს - ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, თუმცა კვლევაში ჩართულები იყვნენ ეთნიკური ჯგუფების ნებისმიერი წარმომადგენლები, რომლებიც ამ ენებზე ლაპარაკობენ. ამგვარი მიდგომა მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული სამი ძირითადი ენობრივი და მოსახლეობის უმრავლესობის/ეთნიკური ჯგუფების - ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების - წარმოდგენას კვლევაში, თუმცა ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიების დიდი ნაწილი ქართულ ენაზე ჩატარდა, რადგან სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი. საწყის ეტაპზე, ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, განისაზღვრა ის კვლევები, რომლებიც ეხება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს. გაირკვა, რომ შემდგომ კვლევას საჭიროებდა შემდეგი საკითხები: ა) ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამოცდილება ძირითად მოსახლეობასა და დომინანტ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებში, და ბ) განსხვავებული დამოკიდებულება და პრაქტიკა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

სურათი 1. საქართველოს რუკა: მონაცემები შეგროვდა ქვეყნის 10 რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში და ასევე საქართველოს დედაქალაქში



2.2 თვისებრივი კვლევის პროტოკოლი

წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე ჩაიწერა თორმეტი ინტერვიუ მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან თვისებრივი კვლევის პროტოკოლების შემუშავების მიზნით (დანართ 1-ში მოცემულია მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუების სრული ჩამონათვალი). პროტოკოლების საბოლოო ვერსიაში აისახა მკვლევართა თითოეული ჯგუფის პარტნიორებისა და მონაცემთა შემგროვებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, აგრეთვე კვლევითი ინსტრუმენტების სატესტო გამოყენების შედეგები. კვლევის სატესტო ეტაპი განხორციელდა იმავე კვირაში, რომელშიც მონაცემთა შემგროვებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თვისებრივ კვლევაში და საორიენტაციო შეხვედრა.

ცალკე თვისებრივი პროტოკოლები შემუშავდა თითოეული საკვლევი ჯგუფისთვის, რომლებშიც შედიოდნენ:

(1) დაქორწინებული გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34
(2) დაუქორწინებელი გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17
(3) დაქორწინებული ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34
(4) დაუქორწინებელი ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფი:12-17
(5) დაქორწინებული წყვილების ოჯახის წევრები
(6) სხვა პირები (მასწავლებლები, ექიმები, სკოლის ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), გადაწყვეტილების მიმღებები, აგრეთვე ადგილობრივი თემის და რელიგიური ლიდერები

მეორე სურათზე მოცემულია მონაცემთა შეგროვების პროცესის მიმოხილვა. სხვადასხვა ჯგუფთან ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა მონაცემთა ტრიანგულირება, რაც გულისხმობს იმ ადამიანთა რეალობისა და ცხოვრების ტრაექტორიის (უფროსი ასაკის ქალების შემთხვევაში) შედარებას, რომლებმაც პირადად გამოსცადეს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება (გოგონები, ბიჭები, ოჯახის წევრები) იმ ადამიანების თვალით დანახულ სურათთან, რომლებსაც ავალიათ ამ პრობლემაზე რეაგირება. შეისწავლის რა მსგავსებებსა და განსხვავებებს, აგრეთვე განსხვავებულ აღქმას, რომელიც არსებობს ზემოთ ნახსენებ ჯგუფებში, კვლევა მნიშვნელოვნად ავსებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ არსებულ ცოდნას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ ქალებისა და გოგონების, არამედ ბიჭებისა და მამაკაცების პერსპექტივებიც.

სურათი 2. მონაცემთა შეგროვების მიმოხილვა

ინფორმაციის შეგროვება სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად შემდეგ ადგილებში (ქალაქად და სოფლად):

თბილისი	გურია
შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
ქვემო ქართლი	იმერეთი
კახეთი	მცხეთა-მთიანეთი
სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
აჭარა	

მეთოდები	ინტერვიუები		ფოკუსჯგუფები	
საკვლევი ჯგუფები	**დაუქორწინებელი გოგონები/** ახალგაზრდა ქალები	**დაუქორწინებელი ბიჭები/** ახალგაზრდა კაცები	**დაქორწინებელი გოგონები/** ახალგაზრდა ქალები	**დაქორწინებელი ბიჭები/**ახალგაზრდა კაცები
	ოჯახის წევრები: დედები, მამები, ბებია-ბაბუები			
	მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები პირები, სერვისების მიმწოდებლები ეროვნული და ადგილობრივი ტენდენციების, ინსტიტუტების როლის, გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების აღქმა			

2.3 ნიმუშის მახასიათებლები

საერთო ჯამში მკვლევართა ჯგუფმა ჩაატარა 146 ინტერვიუ და დისკუსია ფოკუსჯგუფებში. ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნა ყველა ინტერვიუ, რადგან მათ დააკმაყოფილეს საკვლევ ჯგუფთან დაკავშირებული კრიტერიუმები. იგულისხმება 99 ჩაღრმავებული ინტერვიუ, 12 ინტერვიუ მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან და 35 დისკუსია ფოკუსჯგუფებში. საბოლოო ნიმუშში შევიდა 342 მონაწილე. სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების გაანგარიშება დაეყრდნო 330 მონაწილეს (გარდა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისა, რომლებთან დაკავშირებითაც არ შეგროვდა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები). ინფორმაცია მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ მოცემულია დანართ 1-ში.

ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიების მონაწილეებიდან 213 ქალია, ხოლო 117 - კაცი (იხ. სურათი 3). საკვლევ ჯგუფებში წარმოდგენილი იყო ოთხი ეთნიკური ჯგუფი ეთნიკური ჯგუფებიდან ყველაზე დიდს შეადგენენ ქართველები (n=221), შემდეგ აზერბაიჯანელები (n=52), სომხები (n=36), ავარები (14) და ქისტები (n=7). ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულებები იძლევა საკვლევი ნიმუშის დამატებით მახასიათებლებს, გარდა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისა, რომლებზეც არ შეგროვებულა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები.

სურათი 3. საკვლევი ნიმუშის გენდერული თვალსაზრისით დაყოფა



მეოთხე და მეხუთე სურათები მიუთითებს, რომ რესპონდენტთა უმეტესობა თბილისიდანაა, შემდეგ მოდის აჭარა (n = 46) და ქვემო ქართლი (n = 43). ამგვარ განაწილებას განაპირობებს შერჩევის ძირითად ნიმუშებზე - ქართველებზე,

აზერბაიჯანელებსა და სომხებზე, ასევე ქისტებსა და ავარებზე - წვდომის გაიოლება. კვლევის თვისებრივი ბუნებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევა არ ისახავს მიზნად იყოს რეპრეზენტატიული და წარმოადგენდეს მთელ ქვეყანას.

სურათი 4. მამაკაცთა მონაწილეობა რეგიონების მიხედვით



სურათი 5. ქალთა მონაწილეობა რეგიონების მიხედვით



შერჩევის ნიმუშში ასაკობრივი განაწილება გვაჩვენებს, რომ მამაკაც მონაწილეებს შორის ყველაზე დიდი ჯგუფი იყო 15-17 წლის რესპონდენტები (n= 100). ქალებს შორის ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი იყო 40 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი (n=66), მაშინ, როცა ყველაზე დიდ ჯგუფს მამაკაცებს შორის 15-17 წლის ბიჭები შეადგენდნენ (n=46).

სურათი 6. შერჩევის ნიმუშის სქესის და ასაკის მახასიათებლები



2.4 ეთიკური საკითხები

კვლევა დაამტკიცეს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა და ბიოეთიკურმა საბჭომ. განსაკუთრებული სიფრთხილით იქნა დაცული ეთიკისა და კონფიდენციალურობის პრინციპები. მონაცემთა შეგროვების დაწყებამდე ყველა პარტნიორმა და 28 ინტერვიუერმა ერთკვირიანი მომზადება გაიარეს თბილისში, რომელსაც უძღვებოდნენ Promundo და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ტრენინგი მოიცავდა თემის მიმოხილვას, ეთიკურ გზამკვლევებს უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის საკითხების ჩათვლით, თვისებრივი ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიის ტექნიკასა და მონაცემთა შენახვის პროცედურებს. მონაცემთა შეგროვებას ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კოორდინატორი. ჯგუფი დაიყო რეგიონის, ენისა და სქესის მიხედვით, რათა ინტერვიუერებს შესძლებოდათ კონტაქტების დამყარება და თითოეულ ადგილას ორ ან სამკაციან ჯგუფებში მუშაობა. მამაკაცებმა გამოკითხეს კაცები და ბიჭები, ხოლო ქალებმა იმუშავეს გოგონებსა და ქალებთან.

2.5 ანალიზის გეგმა

ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფებში დისკუსიები ჩაწერილი იქნა აუდიომოწყობილობებზე, შემდეგ კი ისინი გაიშიფრა და ითარგმნა ინგლისურად შემდგომი ანალიზის მიზნით. ჯგუფმა შექმნა კოდირების სახელმძღვანელო კოდირების დედუქციური სტრატეგიის გამოყენებით. საწყისი კოდები დაეფუძნა კვლევის კითხვებს, თეორიას და ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიების პროტოკოლებს. ასევე შემუშავდა პირველადი აღწერითი კოდები ძირითადი თემების განსაზღვრის მიზნით. ჯგუფმა გამოიყენა თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამა Dedoose, რომლის გამოყენება ინტერნეტის მეშვეობით შეეძლოთ სხვადასხვა ადგილას მყოფ ჯგუფის წევრებს. კოდების დოკუმენტს დაემატა ინდუქციური კოდები მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთილი ახალი თემებისთვის.

Dedoose-ის გამოყენებით პირველი ციკლის კოდირების დასრულების შემდეგ განხორციელდა კოდირების მეორე ციკლი თემებისა და პირველი ციკლის პერიოდში გამოვლენილი ტენდენციების სიღრმისეული ანალიზისთვის (Miles, Huberman and Saldaña 2014). კოდების ანალიზისთვის გამოყენებული იქნა პროგრამა Excel-ის ცხრილები, რომელთა მეშვეობით ასევე მოხდა ამონარიდების შედარება ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების კონტექსტში, და მათი თანხვედრის დადგენა სხვა კოდებთან.

განისაზღვრა ტრიანგულაციის ვალიდურობის, რეიტინგული შეფასებების სანდოობის უზრუნველყოფისა და მკვლევართა ჯგუფში რეგულარული განხილვების სტრატეგიები თემების დასაზუსტებლად. ტრიანგულაციამ შესაძლებელი გახადა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და სერვისების მომწოდებლებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული განსხვავებებისა და მსგავსებების ანალიზი, მაგალითად, დაქორწინებული/დაუქორწინებელი ახლადგაზრდა ქალების და მამაკაცებისა და ოჯახის წევრების პერსპექტივებთან დაკავშირებით. რეიტინგული შეფასებების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა ტრენინგი კოდირების პირველ ციკლზე, რომლის დროსაც შეფასდა კოდების გამოყენება; გარდა ამისა, კოდირებისა და საველე ჯგუფებმა ერთობლივად იმსჯელეს ანალიზის შესახებ. თვისებრივი მონაცემები დაკავშირებული იქნა სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორიცაა ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, განათლების დონე, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვ. სწორედ ეს საწყისი ანალიზი დაედო საფუძვლად წინამდებარე ანგარიშს, რომლის თავდაპირველი ვერსია განხილული იქნა ყველა პარტნიორის მიერ თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი თემატური ასპექტების სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით.

2.6 შეზღუდვები

მკვლევარების მიერ შემუშავებული მიდგომა გულისხმობს საქართველოს სამი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის დაფარვას კვლევაში. ესენია: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. ამ მიდგომის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ის ფაქტორი, რომ წინა პერიოდის კვლევები გოგონებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ ძირითადად აქცენტს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებზე აკეთებდა. შერჩევის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა „თოვლის გუნდის“ პრინციპით შერჩევა და მიზანმიმართული შერჩევა, ასევე მიუთითებს, რომ კვლევის მიზანი არ იყო ეროვნულ დონეზე რეპრეზენტატიულობა. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა ქვეყნის 11 ადგილას, სამ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ ცოდნის გაღრმავებას და არა ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი ჯგუფის შესწავლას.

3. თვისებრივი მიგნებები

ამ ნაწილში წარმოდგენილია თვისებრივი ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების დისკუსიების შედეგები. შესაძლებლობის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია შედარება სქესებს, რეგიონებს, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, ამ ნაწილში განხილული შედეგები ტრიანგულირებულია იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მიღებული იქნა ქორწინებაში მყოფი და განქორწინებული რესპონდენტებისგან, ოჯახის წევრებისა და სერვისების მიმწოდებლებისგან. თავდაპირველად აღვწერთ ქვეყანაში ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკას და მის ბუნებას, ხოლო შემდეგ განვიხილავთ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ამ პრაქტიკის გავრცელებას, მოქმედების უნარის როლს, ქორწინების ტიპებს და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობ ფაქტორებს. კვლევის წინამდებარე ნაწილში ასევე განვიხილავთ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიმართ წინააღმდეგობის გაწევას და ყურადღებას ახალგაზრდების მისწრაფებებზე გავამახვილებთ, რასაც მოჰყვება მსჯელობა იმ გავლენაზე, რომელიც ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას აქვს განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, მობილურობასა და სოციალურ კავშირებზე, როლებსა და პასუხისმგებლობაზე და კონფლიქტზე (ოჯახში ძალადობის ჩათვლით). და ბოლოს, განვიხილავთ ინსტიტუციურ რეაგირებას ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებებს საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მდგომარეობისა და ბუნების შესახებ.

3.1 ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა

ყველა რეგიონში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოწიფულობაში გადასვლა რაიმე განსაკუთრებული რიტუალით არ აღინიშნება, თუ არ ჩავთვლით მამაკაცთა წინადაცვეთას 7-12 წლის ბიჭებში, კონკრეტულ მუსლიმურ თემებში. ყველა რესპონდენტი ერთხმად აღნიშნავს, რომ გოგონების სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა ქვეყანაში არ არსებობს, თუმცა ყველა მათგანს სმენია ზოგადად ამ პრაქტიკის შესახებ. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა აჭარიდან განაცხადა, რომ ამ პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია იტერნეტით ან ტელევიზიით ვრცელდება. ამის მსგავსად, იმერეთში ფოკუსჯგუფში დისკუსიის მონაწილეებმა (ოჯახის მდედრობითი წევრები) განაცხადეს, რომ „ტელევიზიის მეშვეობით ხშირად ვრცელდება ინფორმაცია წინადაცვეთის შესახებ, განსაკუთრებით საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში“. კახეთში, ეთნიკურად ავარ მოსახლეობასთან ინტერვიუების დროს, მონაწილეებმა მიუთითეს, რომ ხანდაზმული ქალების უმეტესობას ან თვითონ აქვს ჩატარებული პროცედურა, ან სმენია ამის შესახებ. ამ თემში ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის პროცედურა Ia ტიპისაა, რაც გულისხმობს მხოლოდ კლიტორის ნაწილობრივ კვეთას.

რამდენიმე ხანდაზმულმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ მათ შვილიშვილებს ჯერ არ ჩატარებიათ ეს პროცედურა. თუმცა ძირითადი სამიზნე ჯუფის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ეს პრაქტიკა ავარების ეთნიკური იდენტობის

მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაძლოა, პროცედურებმა უბრალოდ იატაკქვეშ გადაინაცვლა. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა ისეთივე რიტუალად მიიჩნევა, როგორც, მაგალითად, ნათლობა, და რომ ეს რიტუალი მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ იდენტობასთან. ხანდაზმულმა რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ წარსულში რიტუალი გოგონებს ძირითადად ხუთი წლის ასაკში უტარდებოდათ, რადგან ეს ის ასაკია, როდესაც მათ შეუძლიათ განიცადონ ტკივილი. ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლებმა თბილისიდან განაცხადეს, რომ „სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, ამგვარი შემთხვევები საქართველოშიც ხდება". ამის მსგავსად, ჟურნალისტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მას სმენოდა ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ, რომელიც ყვარელში მოხდა. სხვა რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება შეიძლება მხოლოდ იმით იყოს გამოწვეული, რომ გარდაიცვალა ქალი, რომელიც სოფელში ამ რიტუალს ასრულებდა. ავარი რესპონდენტები კახეთიდან აცხადებდნენ, რომ ამგვარი შემთხვევების რიცხვის კლება სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შიშს უფრო უკავშირდება, ვიდრე იმ ზიანის გაცნობიერებას, რასაც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა იწვევს. ეს შიში შეიძლება განაპირობებდეს იმ გარემოებასაც, რომ რესპონდენტები თავს არიდებენ ამგვარი შემთხვევების გამჟღავნებას.

ამგვარად, მონაცემების მიხედვით ძნელია იმის გარკვევა, ახდენს თუ არა რესპონდენტთა პასუხებზე გავლენას საზოგადოებრივი აზრი, როდესაც ისინი ამბობენ, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთა აღარ ხდება. ერთ-ერთმა ავარმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მათ თემს ბევრი ადამიანი სტუმრობს ამ პრაქტიკის შესახებ სასაუბროდ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის მუსლიმი თემის სიდიდეს და ამ პრაქტიკის მჭიდრო კავშირს რელიგიურ იდენტობასთან, ამ ფონზე ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის შესახებ არსებული ინფორმაცია მეტად მწირია. მონაწილეები ან უარყოფენ, რომ ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ არსებობს, ან ამბობენ, რომ ის ხდებოდა წარსულში, თუმცა ახლა ქვეყანაში ამგვარი რამ აღარ ხდება. პოლიციის ოფიცრის (კახეთი) აზრით, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა ქვეყანაში არ არსებობს, რადგან „ადგილობრივი მუსლიმები თანამედროვე და განათლებული ხალხია".

3.2 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკა

3.2.1 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელება

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ჩვეულებრივი და გავრცელებული მოვლენაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, დედაქალაქის - თბილისის - ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მონაწილის აზრით, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებულია მხოლოდ სოფლად ან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში, კვლევის მიგნებებმა დაადასტურა, რომ ამგვარი აღქმა მცდარია და შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში გოგონების ქორწინებასთან დაკავშირებით უფრო ხშირად სახელდება უფრო დაბალი ასაკი (მაგ. 13, 14, 15 წლები), ვიდრე ძირითად მოსახლეობაში (ძირითად მოსახლეობაში უფრო ხშირად 16-17 წელი სახელდება). ზოგ ადგილას გამოიკვეთა მოტაცების გზით ქორწინების მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავრცელებული პრაქტიკაა, მონაწილეები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ მის მიმართ და ხაზს უსვამენ, რომ ძალდატანებითი ქორწინება წარსულში

ხდებოდა. გამოიკვეთა გენდერული განსხვავებებიც. მაგალითად, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიმართ დამოკიდებულება უფრო უარყოფითია, როდესაც საქმე ეხება ბიჭებს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ამ პრაქტიკის ფართო გავრცელებისა, ჯერ კიდევ არსებობს მცდარი წარმოდგენები მის შესახებ. მაგალითად, ბევრს მიაჩნია, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება მხოლოდ სოფლად ხდება და რომ ქორწინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება, თუ იგი ძალდატანებით ხდება.

შედეგები. მიგნებები ადასტურებს, რომ მონაწილეთა უმეტესობა (მშობლები, მოზარდები და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები) მკვეთრად გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიმართ. ბევრი რესპონდენტისთვის ცნობილია, რომ ქორწინებისთვის სამართლებრივი ქვედა ზღვარი 18 წელია. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად 18 წლამდე ქორწინების მიმართ რესპონდენტების გამოხატულად ნეგატიური დამოკიდებულებისა, ეს უარყოფითი დამოკიდებულება უფრო მკაფიოა ბიჭებთან მიმართებაში. მაგალითად, ბათუმში (აჭარა) რელიგიურ ლიდერებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფში დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ თემის დამოკიდებულება „18 წლის ასაკამდე ქორწინების მიმართ უარყოფითია... მაგრამ ეს ძირითადად ბიჭებს ეხება... მშობლებს ასევე ხშირად აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება 30 წლის შემდეგ ქორწინების მიმართ“.

რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ძირითადად წარსულში ხდებოდა, თუმცა მათ განმარტეს, რომ „წარსულში“ ისინი ათი წლის წინანდელ პერიოდს გულისხმობდნენ: „მახსოვს ერთი გოგო, რომელიც საშუალო სკოლის ბოლო კლასში დაქორწინდა. სკოლის დამთავრების ცერემონიას ორსული ესწრებოდა, მისი ქმარი კი თაიგულით მოვიდა. ეს 10-12 წლის წინ მოხდა. უკვე წლებია, რაც მსგავსი შემთხვევის შესახებ არ მსმენია“. (ფოკუსჯგუფი მასწავლებლებისთვის, თბილისი). ბევრი მონაწილის აზრით, რამდენიმე ათწლეულის წინ არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლამ, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა. საკვების სიმწირის და სიღატაკის ფონზე გაიზარდა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მაჩვენებელი, რადგან გოგონების ოჯახებისთვის ქალიშვილების დაქორწინება იმას ნიშნავდა, რომ მათ ერთით ნაკლები ადამიანი უნდა ერჩინათ. გარდა ამისა, გოგონების მოტაცების შიშის გამო ბევრი ოჯახი ამჯობინებდა, გაეთხოვებინა გოგონები.

თუმცა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დღეს გოგონების დაქორწინების იძულების ალბათობა ნაკლებია. ბევრი მიუთითებს, რომ გოგონები ახლა განათლების მიღებას ამჯობინებენ (ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია მოწოდებულია 3.5.1 ნაწილში), თუმცა ასევე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ბარიერი, რომლებიც ხელს უშლის გოგონებს განათლების მიღებაში.

და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მონაწილე ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას წარსულის მოვლენად მიიჩნევს, ინტერვიუების შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ ამგვარი ქორწინება გოგონებისთვის ჯერ კიდევ გავრცელებული პრაქტიკაა. თბილისში ჩატარებული იტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიების მონაწილეები ფიქრობენ, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება უფრო არაქართულ მოსახლეობაშია გავრცელებული. გარდა ამისა, 13-15 წლის ბიჭებთან ფოკუსჯგუფში დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა, რომ, მათი აზრით, „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება შეიძლება უფრო გავრცელებულია მთიან რეგიონებში, ქალაქებიდან მოშორებულ ადგილებში“. ამის მსგავსად, თბილისში დაქორწინებულ მამაკაცებთან ფოკუსჯგუფში გამართული დისკუსიის შედეგად გამოირკვა, რომ,

მონაწილეების აზრით, აზერბაიჯანელებში მოზარდები შეიძლება ნებისმიერ დროს დაქორწინდნენ მას შემდეგ, რაც 16 წელი შეუსრულდებათ.

მიუხედავად არსებული შეხედულებებისა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელების შესახებ, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ ამგვარი ქორწინება მთელ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა (როგორც ქვემოთ არის აღწერილი) და არ ახასიათებს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს ან ტრადიციას, და რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი უთანასწორო გენდერული ნორმები და დისკრიმინაციული გენდერული ურთიერთობებია, რომლებიც ქვეყნის ყველა ეთნიკურ ჯგუფს ახასიათებს როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. ანუ პრაქტიკას ზურგს უმაგრებს არა მხოლოდ მამაკაცობასთან და ქალობასთან დაკავშირებული დამახინჯებული წარმოდგენები, არამედ სქესთა შორის არსებული ძალთა დინამიკა, რომელიც თან ახლავს ამგვარ კონცეპტუალიზაციას. გავრცელებული შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ძირითადად ეთნიკურ უმცირესობებს ან სოფლად მცხოვრებ თემებს ახასიათებს, შეიძლება გამომდინარეობდეს იმ ფაქტიდან, რომ, როდესაც საქმე ეხება გოგონების ასაკს ქორწინებისას, ამ ჯგუფების მიერ ხშირად სახელდება 13, 14 ან 15 წელი, განსხვავებით ძირითადი მოსახლეობისგან, რომლის წარმომადგენლები უფრო 16-17 წლის გოგონების ქორწინებაზე ლაპარაკობენ. მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელმა ჭიათურადან (იმერეთი) განაცხადა, რომ „ამ ბოლო დროს გახშირდა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევები“ და რომ „ყოველთვე იღებს ინფორმაციას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების 5-6 შემთხვევის შესახებ, როდესაც გოგონებს ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი და მხოლოდ 16 წლისები არიან.“

წინააღმდეგობრივი მოსაზრებები ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების დღევანდელ და წარსულში გავრცელებასთან დაკავშირებით შეიძლება უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ, არსებული მოსაზრების თანახმად ახლა ახალგაზრდები საკუთარი ნებით ირჩევენ ადრე დაქორწინებას (დეტალური ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ მოცემულია 3.2.2 ქვეთავში). ამავე დროს, ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელმა საგარეჯოდან (კახეთი) მაგალითად მოიტანა გოგონას ამბავი, რომელიც მშობლების ნების საწინააღმდეგოდ გაჰყვა ცოლად ბიჭს, რომელიც მის მშობლებს არ მოსწონდათ. რესპონდენტის აზრით, ეს შემთხვევა არ კვალიფიცირდება ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებად, რადგან „მშობლებს არ დაუძალებიათ გოგონასთვის, ცოლად გაჰყოლოდა ბიჭს“.

მიუხედავად იმისა, რომ, შედეგების მიხედვით, ქორწინება მოტაცებით ჯერ კიდევ ხდება, ბოლო წლებში დაფიქსირდა ტენდენციის შესუსტება. თუმცა მონაწილეების ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ ეს მოქმედი პრაქტიკაა. როგორც 23 წლის თბილისელი ქალი ამბობს, რომელიც ბავშვობაში მოიტაცეს, მოტაცებისა და დაქორწინების შემდეგ გოგონებს მშობლების სახლში აღარ ელიან: „ასეთი წესი გვაქვს: როდესაც გოგოს მოიტაცებენ, მას აღარ შეუძლია სახლში დაბრუნება“. ამის მსგავსად, თელაველი (კახეთი) პოლიციელის განმარტებით, ხანდახან გოგონებს სკოლაშიც არ უშვებენ მოტაცების თავიდან აცილების მიზნით.

გამოიკვეთა საინტერესო გენდერული განსხვავება, რომელიც მიუთითებს, რომ ბიჭები ბევრად უფრო „თავისუფლები“ არიან ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში (30 წლის დაქორწინებული მამაკაცი თბილისიდან). რესპონდენტების აზრით, საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება 24 წელზე უფროსი დაუქორწინებელი ქალების მიმართ ჯერ კიდევ მყარია (ოჯახის მამაკაცი წევრი, რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი). ასეთი მდგომარეობა ხშირად „სამარცხვინოდ“ ითვლება, როგორც ეს ქვემოთ მოცემული ამონარიდიდან ჩანს (ჟურნალისტი თბილისიდან):

„შემიძლია გითხრათ, რომ პირიქით - ბიჭები მოგვიანებით ქორწინდებიან. გოგოები თუ გათხოვებას დააგვიანებენ, სოფელში „შინაბერებს“ ეძახიან“.

3.2.2 გოგონებისა და ბიჭების უფლებამოსილების საკითხი ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით

მიმოხილვა. გოგონებიც და ბიჭებიც მიუთითებენ, რომ მოხდა ცვლილება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებების ბუნებაში. გოგონებსა და ბიჭებს მიაჩნიათ, რომ ახლა მათ მეტი არჩევანის საშუალება აქვთ და უფრო გაბედულად გამოთქვამენ აზრს პარტნიორთან დაკავშირებით, როდესაც საქმე მათ პირად ურთიერთობებს ეხება. თუმცა ეს უფრო მეტად ბიჭებზე ვრცელდება, ვიდრე გოგონებზე, რომლებიც ხშირად განიცდიან ზეწოლას დაქორწინების მოთხოვნით, მაშინაც კი, როდესაც სასიყვარულო ურთიერთობა აქვთ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ოჯახური ნორმები ხშირად უფრო შემწყნარებელია ბიჭების მიმართ: ბიჭს მეტი თვისუფლება აქვს, ოჯახის წევრებს აცნობოს, რომ რჩეული ჰყავს, ვიდრე გოგონას. მამების გადაწყვეტილება ქორწინებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გოგონებს ეხება, უფრო მნიშვნელოვნად ითვლება, ვიდრე დედებისა, რომლებიც უფრო აზრს გამოთქვამენ, ვიდრე გადაწყვეტილებებს იღებენ. ნება-სურვილის, არჩევანისა და თანხმობის როლი ქართულ კონტექსტში რთულია და საჭიროებს შემდგომ კვლევას მათი გავლენისა და მნიშვნელობის უკეთ გაგების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ადგილებში მოპოვებული იქნა განსხვავებული შედეგები მშობლების თანხმობასთან მიმართებაში, რესპონდენტთა უმეტესობა თანხმდება, რომ ახლად დაქორწინებული ახალგაზრდები დიდი ალბათობით მშობლებთან ერთად გააგრძელებენ ცხოვრებას, განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე.

შედეგები. **ახალგაზრდების უფლებამოსილების საკითხი ქორწინებისას.** კვლევისას გამოვლინდა მკვეთრად გამოხატული ტენდენცია, რომელიც მიუთითებს, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც უკვე იმყოფებიან სასიყვარულო ურთიერთობაში, დიდი ალბათობით შეუღლდებიან. გლობალური კვლევა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებში „უფლებამოსილების საკითხისა“ და გოგონების გაძლიერების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა გოგონების არჩევანის და აგრეთვე იმ სოციალური ნორმებისა და სტრუქტურული ფაქტორების (როგორებიც არის სიღარიბე და შესაძლებლობები) შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ამ არჩევანზე (მაგალითად, Murphy-Graham & Leal 2015; Vaitla et al., 2017; Bajaj, 2009). საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები მართლაც ადასტურებს, რომ ახალგაზრდებები ირჩევენ შეუღლებას იმ პარტნიორთან, რომელთანაც ურთიერთობაში იმყოფებიან. რამდენიმე რესპონდენტმა ისიც კი მიუთითა, რომ დაქორწინება მათი გადაწყვეტილება იყო. რესპონდენტების თქმით, მათი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა „გოგონასა და ბიჭის მიერ იძულების ან ზეწოლის გარეშე გაკეთებულ არჩევანს”.

მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ ახლა გოგონებსა და ბიჭებს მეტი თავისუფლება აქვთ, აირჩიონ პარტნიორები, თუმცა ეს უფრო მეტად ბიჭებს ეხება. მაგალითად, ქალებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონიათ ადრეულ ასაკში დაქორწინების დიდი სურვილი, მათი პარტნიორები უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ ერთობლივი ცხოვრების მიმართ, რაც საბოლოოდ იქამდე მიდიოდა, რომ გოგონები „სულ მცირე თვითონაც იღებდნენ გადაწყვეტილებას” დაქორწინების შესახებ. უფრო მეტიც, სტიგმა ბევრად უფრო ძლიერია გოგონებთან მიმართებაში, როდესაც საქმე ეხება მშობლებისთვის იმის გამხელას, რომ მათ ბიჭი მოსწონთ. ნათელია, რომ უფლებამოსილების საკითხი, არჩევანისა და თანხმობის

მნიშვნელობა საქართველოს კონტექსტში დამატებით კვლევას საჭიროებს.

მშობლების როლი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ოჯახს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი მონაწილეებისთვის, მიუხედავად რეგიონისა და ადგილისა, და, შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდების უმეტესობისთვის სოციალური ქსელი ძირითადად ოჯახის წევრებისგან შედგება. თუმცა რამდენიმემ თანატოლებიც მიუთითა. მიგნებები ცხადყოფს, რომ მშობლების თანხმობას ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით მათთვის, ვინც უკვე იმყოფება სასიყვარულო ურთიერთობაში, სხვადასხვა გავლენა აქვს. ზოგ შემთხვევაში, ინტერვიუების მიხედვით, მშობლებს უწევდათ დასთანხმებოდნენ შვილების გადაწყვეტილებას დაქორწინების შესახებ, როგორც ეს 17 წლის თბილისელი გოგონას შემთხვევაში მოხდა:

> *„ჩვენს შემთხვევაში ქორწინება უკვე გადაწყვეტილია და ჩვენ უახლოეს მომავალში დავქორწინდებით. საბოლოო სიტყვა ჩვენს ქორწინებასთან დაკავშირებით არავის უთქვამს. სულ თავიდანვე ჩვენ გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა. მე ძალიან პატარა ვიყავი და ზოგადად მიღებული არ არის 18 წლამდე გათხოვება. ჩვენ ერთმანეთის მშობლებს შევხვდით და ისინი ფაქტის წინაშე დადგნენ, როდესაც ვუთხარით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა“.*

სხვა შემთხვევებში, მაგალითად, ბათუმში (აჭარა) რესპონდენტებმა მიუთითეს, რომ მშობლების თანხმობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რომ მშობლების წინააღმდეგობა ხშირად ხელს უშლის ახალგაზრდებს დაქორწინებაში (მაგალითად, ასე განაცხადა აჭარელმა რელიგიურმა ლიდერმა). ამის მსგავსად, რელიგიურ ლიდერებთან საგარეჯოში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში დისკუსიის შედეგად გამოირკვა, რომ მშობლების თანხმობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ახალგაზრდებს საზოგადოება მკაცრად აკრიტიკებს, რის შედეგადაც მათზე „ცუდი წარმოდგენა იქმნება”.

პატრიარქალური ნორმები, ასევე მამების, როგორც ოჯახის წინამძღოლების, და დედების, როგორც აღმზრდელების, პოზიცია ქმნის ისეთ სიტუაციას, სადაც საჭიროა მამების, როგორც გადაწყვეტილების მიმღებების, თანხმობა, მაშინ, როდესაც დედების პოზიცია უფრო „შეშფოთებად“ აღიქმება. მაგალითად, ინტერვიუერის კითხვაზე, თუ ვისი სიტყვაა გადამწყვეტი ოჯახში ქალიშვილის ან ვაჟის ქორწინების შესახებ, მამაკაცმა ქვემო ქართლიდან უპასუხა: „რასაკვირველია, ჩემი. მე ვარ მამა და ოჯახის უფროსი“. რამდენიმე სხვა რესპონდენტმაც განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მათი ქორწინების შესახებ მამებმა მიიღეს. რაც შეეხება დედებს, მათი თანხმობა ძირითადად შენიღბული იყო იმაზე წუხილით, თუ რამდენად შეეფერებოდა პარტნიორი მათ შვილს (ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხილეთ ქვეთავი 3.1.5). რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დედებს „უფლება აქვთ, სამეზობლოში გამოიკითხონ სასიძოს/სარძლოს შესახებ” და რომ დედების „აზრი“ მნიშვნელოვანია გოგონებისთვის. ძალთა ტრადიციული განაწილება დედებსა და მამებს შორის მკაფიოდ იკვეთება რესპონდენტების მონათხრობში, განსაკუთრებით 12-15 წლის გოგონებთან ფოკუსჯგუფში ჩატარებული დისკუსიის დროს.

ნათელია, რომ ამგვარი გენდერული განსხვავება თაობიდან თაობებზე გადადის და გოგონებისთვის მშობლების თანხმობა უფრო საჭიროა, ვიდრე ბიჭებისთვის:

„საერთოდ, გოგონას დედა მთავარი ადამიანია, მაგრამ მამა ამბობს ბოლო სიტყვას. გოგონა შეიძლება არასრულწლოვანი იყოს, მაგრამ მას მაინც ეკითხებიან აზრს. ბიჭები ძირითადად თავად წყვეტენ (რელიგიური ლიდერი, ქვემო ქართლი).

თანხმობის გარდა, ინტერვიუების შედეგებმა დაადასტურა, რომ, როდესაც ახალგაზრდები წყვეტენ დაქორწინებას, მშობლები უზრუნველყოფენ ძირითად ფინანსურ დახმარებას ახლად შეუღლებულებისთვის. რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ მშობლები ასწავლიან ბავშვებს, რომ მათ ჯერ „ფინანსური დამოუკიდებლობა“ უნდა მოიპოვონ (ფოკუსჯგუფში დისკუსია მასწავლებლებთან თბილისში). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს ფინანსური უზრუნველყოფა, რესპონდენტების ნაწილი (მაგალითად, ჟურნალისტი თბილისიდან) მიუთითებს, რომ „სხვების უზრუნველყოფის უნარი“ შეიძლება განისაზღვროს ქორწინებისთვის მზადყოფნის ინდიკატორად.

გარდა ახალგაზრდების მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, მშობლების ფინანსური დახმარება ასევე გულისხმობს, რომ ახლად დაქორწინებულებს შეუძლიათ მათთან ერთად გააგრძელონ ცხოვრება. ინტერვიუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან მიუთითებს, რომ მოვლენათა განვითარების ეს სცენარი მეტად სავარაუდოა იმ ოჯახებში, რომლებიც ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან (20 წლის ქალი იმერეთიდან).

მშობლებთან ერთად ცხოვრება ქმნის ზეწოლას წყვილებზე, მაგრამ განსაკუთრებით ბიჭებზე, რომ ისინი იყვნენ ფინანსურად დამოუკიდებლები ქორწინებამდე. მეორე მხრივ, გოგონებისთვის ზეწოლა სწავლის დასრულებასთან დაკავშირებით არის ქორწინებაზე უარის თქმის ხელშემწყობი ფაქტორი, თუმცა მსგავსი შემთხვევები ხშირად არ ხდება. უფრო ხშირად კი ზეწოლა ხელს უშლის გოგონებს, გააგრძელონ განათლება. რაც შეეხება ბიჭებს, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ მოლოდინი, რომ ისინი გახდებიან ოჯახის მარჩენლები, ხშირად გადადის მოზარდ ბიჭებზეც.

3.2.3 ქორწინების ტიპები

მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებების უმეტესობა ნიშნობით იწყება, კვლევისას ნახსენები იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქორწინებამ ნიშნობის გარეშე ჩაიარა. იმ შემთხვევებში, როდესაც ნიშნობა ხდება, ეს თითქმის ყოველთვის მთავრდება ქორწინებით. თუმცა ჩაშლილი ნიშნობის შემთხვევებში არსებობს წყვილის მიმართ სტიგმატიზაციის გარკვეული მინიშნება, რითაც შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ნიშნობის შემდეგ ახალგაზრდები განიცდიან ზეწოლას, რომ სწრაფად დაქორწინდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წყვილებს შორის არსებული განსხვავება ასაკში მიუთითებს, რომ საშუალოდ პატარძლები 2-3 წლით უმცროსები არიან სიძეებზე, მიუხედავად იმისა, იძულებითია თუ ნებაყოფლობითი ქორწინება. რესპონდენტთა თქმით, ასაკობრივ განსხვავებას განაპირობებს ისეთი ნორმები, რომლებიც უკავშირდება ნაყოფიერებას (გოგონების შემთხვევაში) და ოჯახის უზრუნველყოფის ვალდებულებას (ბიჭების შემთხვევაში). აუცილებელია ჩატარდეს შემდგომი კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განსხვავდება ქორწინება სხვადასხვა თემში, რადგან საქორწინო ცერემონიები ხშირად გამოიყენება საზოგადოებაში სოციალური მდგომარეობის გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევისას ეს საკითხი უშუალოდ არ გამოვლენილა, უნდა ითქვას, რომ ხშირად პროგრამული სტრატეგიები მიმართულია ქორწინებასა და საზოგადოებაში სტატუსს შორის არსებული კავშირის შესუსტებისკენ.

შედეგები. **ქორწინებამდე: გზა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისკენ.** რაც შეეხება წინასაქორწინო პერიოდს, რესპონდენტებმა შენიშნეს, რომ შემთხვევათა უმეტესობაში არ არსებობს რაიმე კონკრეტული გზა ან მექანიზმი იმის განსაზღვრისთვის, თუ როგორ ხდება ქორწინება. წარსულში მოქმედებდა მაჭანკლების ინსტიტუტი, რომლებიც ისე აგვარებდნენ ქორწინებას, რომ არც ქალს და არც ვაჟს არ ეძლეოდათ გადაწყვეტილების მიღების ან აზრის გამოთქმის საშუალება. ეს ინსტიტუტი დღესაც ფუნქციონირებს (როგორც გამოირკვა თბილისში, კახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად), თუმცა რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ახლა გოგონასა და ბიჭის თანხმობა აუცილებელია. მარნეულში (ქვემო ქართლი) 15-17 წლის ახალგაზრდებთან ფოკუსჯგუფში ჩატარებული დისკუსიის დროს მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ „ჩვეულების" მიხედვით, როდესაც ბიჭს მოსწონს გოგონა, ბიჭის მშობლები მიდიან გოგონას ოჯახში მისი „ხელის სათხოვნელად".

მონაცემები მიუთითებს, რომ ქორწინება ნიშნობის შემდეგ ნორმად ითვლება. თუმცა ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მათ ნიშნობა არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ტრადიციულად ჯერ ნიშნობა ტარდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ახალგაზრდას (განსაკუთრებით გოგონას) ჯერ 18 წელი არ შესრულებია.

> *„ჩვენი ტრადიციის მიხედვით, მე მას ხელი ვთხოვე და შემდეგ ნიშნობის ცერემონია გვქონდა. ამის შემდეგ ჩვენ დანიშნულები ვიყავით 8-9 თვე და როდესაც რამდენიმე საკითხი მოვაგვარეთ, დავქორწინდით. ჩვენ ტრადიციული ქორწილი გვქონდა"* (17 წლის დაქორწინებული მამაკაცი, ლაგოდეხი, კახეთი).

შემთხვევათა უმეტესობაში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ *„ნიშნობა ყოველთვის მთავრდება ქორწინებით"* (31 წლის ქალი, თბილისი), თუმცა ნახსენები იქნა ჩაშლილი ნიშნობის შემთხვევებიც, რადგან *„ნიშნობის ჩაშლა უფრო ადვილია, ვიდრე ქორწინებისა"* (22 წლის დაქორწინებული ქალი, რუსთავი). შეკითხვაზე „არსებობს თუ არა სტიგმა ჩაშლილ ნიშნობებთან დაკავშირებით, რესპონდენტთა პასუხები განსხვავდებოდა. როდესაც ნიშნობა იშლება, ბიჭი და გოგო უბრალოდ *„აბრუნებენ ფულს და ყველაფერს, რაც ერთმანეთის ოჯახებისგან მიიღეს"* (23 წლის დაუქორწინებელი ქალი თბილისიდან).

> *„ნიშნობა ურთიერთობის მიღებული ფორმაა ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა ეს არ არის აუცილებელი წინაპირობა ქორწინებისთვის. ხანდახან ისეც ხდება, რომ ნიშნობა უქმდება. ნიშნობა საშუალებას აძლევს ადმიანებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. შეიძლება 3 თვე და მეტიც იყო დანიშნული. ამ ხნის განმავლობაში ადამიანს აქვს დრო, უკეთ გაიცნოს პარტნიორი. მაგრამ თუ ისეთი რამ აღმოაჩინე, რაც არ მოგწონს, ნიშნობა არ გავალდებულებს, დაქორწინდე"* (17 წლის ქორწინებაში მყოფი ქალი თბილისიდან).

ნიშნობის რიტუალი გულისხმობს „ტკბილეულის გაგზავნას მეუღლის ოჯახისთვის ნიშნობის ცერემონიის შემდეგ" (ქალი მარნეულიდან, ქვემო ქართლი), რასაც მოსდევს ქორწილი და რელიგიური ცერემონია. მუსლიმ თემებში, მაგალითად, მარნეულში, გოგონები იკრიბებიან პატარძლის სახლში და ერთმანეთს ინას უსვამენ ხელებზე.

ასაკობრივი განსხვავება ნეფე-პატარძალს შორის. უმეტეს შემთხვევებში, და ეს ეხება ყველა შესწავლილ რეგიონს, გოგონები ბიჭებზე უმცროსი ასაკის არიან. მონაწილეთა პასუხების ანალიზი მიუთითებს, რომ ასაკობრივი სხვაობა გოგონებსა და ბიჭებს შორის საშუალოდ 2-3 წელია, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც მამაკაცი გაცილებით უფროსი იყო გოგონაზე. ერთ-ერთმა ქალმა რესპონდენტმა განმარტა, რომ დიდი ასაკობრივი სხვაობა მასსა და მის მეუღლეს შორის

შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი ფაქტორი, რატომაც ის დათანხმდა ქორწინებას. მისი თქმით, ის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ სცოდნოდა, რას ნიშნავს, იყო დაქორწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება 18 წელზე უმცროს ბიჭებშიც გვხვდება, გამოკითხული გოგონების უმეტესობას ჯერ არ შესრულებოდა 18 წელი, მაშინ, როდესაც მათი მეუღლეები 18 წელზე მეტის იყვნენ. ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვით გოგონები უპირატესობას ანიჭებენ ასაკით უფროს ბიჭებს, ხოლო ბიჭებს ურჩევნიათ, ასაკით უმცროს გოგონებზე იქორწინონ. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით, გოგონა უმცროსი უნდა იყოს ბიჭზე, ხოლო ქმარი - ცოლზე უფროსი.

ეს ტენდენცია შეიძლება აიხსნას გავრცელებული მცდარი შეხედულებით, რომ ახალგაზრდა გოგონები უფრო ნაყოფიერები არიან, ხოლო ასაკით შედარებით უფროს მამაკაცებს უკეთ შეუძლიათ ოჯახების შენახვა.

ზოგიერთ შეთმხვევაში, მშობლები, რომლებიც ცდილობენ, თავად მოძებნონ ახალგაზრდა გოგონა საკუთარი ვაჟისთვის საცოლედ, თავადვე ამყარებენ სტერეოტიპს. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დედამისი 17-18 წლის გოგონას ეძებს მისი 29 წლის ძმისთვის. მან ასევე დასძინა, რომ დროთა განმავლობაში ძმამაც გაითავისა ეს სურვილი და ახლა თვითონ მასაც უნდა ახალგაზრდა საცოლე. შედარებით უფროსი ასაკის რძლის პერსპექტივა ხშირად უკიდურესად მძაფრ ემოციებსაც კი იწვევს. ამას ადასტურებს ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც აღნიშნავს: *„დედაჩემი თავსაც მოიკლავს, თუ მომავალი რძალი 25 წელზე მეტი ხნის იქნება“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია მასწავლებლებთან, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

3.3 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორები

მიმოხილვა. საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს, რომლებიც თვისებრივი კვლევების დროს ჩატარებულ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებში სახელდება. ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს „შეყვარებულ“ მოზარდთა შორის გავრცელებული ტენდენცია, დაქორწინდნენ ნაადრევად, რასაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი ახალი თაობისთვის მინიჭებული თავისუფლების მაღალი ხარისხით ხსნის. თუმცა უფრო ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაცილებით დიდია იმ ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც სასიყვარულო ურთიერთობაში მყოფ ახალგაზრდებს აიძულებს, დაქორწინდნენ. პირველი, რაც უბიძგებს ახალგაზრდებს ნაადრევად ქორწინებისაკენ, არის საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმა, რომელიც უკრძალავს მათ, თავისუფლად ხვდებოდნენ შეყვარებულებს, ქორწინება კი ლეგიტიმაციას აძლევს მსგავს შეხვედრებს ქალსა და ვაჟს შორის. მეორე, უმკაცრესი ნორმა, რომელიც უკრძალავს მოზარდებს ქორწინებამდე სქესობრივი ცხოვრების დაწყებას, ამავდროულად აიძულებს მათ, გამოიყენონ ქორწინება როგორც საზოგადოებისთვის მისაღები ალტერნატივა საკუთარი სექსუალობის შესასწავლად. მესამე ნორმა უკავშირდება მამაკაცურობის გავრცელებულ ფენომენს, რომელიც ახალისებს მამაკაცებს, როგორც სექსუალურ ქმნილებებს, და ნებას რთავს ბიჭს, ჰქონდეს სექსი გარდატეხის ასაკში, განსხვავებით მისივე ასაკის გოგონასაგან. მეოთხე ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიების გაზრდილი მოხმარება, რაც ზღუდავს სივრცეს სოციალური აქტივობებისა და გართობისთვის, შესაბამისად, მოზარდები ერთმანეთს მხოლოდ სოციალური ქსელების მეშვეობით ეკონტაქტებიან, რეალურ ცხოვრებაში კი ეძებენ

მნიშვნელოვან ურთიერთობებს. მეხუთე მიზეზად უმუშევრობასთან დაკავშირებული ეკონომიკური გამოწვევები სახელდება, რაც აიძულებს ოჯახებს, ქორწინება გამოიყენონ როგორც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება. მეექვსე არის საზოგადოებრივი წნეხი, რომელიც გოგონას სტიგმატიზებას ახდენს, თუ ის დაუქორწინებელია 20 წლის ასაკში, რაც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. გარდა ამისა, უფროს თაობასთან და დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრების ტრადიციამ ასევე წარმოქმნა ის კონტექსტი, სადაც დედამთილს ურჩევნია, ახალგაზრდა რძალი ჰყავდეს, რომელსაც იოლად „გამოზრდის“. და ბოლოს, სხეულის ფორმების ცვლილება ხშირად ის ინდიკატორია, რომელიც განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა გოგონა უკვე ქალად ჩაითვალოს. ხშირ შემთხვევაში პუბერტატის სტადიაში მყოფი გოგონა ზრდასრულად გამოიყურება, რაც მას ნაადრევი ქორწინების კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ აყენებს. ამ ფაქტორების ურთიერთგადაკვეთის ტენდენცია, საბოლოო ჯამში, ქმნის ხელსაყრელ პირობას მოზარდთა ნაადრევი ქორწინებისთვის, ხოლო მათ შესაძლებლობებსა და არჩევანს მნიშვნელოვნად ზღუდავს.

შედეგები. **პაემანებზე სიარული და შეყვარებულობის პერიოდი.** თავდაპირველად კვლევებში იკვეთებოდა მკვეთრი ტენდენცია, რომ „შეყვარებულობა“ პირდაპირ კავშირში იყო მოზარდებს შორის ნაადრევი ქორწინების მოთხოვნილებასთან. თავად მოზარდები, მშობლები და მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები მოზარდთა ადრეულ ქორწინებას ხსნიან *„დიდი სიყვარულით, ვნებით“* (17 წლის გოგონა, სამცხე-ჯავახეთი). საგარეჯოში, კახეთის რეგიონში, სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას ახალგაზრდებისთვის ვითომდა მიცემული *„მეტი თავისუფლებით“* ხსნის. ასევე მასწავლებელი თბილისიდან აცხადებს, რომ *„თანამედროვე გოგონებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების მეტი საშუალება აქვთ. ისინი ირჩევენ პარტნიორებს საკუთარი საჭიროებების მიხედვით“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია მასწავლებლებთან, თბილისი).

თუ პაემანზე სიარულის ფენომენს უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ, მოზარდთა შორის ნაადრევი ქორწინების გამომწვევ მიზეზად ის საზოგადოებრივი ნორმაც გვევლინება, რომელიც უკრძალავს მათ თავისუფლად შეხვედრას. როდესაც მოზარდები ხვდებიან, რომ მათ არ შეუძლიათ თავისუფლად შეხვდნენ ერთმანეთს, ისინი ირჩევენ ქორწინების გზით გადაჭრან ეს პრობლემა. როგორც ერთ-ერთი გამოკითხული რუსთავიდან ამბობს: *„მე ვფიქრობ, შეყვარებული ადამიანის შეზღუდვით მშობლები თავად უბიძგებენ მათ, რომ დაქორწინდნენ.“* (17 წლის გოგონა ქვემო ქართლიდან). ეს შეზღუდვები გულისხმობს საჯარო სივრცეში შეხვედრებსაც, მაგალითად, გოგონებისთვის მეგობრებთან შეხვედრის აკრძალვას, მათი *„თავისუფლების”* და *„დამოუკიდებელ ცხოვრებაზე უფლების”* შეზღუდვას.

სექსი, სექსუალობა და ქორწინება. არსებობს მტკიცებულებები, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება იყო ერთადერთი ალტერნატივა მოზარდებისათვის, რომელთაც უნდოდათ ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობების გამოცდილება მიეღოთ, თუმცა მკაცრი საზოგადოებრივი ნორმების თანახმად, გოგონებს ეკრძალებათ ქორწინებამდე მსგავსი ურთიერთობების დამყარება:

> *„როგორც ცნობილია, კავკასიაში ქალწულობას მეტისმეტად მაღალი შეფასება აქვს, ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს ან აზერბაიჯანს, არამედ მთლიანად კავკასიას, ეს ჩვენი ტრადიციაა, ჩვენი სქესობრივი ცხოვრება მხოლოდ ოჯახის შიგნით ხდება, როგორც წესი, ქორწინების ფარგლებში* (ქალი, ოჯახის წევრი, თბილისი).

ამ ნორმების მიუხედავად, არის შემთხვევები, როდესაც გოგონები სქესობრივ ურთიერთობას ქორწინებამდე ამყარებენ და ზოგ შემთხვევაში ორსულდებიან კიდეც ამ ურთიერთობის შედეგად, რაც უმეტესად ქორწინებით სრულდება. როგორც გოგონას დედა იმერეთიდან გვიხსნის, ქორწინებამდე სექსიც არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი, რადგან მშობლები „გადაირევიან", თუ გაიგეს, რომ მათ შვილს ქორწინებამდე ჰქონდა სექსი.

მასკულინური ნორმები, რომლებიც ამყარებს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას. არსებობს ასევე მტკიცებულებები იმისა, რომ გარკვეული პრაქტიკა აძლიერებს იმ ნორმებს, რომელთა მიხედვით ის, რომ მამაკაცებს სექსი ესაჭიროებათ, მამაკაცურობად აღიქმება, და ამყარებს მამაკაცების მიმართ მოლოდინს, რომ ისინი უნდა იყვნენ ოჯახის მარჩენალები. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკის დაძლევის საკითხში ბიჭებისა და მამაკაცების ჩართულობის მნიშვნელობას (Greene et al., 2015). მათი, როგორც რელიგიური ლიდერების, მამების, ქმრების, ძმების და თანატოლების, როლი უდავოდ დიდი ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ფორმირებისას და, თუ გავითვალისწინებთ ამ მოსაზრების სიხშირეს კვლევის შედეგებში, მასკულინური ნორმები შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნეს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემის დაძლევის საქმეში.

ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, რომ მამების ტრადიციული რიტუალი ჯერ კიდევ ძალაშია: მათ გარდატეხის ასაკში მყოფი ვაჟები სექსმუშაკებთან მიჰყავთ „გამოცდილების მისაღებად" (32 წლის ქალი, თბილისი), რაც ამყარებს მასკულინობისა და სექსუალობის ურთიერთდამაკავშირებელ ნორმას. შესაბამისად, მამაკაცებს შეუძლიათ დაქორწინდნენ სექსის შესახებ საფუძვლიანი ცოდნით, მაშინ, როდესაც გოგონები უნდა იყვნენ ქალწულები. მამაკაცების ქორწინებამდე სექსუალური ცხოვრების წახალისება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების დეფიციტის პირობებში ზრდის ქმრიდან ცოლზე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციის გავრცელების რისკს.

ალბათ ყველაზე უფრო დომინანტი მასკულინური ნორმა მაინც ის არის, რომ კაცები უნდა იყვნენ მთავარი შემომტანები და ოჯახის თავები, რაც ვაჟებსაც აფიქრებინებს, რომ ისინი არიან ოჯახის თავკაცები და, როგორც წესი, პატარა ასაკიდანვე ირგებენ ამ როლს.

ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის გავლენა. ისეთ ადგილებში, სადაც თანატოლებთან ურთიერთობა და რეკრიაციული აქტივობები ნაკლებად გვხვდება, განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში, მოზარდები ციფრული ტექნოლოგიების იმედად რჩებიან და ამ გზით კონტაქტობენ საკუთარ თანატოლებთან.

როგორც ზრდასრულები, ასევე მოზარდები თვლიან, რომ მობილური ტელეფონები და სოციალური მედია მოზარდებს შორის მყარი ურთიერთობების ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორია, რაც თანატოლების შეხვედრებითა და კომუნიკაციით გრძელდება. გამოკითხული მოზარდები თვლიან, რომ ტექნოლოგიები და მედია „უზარმაზარ როლს" ასრულებს თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრებაში, რადგან დიდწილად სოციალურ ქსელზე არიან დამოკიდებულნი, და ამითვე ხსნიან, რომ ხშირად წყვილები სწორედ ქსელების საშუალებით ხვდებიან და უყვარდებათ ერთმანეთი.

ეს ტენდენცია გლობალურია და მან მოზარდებს შორის მეგობრული და სასიყვარულო ურთიერთობების ხასიათი შეცვალა, თუმცა ზოგიერთი მოზარდი წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მოზარდები მხოლოდ ვირტუალურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან ინტერნეტის მეშვეობით და როდესაც რეალურ ცხოვრებაში ხვდებიან, ჰგონიათ, რომ „ერთმანეთი უყვართ".

შესაძლოა, ეს დაგვეხმაროს იმ მოსაზრების ახსნაშიც, რომ განქორწინების მაჩვენებელი ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში მაღალია (იხილეთ ქვეთავი 4.2.3). ამის მიუხედავად, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მოზარდები მთელ ქვეყანაში ეძებენ შესაძლებლობებს, რომ საინტერესო ურთიერთობა დაამყარონ თანატოლებთან.

ეკონომიკური წნეხი. მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგიური ნაშრომების ავტორები აღნიშნავენ, რომ, გარდა სოციალური წნეხისა, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მიზეზი ფინანსური სიდუხჭირეც არის. კვლევის მონაცემებით, ეს ტენდენცია საქართველოშიც აღინიშნება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ოჯახები იქმნება „იმიტომ, რომ საკუთარ ოჯახში გოგონები განიცდიან სიდუხჭირეს და მას გაურბიან“ (30 წლის მამაკაცი, ქვემო ქართლი). ხშირად გვხვდება ისტორიები, რომლებშიც მოზარდები ქორწინდებიან მხოლოდ იმიტომ, „რომ უკეთესად გამოიკვებონ“ (სამოქალაქო საზოგადოების წევრი, იმერეთი) ან თავი დააღწიონ ოჯახში გამეფებულ უგულებელყოფას, რაც ასევე რამდენჯერმე გაჟღერდა ინტერვიუებში (ფოკუსჯგუფში დისკუსია 13-17 წლის ბიჭებთან, თბილისი). კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ქორწინება ხშირად არის რთული ოჯახური პირობებისთვის, სადაც ძალადობა ჩვეულებრივი ამბავია, თავის დაღწევის საშუალება.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა კვლევის დროს დედებმა დაადასტურეს, რომ მათი ქალიშვილის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო მოტივაცია, რომ დაექორწინებინათ ვაჟზე, რომლის ოჯახს უკეთესი მატერიალური პირობების შეთავაზება შეეძლო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფესვგადგმული გენდერული ნორმების მიხედვით, დედის მთავარი როლია მომავლის შიში და წუხილი, ხოლო მამებს უფრო გადაწყვეტილების მიმღების როლი აკისრიათ.

როგორც ყველა რეგიონში ჩატარებულმა ინტერვიუებმა გვაჩვენა, ბიჭებისათვის მზითევი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რის გამოც ქორწინდებიან: *„უამრავი შემთხვევაა ეკონომიკური მიზეზით გამოწვეული ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა, მათი 80% დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობის და როგორი მზითევი „მოჰყვება“ გოგოს და თუ როგორი ფინანსური მდგომარეობა აქვს ქალის და ვაჟის ოჯახს* (ფოკუსჯგუფში დისკუსია მასწავლებლებთან, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

გარდა ამისა, როგორც კვლევის შედეგებიდან იკვეთება, ქორწინება საქართველოში ხშირად არის მიჩნეული ორი ოჯახის გაერთიანებად. ძლიერი კავშირების დამყარება ხშირად არის ქორწინების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, ოჯახი წყვეტს, თუ ვისზე და როდის უნდა დააქორწინოს მოზარდი. როგორც ჩვენი კვლევის მონაცემებმა გვაჩვენა, საბოლოო ჯამში თავად მოზარდებიც ითავისებენ საკუთარი მშობლების სურვილს, გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა და, მიუხედავად იმისა, რომ მათ აიძულებენ ნაადრევად დაქორწინებას, მაინც ცდილობენ, საკუთარი მშობლების გადაწყვეტილებას რაციონალური ახსნა მოუძებნონ და აცხადებენ, რომ „ბედნიერები არიან”.

მონაწილეები ასევე ამხელდნენ, რომ ფინანსური სიდუხჭირე ხელს უშლიდა მათ სწავლის გაგრძელებაში, რასაც შეიძლება „ფინანსური იძულება” ვუწოდოთ რაც ნიშნავს, რომ იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ აქვთ განათლება, ერთადერთ გზად დაქორწინება რჩება (ეს საკითხი ქვემოთაცაა განხილული).

მართლაც, მასობრივი უმუშევრობა ქვეყანაში და სამუშაო ადგილების სიმცირე მიჩნეული იქნა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ერთ-ერთ წინაპირობად. ქვემოთ მოცემულ ციტატებში მონაწილეები ცდილობენ, ახსნან, რომ მაღალი კონკურენციის, დასაქმების დაბალი მაჩვენებ-

ლისა და პროფესიული განათლების ნაკლები შესაძლებლობების პირობებში ქორწინება წინსვლის მარტივი საშუალებაა.

> *„ვფიქრობ, ადრეული ქორწინებების უმთავრესი მიზეზი ფინანსური პრობლემებია. ამ ასაკში მოზარდები განიცდიან იმედგაცრუებას, სწავლისაგან არანაირი მოლოდინი არ აქვთ. როცა მშობლები ამჩნევენ, რომ მოზარდი სწავლას გულს ვერ უდებს, იღებენ გადაწყვეტილებას, დააქორწინონ ის, გოგონა იქნება თუ ვაჟი, და ამის მიღმა ლოგიკა არის ის, რომ ქორწინებით საკუთარ შვილებს დაიცავენ ამორალური ცხოვრებისაგან. ანუ ისინი ქორწინებას მიიჩნევენ ამ სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად"* (ინტერვიუ პედაგოგთან, სამცხე-ჯავახეთი).

სოციალური წნეხი უბიძგებს გოგონებს ქორწინებისკენ მანამ, სანამ „ძალიან გვიანი არ არის". ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების კიდევ ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი არის საზოგადოებრივი აზრი, რაც აიძულებს მშობლებს და გოგონებს, იზრუნონ გოგონების ნაადრევად დაქორწინებაზე. ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ, საზოგადოების აზრით, 22 წლის ზემოთ გოგონას დაქორწინება დაგვიანებულად ითვლება, ხოლო 26 წლის და მეტი ასაკის გოგონები „შინაბერებად" მოიხსენებიან. ამ დროს მეზობლები დაჟინებით იწყებენ შეკითხვების დასმას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის აპირებს გოგონა დაქორწინებას. არსებობს მტკიცებულებები, რომ სადედამთილოებიც ცდილობენ, იპოვონ შედარებით ახალგაზრდა სარძლოები, რათა მათი გაზრდა უფრო მარტივი იყოს, ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის ქალებისა.

ქორწინებისთვის მინიჭებული მნიშვნელობა მეტისმეტად მაღალია, რაც ამ ციტატებითაც დასტურდება. უფრო მეტიც, თუ წყვილი დანიშნულია, საზოგადოება აგრძელებს მათზე ზეწოლას, რომ დროულად დაქორწინდნენ, რადგან მხოლოდ ნიშნობაც უარყოფითად აღიქმება საზოგადოებაში.

ამის ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ *„ნებისმიერ თანაცხოვრებას საქართველოში ეძახიან ქორწინებას"* (28 წლის ქალი, თბილისი) იმის გამო, რომ ეს გულისხმობს ქორწინების გარეშე სექსუალურ ურთიერთობებს, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ საზოგადოება ქორწინებამდე სექსს ტაბუდადებულ საკითხად განიხილავს. შესაბამისად, საზოგადოებრივი აღქმა განაპირობებს იმ ზეწოლას, რომელიც აიძულებს მოზარდებს, ნაადრევად დაქორწინდნენ.

მოწიფულობაში გადასვლა. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მოზარდი გოგონების გარეგნობა: როგორც წესი, პუბერტატის სტადიაში მყოფი გოგონა, რომელიც მოზარდობიდან ზრდასრულობაში გარდამავალ ეტაპზეა, მამაკაცებზე და უფროსი ასაკის სხვა ადამიანებზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი მზად არის ქორწინებისთვის. ასაკიც და გარეგნობაც ითვლება საკმარის ინდიკატორებად და გამოკითხულებიც აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი გოგონა ამ ნიშან-თვისებებს სხვებზე უფრო ადრე ამჟღავნებს:

> *„ჩვენს თემში ადვილია დაქალდე და დაქორწინდე. თუ ბავშვი გამოიყურება როგორც ქალი და ასაკიც ხელს უწყობს, ის შეიძლება მარტივად დაქორწინდეს. სხვა ბარიერი მისთვის არ არსებობს"* (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან. ქვემო ქართლი).

> *„ზოგიერთ გოგონას პუბერტატი შედარებით ადრე ეწყება. სწორედ ეს არის ხშირად მიზეზი ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა"* (ქალი, ოჯახის წევრი. თბილისი).

მართლაც, კვლევებიც ადასტურებს, რომ გოგონას გარეგნული ნიშნით გამოხატული „მომწიფებულობა“ არის ქორწინებისათვის მზაობის განმსაზღვრელი ფაქტორი. უფრო მეტიც, მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ გოგონები უფრო მალე მწიფდებიან, ვიდრე ბიჭები და ამიტომაც არის, რომ ისინი უფრო ადრე ქორწინდებიან, ვიდრე ბიჭები:

> *„რა თქმა უნდა, გოგონები უფრო ადრე მწიფდებიან, ვიდრე ვაჟები, რადგან ისინი უფრო სწრაფად იზრდებიან. როგორც უკვე აღვნიშნე, 9-10-11-12 წელი გოგონებთან ბავშვობის დასასრულია“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან).

ერთ-ერთ ინტერვიუში აღინიშნა, რომ ბათუმში, აჭარაში, ქორწინებამდე ერთი დღით ადრე წყვილის დედები მიდიან მეჩეთში იმამთან ტკბილეულით და ახტის ცერემონიას ატარებენ, რომლის დროსაც იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა გადააქციონ გოგონა ქალად, თუმცა ეს მხოლოდ საუბრის გზით ხდება. ამ რიტუალის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოზარდები ბავშვებად ითვლებიან ქორწინებამდე, ხოლო ქორწინების შემდეგ მათ ზრდასრულებად მიიჩნევენ, ანუ ქორწინება განიხილება ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადამყვან ცერემონიად. მართლაც, ზოგიერთი მონაწილის აზრით, ბიჭი ითვლება ზრდასრულად მას შემდეგ, რაც ის თავზე იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს და ვალდებული ხდება, იზრუნოს საკუთარ ოჯახზე (ფოკუსჯგუფში დისკუსია 13-17 წლის ბიჭებთან. თბილისი).

> *„თუ გოგონა ზრდასრულად გამოიყურება და მზად არის დაქორწინებისთვის, ჩვენ მას ვრთავთ ნებას, დაქორწინდეს. ჩვენ არ გვაქვს წინადაცვეთის ტრადიცია ან რაიმე მსგავსი რამ და არც მომავალში გვექნება. მთავარია, გოგო იყოს 17-18 წლის და მზად იყოს ქორწინებისთვის, რაც საკმარისია“ (ქალი, ოჯახის წევრი, ქვემო ქართლი).*

3.4 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისათვის წინააღმდეგობის გაწევა

მიმოხილვა: ამ კვლევაში ნაკლებად არის წარმოდგენილი მოზარდთა მიერ ადრეული ქორწინების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მაგალითები. თუმცა არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა დაუქორწინებელი გოგონების სამომავლო გეგმებში ქორწინება არ შედის. როგორც კვლევიდან ირკვევა, საზოგადოება ქორწინებას ხშირად აღიქვამს განათლების მიღების და დასაქმების შესაძლებლობის ხელშემშლელ ფაქტორად. არსებობს შემთხვევები, როდესაც დაქორწინებული წყვილები ახერხებენ მუშაობას, განათლებას და ოჯახის შენარჩუნებას. ასეთი მაგალითები ნათლად გვაჩვენებს, რომ ქორწინებაში ყოფნასთან ერთად მუშაობა ან თუნდაც განათლების მიღება შესაძლებელია. სწორ ჩარევას შეუძლია გააძლიეროს გოგონების საგანმანათლებლო და სასიცოცხლოდ საჭირო უნარების ჩამოყალიბება ქორწინებამდე და მის შემდეგაც.

შედეგები: გამოკითხვის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ძალიან ცოტაა შემთხვევები, როდესაც მოზარდები წინააღმდეგობას უწევენ მშობლების მიერ თავსმოხვეულ ქორწინებას. არსებობს მოსაზრება, რომ გოგონები უფრო მეტად ხდებიან მსგავსი ქორწინების მსხვერპლნი და ბიჭებზე ნაკლები უფლებები აქვთ. გურჯაანში გამოკითხვისას მკვლევარებს გაუზიარეს ამბავი იძულებითი ქორწინების შესახებ, როდესაც გოგონას არ უნდოდა დაქორწინება, მაგრამ ვერ გადალახა მშობლების ნება:

> *„არასდროს მსმენია, კაცს ცოლის მოყვანა არ უნდოდეს და ვინმემ იძულებით დააქორწინოს, მაგრამ შემიძლია ერთი შემთხვევის შესახებ მოგიყვეთ: ჩემს ბიძაშვილს გოგოზე დაქორწინება უნდოდა, მაგრამ გოგო*

თანახმა არ იყო. მიუხედავად ამისა, მისმა მშობლებმა ჩემს ბიძაშვილზე დაქორწინება აიძულეს“ (17 წლის დაქორწინებული ვაჟი, კახეთი).

ამის მიუხედავად, არსებობს უკეთესი შემთხვევებიც, როდესაც გოგონების მშობლები პრიორიტეტს განათლებას და დასაქმებას ანიჭებენ, მაშინაც კი, როდესაც მათ შვილებს სასიყვარულო ურთიერთობა აქვთ. ერთმა ჟურნლისტმა გვიამბო ისტორია მოზარდი გოგონას შესახებ, რომელსაც დაქორწინებას აიძულებდნენ, მაგრამ მან არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა, ისინი კი, თავის მხრივ, ადრეულ ქორწინებას შეეწინააღმდეგნენ. თბილისელი ახალგაზრდა დაუქორწინებელი ქალი აღნიშნავდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ქალებს აქვთ არჩევანი, დაქორწინდნენ თუ არა და რომ იძულებითი ქორწინების ან მოტაცების შემთხვევაში მათ ამგვარი არჩევანი არ აქვთ. რამდენიმე მოზარდმა რესპონდენტმა თავადაც გამოთქვა ოჯახის შექმნამდე კარიერის ქონის სურვილი (იხილეთ ვრცლად ქვეთავი 3.5.1).

„მე პირადად ყოველთვის მქონდა გეგმები და ვთვლი, რომ ოჯახის შექმნა განათლების მიღებაში ხელს შემიშლის, თუმცა ვინ იცის, შეიძლება მეც შევიცვალო ჩემი მოსაზრება“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია 15-17 წლის დაუქორწინებელ გოგონებთან, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

3.5 ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედეგები

3.5.1 განათლება და ბავშვთა ქორწინება

მიმოხილვა: მკვლევართა ჯგუფმა რესპონდენტებს დაუსვა შეკითხვები, რათა გაეგოთ, თუ რას ფიქრობენ ისინი ქორწინებასა და განათლებას შორის კავშირზე. განათლება და ქორწინება ფართო დიაპაზონის ორ სხვადასხვა მხარეს მდებარეობს, რაც გულისხმობს, რომ ბევრი გოგონა წყვეტს სწავლას ადრეული ქორწინების გამო. ამ შეუთავსებლობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ძნელია ბალანსის დაცვა განათლებასა და გოგონებზე ქორწინების შემდეგ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას შორის. გოგონებისთვის სწავლის გაგრძელების უფლება დაქორწინების შემდეგ, განსხვავებით ბიჭებისაგან, იშვიათი გამონაკლისია და გადაწყვეტილება ქმრის ან დედამთილ/მამამთილის ხელშია. გამოკითხულთა უმრავლესობა თანხმდება, რომ განათლება გოგონებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი სწავლის მთავარი მიზანია, რომ მათ შეძლონ ბავშვების კარგად აღზრდა. არსებობენ გოგონები და ქალები, რომლებსაც უფრო დიდი მოთხოვნილებები გააჩნიათ და თვლიან, რომ განათლება მათთვისვეა მნიშვნელოვანი. იშვიათ შემთხვევებში ქორწინება შესაძლოა გადაიდოს, როდესაც ოჯახი და უახლოესი წრე მხარს უჭერენ გოგონას განათლების მიღებაში და ეხმარებიან მას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. კვლევის ის მიგნებები, რომლებიც ეხება უფრო ფართო კეთილდღეობას და მისწრაფებებს, ხშირად ხდება სასარგებლო პოლიტიკისა და ინტერვენციების ჩამოსაყალიბებლად.

შედეგები: **კავშირი ადრეულ ქორწინებასა და მისწრაფებებს შორის.** კავშირი განათლების ხარისხსა და ადრეულ ქორწინებას შორის მსოფლიოს სოციოლოგიურ ლიტერატურაში ვრცლად არის აღწერილი და საქართველოშიც იგივე ფაქტორები თამაშობს დიდ როლს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგერთი მონაწილე თვლიდა, რომ ადრეულ ქორწინებას და განათლებას შორის კავშირი არ არსებობს, უმეტესობას მიაჩნია, რომ ქორწინებას და სასკოლო განათლების შეწყვეტას შორის პირდაპირი კავშირია. მაგალითად, თბილისელ მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფში დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ საქართველოში გოგონათა ორი კატეგორია არსებობს: *„ერთნი, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ ქორწინდებიან,*

მეორენი კი - უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ".

აღინიშნა შემთხვევები, როდესაც ქალები ამჩნევენ, თუ რამდენად „შეცვალა" ქორწინებამ მათი სამომავლო გეგმები. მაგალითად, 17 წლის ქორწინებაში მყოფმა გოგონამ აღნიშნა: „რომ არ დავქორწინებულიყავი, ახლა კარგი სამსახური და პროფესია მექნებოდა". ასეთ დამოკიდებულებას გასაუბრებისას ხშირად ავლენენ ქორწინებაში მყოფი ადამიანები, უმეტესად ქალები. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ქალები დასაქმებულნი არიან, მათ უჭირთ ოჯახის და სამუშაოსთვის საკმარისი დროის დათმობა და „იდეალური ქალის" ცხოვრებით ცხოვრება:

> *„ჩვენთვის, ქალებისთვის, ბევრად მეტი სირთულე არსებობს. პირველ რიგში, ჩვენ ორმაგი ტვირთის ტარება გვიწევს. სამსახურში ჩვენ კარგი მმართველები, ზოგჯერ მკაცრებიც კი უნდა ვიყოთ, სახლში კი მოსიყვარულე მშობლები და მეუღლეები. უნდა ვეთამაშოთ ბავშვებს, მოვუაროთ და დავასუფთაოთ სახლი, ვრეცხოთ, ვამზადოთ სადილი და ამ ყველაფერთან ერთად კარგ ხასიათზე ყოფნაც გვევალება - არ უნდა გავბრაზდეთ. ერთი სიტყვით, სტანდარტი ქალებისთვის ძალიან მაღალია და ჩემი პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ არც სამსახურში და არც ოჯახში არ შეგვიძლია ხარისხის დაკლება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვინ ხვდება სტრესის ქვეშ? - რა თქმა უნდა, მე" (სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი თბილისიდან).*

ბიჭების შემთხვევაში ნაკლებად ხდება, რომ მათი ოცნებები თუ სურვილები ქორწინების გამო აუხდენელი დარჩეს. ამასთან, ბიჭების ერთ-ერთ ცხოვრებისეულ მიზნად ოჯახზე პასუხისმგებლობის აღება ითვლება და დაქორწინებით ისინი ამ მოლოდინს ამართლებენ. 17 წლის მოზარდი თბილისიდან აღწერს თავის სურვილს, თუ რატომ უნდა, რომ გახდეს ოჯახზე პასუხისმგებელი პირი:

> *„დამოკიდებულია ბიჭზე: ბევრი ოცნებობს კარგ მანქანაზე, კარგ სახლზე და ა.შ. ჩემთვის კარგი ცხოვრება ნიშნავს ჩემი ოჯახის ბედნიერებას; სიმართლე გითხრათ, არ მინდა მილიარდერი ვიყო, უბრალოდ მინდა მქონდეს საკმარისი ფული ოჯახის უზრუნველსაყოფად".*

მოზარდი გოგონებისთვის მშობლების მხრიდან განათლების მიღებაში მხარდაჭერის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მამაკაცი ღიად ეწინააღმდეგება გოგონებისთვის და ქალებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობას, კვლევის მონაწილეები დაწვრილებით აღეწერენ განათლების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას. გამოკითხულები მხარს უჭერდნენ ქალების მიერ განათლების მიღებას, მაგრამ, ამასთანავე, ისინი ფიქრობდნენ, რომ სწავლასთან ერთად რთული (თუ არა შეუძლებელი) იქნებოდა მეუღლის და განსაკუთრებით მშობლის მოვალეობების შესრულება. ამასთანავე, მათ აღნიშნეს, რომ სწავლა მეორეხარისხოვანია მაშინ, როდესაც ქალებისგან დიასახლისის მოვალეობების შესრულებას და ბავშვების აღზრდას მოელიან. ზოგ შემთხვევაში ქალების მიერ განათლების გაგრძელებაში მხარდაჭერასთან დაკავშირებით მეტი ნიუანსები გამოვლინდა, რესპონდენტები განიხილავდნენ გოგონების განათლებისთვის მეუღლის, ოჯახის წევრებისა და რელიგიური თუ საზოგადოების სხვა ლიდერების მხრიდან მხარდაჭერაზე.

რესპონდენტები ყველა რეგიონსა და ჯგუფში თანხმდებოდნენ, რომ საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ბიჭების და საზოგადოდ მამაკაცების მიერ განათლების მიღებას. უმეტესობა თანხმდებოდა ქალების მიერ დაწყებითი განათლების მიღების მნიშვნელობაზე, მაგრამ ნაკლებად უჭერდნენ მხარს გოგონების მიერ საშუალო და

განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. თუმცა, ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მამაკაცები უნდა დაქორწინდნენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის/მისი დამთავრების შემდეგ, რათა შეძლონ მათ მიმართ არსებული სხვადასხვაგვარი მოლოდინის გამართლება და გახდნენ ოჯახის მარჩენალები:

> *„ჩემი აზრით, ბიჭები არ უნდა დაქორწინდნენ, თუ არ გააჩნიათ საკუთარი სახლი, შემოსავალი, თუკი ფულს ჯერ კიდევ მშობლებს სთხოვენ და ოჯახზე არიან დამოკიდებულნი. ვფიქრობ, ადამიანს უნდა რცხვენოდეს, სთხოვოს თავის ოჯახს ფული, როდესაც მეუღლე და საკუთარი ოჯახი აქვს. ქორწინებამდე მამაკაცებს უამრავ საკითხზე დაფიქრება მართებთ. გოგონებსაც, ეს მხოლოდ ბიჭებს არ ეხებათ. რა თქმა უნდა, მამაკაცები ოჯახის ლიდერები არიან, ეს ყოველთვის ასე იყო, მაგრამ ქალებსაც აქვთ საკუთარი მოვალეობები. ოჯახში უნდა იყოს ურთიერთგაგება, მაგრამ, ამასთანავე, მამაკაცებსაც და ქალებსაც პირადი ცხოვრება და რესურსები უნდა გააჩნდეთ, როგორიცაა სამსახური, მანქანა, სახლი, დამოუკიდებლობა. გოგონებმა არ უნდა იჩქარონ ოჯახის შექმნა. მათ უნდა ისწავლონ, აიწყონ კარიერა. მანამდე ქორწინება სასურველი არ არის“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია 10-15 წლის გოგონებთან).

ქალებისა და გოგონების მიერ განათლების გაგრძელება ხშირად ოჯახის მხრიდან ფინანსურ დასხვა სახის მხარდაჭერას საჭიროებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მისაღებად თვლის და მხარს უჭერს ქალების მიერ დაწყებითი განათლების მიღებას, ოჯახის მხრიდან ფინანსური დახმარება მაინც მნიშვნელოვანია საშუალო, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების (მაგალითად, უნივერსიტეტში სწავლა) მისაღებად.

სხვადასხვა ჯგუფი, როგორიცაა დაქორწინებული ქალები, დაუქორწინებელი მამაკაცები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, გოგონებისთვის სწავლის შეწყვეტის მიზეზად ოჯახების ხელმოკლეობას და ხშირად არსებობისთვის ბრძოლას ასახელებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა საშუალო განათლება საქართველოში უფასოა, გოგონებისადმი საშუალო განათლების მიღებაში მხარდაჭერის ნაკლებობა უფრო მეტად გამოწვეულია სხვა პასუხისმგებლობებით, რომლებიც მათ სიმწიფის ასაკიდან აკისრიათ და რომლებიც უფრო მყარ დასაყრდენად მიაჩნიათ, ვიდრე გოგონებისთვის განათლების მიღების საშუალების მიცემა.

როგორც კახეთში დაქორწინებულ ქალებთან და თბილისში დაუქორწინებელ ბიჭებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფში დისკუსიის მონაწილეებმა, ასევე სამცხე-ჯავახეთში რელიგიურმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ თუკი მამაკაცის შემოსავალი საკმარისად მაღალია, ცოლს არ სჭირდება მიიღოს განათლება ან დაიწყოს მუშაობა.

კიდევ ერთი ფოკუსჯგუფი თბილისიდან, რომელიც დაუქორწინებელი მამაკაცებისგან შედგება, მსგავსად დანარჩენებისა მიიჩნევს, რომ ბიჭებს სჭირდებათ განათლება უკეთესი შემოსავლის მისაღებად. მასწავლებლები ეთანხმებიან აზრს, რომ ახალგაზრდებმა სწავლა უნდა განაგრძონ, *„თუ შეუძლიათ [სწავლასთან დაკავშირებული] ხარჯების დაფარვა”* (მასწავლებელი იმერეთიდან).

რელიგიური ლიდერები, რომლებიც მონაწილეობდნენ თბილისის მეჩეთში გამართულ ფოკუსჯგუფის დისკუსიაში, ასევე ამტკიცებდნენ, რომ დანიშნულ წყვილს - როგორც ვაჟს, ასევე გოგონას - შეუძლია განაგრძოს სწავლა, თუ მათი მშობლები ეხმარებიან მათ და მხარს უჭერენ ქორწინებას:

> *„მე ვფიქრობ, ბავშვებს დიდი ყურადღება სჭირდებათ და თუ წყვილის მშობლები დაეხმარებიან, ისინი ყველაფერს შეძლებენ.*

თუ არ ეხმარებიან, მაშინ წყვილმა რაიმე უნდა დათმოს“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან, თბილისი).

მაშინ, როდესაც გოგონებისთვის დაწყებითი და საშუალო განათლების საჭიროების საკითხმა ნაკლები ყოყმანი გამოიწვია, რამდენიმე მონაწილემ, როგორც ქალაქის ასევე სოფლის წარმომადგენლებმა, მეტი თავშეკავება გამოავლინა იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გააგრძელონ თუ არა გოგონებმა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეების აზრით, ახალგაზრდების მიერ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა უკავშირდება რამდენიმე წინაპირობას, განსაკუთრებით, როცა საქმე გოგონებს ეხება: ერთი - თუ მამას აქვს ფული და მეორე - თუ დედამთილი მხარს უჭერს განათლების გაგრძელებას. ქუთაისში ფოკუსჯგუფში ჩატარებულ დისკუსიაში ერთმანეთისადმი მხარდაჭერას გამოხატავდნენ დედები და ოჯახის წევრი ქალები, რომლებიც საუბრობდნენ თავიანთი ქალიშვილების განათლებაში ჩადებული ინვესტიციის შესახებ და აცხადებდნენ, რომ „საშინელებაა”, როდესაც დედები ვერ აღწევენ ქალიშვილების განათლების მიზანს.

ქორწინებაში მყოფ გოგონებს სკოლაში სიარული ეკრძალებათ. მასწავლებელი, რომელიც მუშაობდა ქართულ და აზერბაიჯანულ სკოლებში, საუბრობს იმის შესახებ, რომ სკოლის ადმინისტრაციაც და მშობლებიც ქორწინებაში მყოფ გოგონებს უკრძალავენ სკოლაში სიარულს და ამას იმით ხსნიან, რომ ქორწინებაში მყოფი გოგონები ახლა სხვა გოგონებსაც „გააფუჭებენ“. სკოლებში საკითხიც კი დაისვა, რომ ქორწინებაში მხოფი გოგონების დასწრებისა და მათზე სკოლის ატესტატების გაცემის წესი ოდნავ სახეცვლილი სახით მიეღოთ (დამატებით ამ თემაზე იხილეთ ქვეთავი 3.3.3). პედაგოგის აზრით, ამის მიზეზია ის, რომ ქორწინებაში მყოფი გოგონა ითვლება ცხოვრების ახალ - „ქალურ“ - ეტაპზე გადასულად და აღიქმება როგორც სექსუალურად აქტიური, შესაბამისად, ის არასასურველი მეგობარია თავისი დაუქორწინებელი თანატოლებისთვის. ოჯახის ქალი წევრებიც ემხრობიან იმას, რომ ქორწინებაში მყოფი ქალი არ უნდა დადიოდეს სკოლაში, რადგან ოჯახს უნდა მიხედოს.

ხარჯალში ზოგიერთი შემთხვევის აღწერისას გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთ გოგონას არ უშვებენ სკოლაში მოტაცების შიშის გამო. და თუმცა ქორწინების მიზნით მოტაცების შემთხვევები ნაკლებად გვხვდება იმ თემებშიც კი, სადაც ეს ტრადიციულად მიღებული ფორმა იყო, გოგონების სკოლიდან გამოყვანა ქორწინების და ორსულობის გამო კვლავაც გრძელდება და ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს პოლიტიკისა და პროგრამული ინტერვენციების სტრატეგიებში.

ქმრები, რომლებიც ემხრობიან ცოლების მიერ განათლების მიღებას, ხშირად იღებდნენ გადაწყვეტილებას გოგონას მიერ სწავლის გაგრძელების შესახებ. ახალგაზრდა ქმარი გარდაბნის სოფლიდან, ქვემო ქართლში, მოუწოდებდა საკუთარ ცოლს, გაეგრძელებინა სწავლა, თუმცა, როგორც ის ხსნის, თავად მეუღლეს არ უნდოდა სწავლის გაგრძელება:

„...ჩემი აზრით, უმჯობესია და აუცილებელიც კი, გოგონამ მიიღოს უმაღლესი განათლება. როგორც ვთქვი, მინდოდა, ჩემს მეუღლეს გაეგრძელებინა სწავლა უმაღლესში, მაგრამ მან ეს არ მოისურვა და გამოვიდა სასწავლებლიდან. ამის გამო ვიკამათეთ კიდეც. უმაღლესი განათლება თანაბრად მნიშვნელოვანია ბიჭისა და გოგოსთვის. ქორწინებას დიდი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს ოჯახზე, მაგალითად, ჩემს მეუღლეს არ სურდა სწავლის გაგრძელება, მე კი ჩემმა მშობლებმა მირჩიეს, სასულიერო განათლება მიმეღო და ეს ქორწინებასთან არ იყო კავშირში“.

ქმართან ინტერვიუ იყო იმის ნათელი მაგალითი, თუ რამდენად კომპლექსურია სოციალური ნორმების გავლენა, ასევე ინდივიდებისა და

წყვილების გამოცდილება ქორწინებასთან, განათლებასა და ჯანმრთელობასთან (ორსულობა და მშობიარობა) დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნულმა მამაკაცმა აღიარა, რომ საზოგადოდ მის თემში ქალის განათლებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. თუმცა ის თავად აფასებს განათლებას და უნდა გახდეს მასწავლებელი, რაც ხსნის იმასაც, რომ საკუთარი ცოლის განათლებასაც მხარს უჭერს. წყვილის ასაკობრივი სიახლოვე (ქორწინების დროს ვაჟი 17 წლის იყო, ქალი კი 16-ის) თავისთავად გენდერული როლების თვალსაზრისით თანასწორი ურთიერთობის გარანტი არ არის, მაგრამ იმაზე უფრო სამართლიანი პარტნიორობის ჩამოყალიბების წინაპირობა შეიძლება იყოს, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, გოგონა რომ თავისზე ბევრად უფროს მამაკაცს გაჰყოლოდა ცოლად. საბოლოოდ, ამავე ქმრის ამბავმა გამოავლინა, რომ მის თემში მკაცრი ნორმა არსებობს *გოგონას/ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ქორწინების პირველსავე წელს უნდა გაუჩნდეს შვილი* (თორემ სხვა შემთხვევაში ჭორების საფუძველი ჩნდება). შესაძლებელია, გოგონამ ამ შემთხვევაში უარი განაცხადა სკოლაში სიარულზე (მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ქმრისგან მხარდაჭერა ჰქონდა) სწორედ საზოგადოების მოლოდინის გამო, რომ მისი უპირველესი მოვალეობაა, იყოს ცოლი და დედა. კიდევ უფრო ღრმა კვლევებმა შესაძლოა ეს დინამიკა უკეთ გამოავლინოს და უფრო ნათელი სურათი შექმნას განათლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქალების, როგორც ცოლებისა და დედების, მიმართ არსებული სხვადასხვაგვარი მოლოდინის ურთიერთგავლენასთან მიმართებაში.

მსგავს სიტუაციაში ახალგაზრდა ქორწინებაში მყოფი ქალი პანკისიდან (კახეთი) საუბრობს, თუ როგორ წაიყვანა რელიგიურმა ლიდერმა საკუთარი ცოლი უნივერსიტეტში და გარეთ ელოდებოდა, სანამ ის არ დაასრულებდა სწავლას. თუმცა მანვე აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათობაა.

დაქორწინებული მამაკაცების მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (მაგ., ფოკუსჯგუფი 15-17 წლის ბიჭებთან მარნეულში, ქვემო ქართლი). მამაკაცები ზოგადად უპირატესობას ანიჭებდნენ საშუალო განათლების მიღებას, უმნიშვნელო განსხვავებებით თემის წევრების მოსაზრებებს შორის:

> *„ზოგადად გოგონების განათლება პრიორიტეტი არ არის; მათი განათლება მიუღებელია. ყველა ფიქრობს, რომ მათი სწავლა არ წარმოადგენს აუცილებლობას, რადგან შუა სწავლაში აუცილებლად გათხოვდება, რატომ უნდა დავხარჯოთ ამაზე ენერგია! ამიტომაც არ აძლევენ ისინი გოგონებს განათლებას.*
>
> - *გოგონები ძირითადად გამოჰყავთ სკოლიდან მე-9 კლასში.*
> - *ჩვენთან ასე არ არის: გოგონები და ბიჭები ერთნაირად იღებენ განათლებას.*
> - *ჩვენს თემში ყველგან ერთნაირი სიტუაცია არ არის. არის კატეგორია, რომელიც გოგონებსაც აძლევს განათლებას, და არის კატეგორია, რომელიც არ აძლევს. მიდგომები განსხვავდება“.*

ამავდროულად, დაქორწინებული მამაკაცების უმრავლესობა ქვემო ქართლში განათლებას პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიებს და ამბობს, რომ ბიჭები უმეტესად განათლებულ გოგონებზე დაქორწინებას ამჯობინებენ, მოუხედავად იმ აღქმისა, რომ ქორწინება განათლების შესაძლებლობას ზღუდავს. მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ ბიჭები „ოცნებობენ” განათლებულ გოგონებზე და რომ ბევრ ოჯახს სურს „განათლებული გოგონა რძლად”.

დაქორწინებული მამაკაცები რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან აცხადებდნენ, რომ მათთვის ცნობილია იმ შეზღუდვებისა და დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც ქალებს

ექმნებათ განათლებასთან დაკავშირებით დაქორწინების შემდეგ.

ახალგაზრდა ქორწინებაში მყოფი ქალები (18-24 წლის), რომლებიც მონაწილეობდნენ კახეთში ფოკუსჯგუფში დისკუსიაში, აცხადებდნენ, რომ მამაკაცის განათლების დონე განაპირობებს მათ სამართლიან დამოკიდებულებას: „ის მამაკაცები, რომლებსაც კარგი განათლება აქვთ, განსხვავებულად აზროვნებენ.“ ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ ნასწავლი ქმრები საკუთარ ცოლებსაც აძლევენ სწავლის საშუალებას.

„გოგონებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ“: ქალების და გოგონების განათლება, მაგრამ ვისთვის? ქალების და გოგონების განათლება გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ის სასარგებლოა მათი შვილებისთვის, ანუ იგულისხმება, რომ გოგონებმა უნდა აღზარდონ და ასწავლონ საკუთარ შვილებს და ქმრების ნაცვლადაც აკეთონ ეს. ზოგიერთი დაქორწინებული კაცი ან რელიგიური ლიდერი ამბობდა, რომ დედის განათლება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მათ კარგად გაზარდონ შვილები, თუმცა იყვნენ ისეთი მამაკაცებიც, რომლებიც სრულად ეწინააღმდეგებოდნენ განათლების მიღებას, განიხილავდნენ რა მას ოჯახისთვის ხელის შემშლელ მოვლენად და თვლიდნენ, რომ „ოჯახი უფრო მნიშვნელოვანია“. 18 წლამდე დაუქორწინებელი გოგონა იშველიებდა გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ *„ყოველი ჭკვიანი და წარმატებული კაცის უკან ყოველთვის დგას განათლებული ქალი“* და დასძენდა: *„არა მგონია, ვინმეს უნდოდეს უწიგნური ცოლი, რომელიც ბავშვებს ვერ გაზრდის“.*

რელიგიური ლიდერები ზოგადად მხარს უჭერდნენ გოგონების განათლებას, მაგრამ განმარტავდნენ, რომ განათლებას თავისი საფასური აქვს და რომ ქალი უნდა იყოს კარგად განათლებული, რომ შეძლოს შვილების კარგად აღზრდა (რელიგიური ლიდერები აჭარაში). ისინი ასევე იშველიებენ ისლამის ნორმებს, რომლებიც მხარს უჭერს კაცებისა და ქალების განათლებას.

დაქორწინებული გოგონა (12-17 წელი) ლაგოდეხიდან მოყვა, თუ როგორ მიიღო მამამისმა გადაწყვეტილება მის ნაცვლად და გამოიყენა საკუთარი გავლენა პოლიციაზე, რათა მის ქალიშვილს სკოლაში სიარულისთვის თავი დაენებებინა. გოგონას თქმით, მამამისი ფიქრობდა, რომ დაქორწინებული გოგონები მუდმივი პასუხისმგებლობის წნეხის ქვეშ იმყოფებიან და რომ განათლებისთვის არ რჩება ადგილი, როდესაც საქმე ასეთ პასუხისმგებლობას ეხება.

მნიშვნელოვანია, რომ გოგონები და სხვა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ განათლება მნიშვნელოვანია თავად ქალებისა და გოგონებისთვის, რადგან ისინი გოგონებსა და ბიჭებს თანაბარი უფლებების მქონე პირებად მიიჩნევენ, ამიტომ განათლება ორივემ უნდა განაგრძოს. ეს ყველას მომავლისთვის უკეთესია და თუკი წყვილი ერთმანეთს დაშორდება, ქალს უნდა შეეძლოს თავის რჩენა. ამავე დროს, დაუქორწინებელი გოგონები კახეთიდან თვლიან, რომ ისინიც და მათი თემის წევრებიც აფასებენ განათლებას და სურთ, რომ განათლება იყოს პრიორიტეტული, თუმცა ზოგ შემთხვევაში ოჯახები არ უჭერენ მხარს მოზარდებს.

გოგონები და ქალები ქორწინებასა და სწავლას შორის რთულ ურთიერთკავშირსა და განათლების მიღების ძლიერ სურვილზე საუბრობენ. კახეთში ქორწინებაში მყოფ გოგონასთან ჩაწერილი ინტერვიუს მსგავსად, გოგონები ხშირად გამოთქვამენ სურვილს, განაგრძონ სწავლა, მაგრამ ვერ ახერხებენ ამას, რადგან სკოლა და დაქორწინება ერთმანეთთან შეუთავსებელია და კიდევ იმიტომ, რომ ოჯახის წევრები, დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი მამაკაცები, უქმნიან წინააღმდეგობას გოგონებს სწავლასა და ოჯახს შორის ვითომ საჭირო ბალანსის მოთხოვნით. ზოგიერთი გოგონა კი თვლიდა, რომ თუკი ისინი განაგრძობდნენ სწავლას, მაშინ ვერ დაქორწინდებოდნენ.

ფოკუსჯგუფში ფასილიტატორი ეკითხებოდა 18-24 წლის ქორწინებაში მყოფ ქალებს პანკისიდან, მოახდინა თუ არა გავლენა მათზე ქორწინებამ:

> *ზოგიერთი ქორწინებაში მყოფი ქალი ამბობდა: მე მინდოდა, მე მინდოდა რომ... მე ისე ძალიან მინდოდა....*
> *ფასილიტატორი ეკითხება №1 ქორწინებაში მყოფ ქალს: არ გინდოდა გესწავლა?*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №1 პასუხობს: თუ სწავლას მოვინდომებდი, ვერ გავთხოვდებოდი.*
> *ფასილიტატორი: შენი ნებით დაქორწინდი? თუ ვინმემ გითხრა, რომ დაქორწინებულიყავი?*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №1: ჩემი სურვილით.*
> *ფასილიტატორი: ანუ სწავლა არ გინდოდა?*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №1: მინდოდა, მაგრამ მაინც გავთხოვდი.*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №2: მეგონა, ისინი მომცემდნენ სწავლის საშულებას გათხოვების შემდეგაც ...[...] დედამთილმა სკოლაში გამიშვა და ატესტატი ავიღე, მაგრამ გამოცდები ვერ ჩავაბარე, რადგან დროულად ვერ დავრეგისტრირდი... [...] მერე მალე დავორსულდი და მაშინ ვთქვი, ბავშვი რომ წამოიზრდება, მერე ვისწავლიმეთქი.*
> *ფასილიტატორი: ანუ ქორწინებას არ შეუშლია ხელი სწავლაში, მაგრამ ორსულობის გამო ვეღარ შეძელი?*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №2: დიახ.*
> *ქორწინებაში მყოფი ქალი №3: მე სულ ვიმეორებ, რომ 80 წლისაც რომ ვიყო, სწავლას მაინც დავამთვრებ-მეთქი.*

ზოგიერთი გოგონა და ქალი დაუბრუნდა განათლებას ქორწინებისა და ორსულობის შემდეგ, ხოლო 18 წელზე ახალგაზრდა ერთი გოგონა ამბობს, რომ ის უფრო მეტად გახდა მოტივირებული, რომ ესწავლა (24). თუმცა სწავლის გაგრძელება თბილისის გარდა არცერთ ადგილზე არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. განსხვავებით სხვა ადგილებისგან, თბილისში გამოკითხულთა პირადი მაგალითებით და მათი მისწრაფებებით დასტურდება, რომ გოგონებს ქორწინების შემდგომაც სურთ განათლების მიღება. 25 წლის ქალი აცხადებდა, რომ იგი უმაღლესი განათლებისა და პროფესიის ქონის მნიშვნელობას მხოლოდ დაქორწინების შემდეგ მიხვდა.

გოგონები ხშირად ყვებოდნენ გენდერული გაყოფის შესახებ, რომლის მიხედვით მამაკაცი მოიაზრება როგორც ოჯახის მარჩენალი და უფროსი, ხოლო ქალი როგორც საშინაო საქმეზე პასუხისმგებელი. 15 წლის გოგონებისგან შემდგარ ფოკუსჯგუფში (თბილისი) მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ქალმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იმუშაოს, თუ ქმარი ვერ გამოიმუშავებს საკმარის თანხას. ეს იმის ნიშანია, რომ გოგონები ქალის მონაწილეობას შრომით საქმიანობაში უფრო ვალდებულებად მიიჩნევენ, ვიდრე მათი გაძლიერების საშუალებად: *„თუ კაცის შემოსავალი საკმარისად მაღალია ოჯახისთვის, ცოლის მუშაობა არ არის აუცილებელი“.*

განათლებასთან დაკავშირებული მისწრაფებები და ქორწინების რეალობა სხვადასხვაა, თუმცა შესაძლებელია მათი შერწყმაც. 12-17 წლამდე ასაკის დაქორწინებული ბიჭები ლაგოდეხიდან, კახეთის რეგიონი, ამბობენ, რომ დაპირება და რეალობა სხვადასხვაა:

> *„როდესაც ახალგაზრდები ქორწინდებიან, ბიჭები პირდებიან გოგონებს, რომ ისინი ნებას მისცემენ, სწავლა განაგრძონ და ასე შემდეგ. მაგრამ რეალურად ხდება ისე, რომ ბიჭი ქორწინდება სკოლის მოსწავლე გოგონაზე და მერე ავიწყდება ეს პირობა. შესაბამისად, გოგონას უწევს სკოლის დატოვება. რა თქმა უნდა, ქორწინება არის ბარიერი, რომ გოგონამ ისწავლოს სკოლაში და უნივერსიტეტში“* (17 წლის ვაჟი, კახეთი).

12-17 წლის დაუქორწინებელ გოგონებთან ზუგდიდში ჩატარებული ფოკუსჯგუფში დისკუსიის

დროს მონაწილეებმა იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს განათლებასთან დაკავშირებული გეგმები. იმავე ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ გვითხრა, რომ ის უკვე არ იყო ქორწინების წინააღმდეგი, მაგრამ ჯერ უნდოდა სკოლის დამთავრება და არ სურდა, ქმარზე ყოფილიყო დამოკიდებული, ხოლო მეორემ განაცხადა, რომ დაქორწინებამდე სურს საკუთარი თავი უკეთ შეიმეცნოს.

3.5.2 ზეგავლენა ჯანმრთელობაზე

მიმოხილვა. გოგონების ოჯახური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს მათ წინაშე არსებული ჯანმრთელობის რისკებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე, რადგან გოგონები, რომლებიც თხოვდებიან ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში, ნაკლებად სავარაუდოა, მზად იყვნენ ჯანსაღი ორსულობისა და მშობიარობისთვის. არსებობს მტკიცებულებები, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ზრდის დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის რისკს (Nove et al., 2014; Raj & Boehmer, 2013; Raj 2010). მონაწილეთა უმრავლესობა ეთანხმებოდა და ამჟღავნებდა ცოდნას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თანმდევი ჯანმრთელობის რისკების შესახებ, დაწყებული მშობიარობის შემდგომი გართულებებით და დამთავრებული ფსიქოლოგიური ტრავმებით, რაც სწორედ ამ ტიპის ქორწინებას ახლავს თან. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს არ დაუხასიათებიათ მშობიარობის შემდგომი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ზოგიერთმა მათგანმა ისაუბრა იმაზე, რომ ახალგაზრდა გოგონები არ არიან მზად ოჯახური ცხოვრების სტრესისათვის და არც ბავშვის დაბადებისთვის. ისინი ასევე ახსენებდნენ სტრესის ნეგატიურ ზეგავლენას ბავშვებზე, რაც მათზე გადადის მოზარდი დედებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, მუდმივ სტრესში იმყოფებიან. კვლევებით დასტურდება, რომ გოგონებს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე უფრო იოლად მიუწვდებათ ხელი, თუ ისინი დაქორწინებულები არიან, უმეტესწილად იმის გამო, რომ მკაცრი ნორმები და სირცხვილის განცდა უკრძალავს გოგონას, დაიწყოს სქესობრივი ცხოვრება ქორწინებამდე. საინტერესო იყო, რომ არც ახალგაზრდა მამაკაცები, არც ქალები და არც რელიგიური ლიდერები არ ეწინააღმდეგებოდნენ რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე ქორწინებამდე წვდომის საჭიროებას. უფრო მეტიც, ყველანი აღიარებდნენ მის მნიშვნელობას. აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა იმასთან დაკავშირებით, უნდა ახლდეს თუ არა ოჯახის რომელიმე წევრი და განსაკუთრებით ქმარი ახალგაზრდა ქალს გინეკოლოგთან ვიზიტებისას. ამ ტიპის უხერხულობის განცდა გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ ანიჭებდნენ გამოკითხულები ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ ჯანდაცვის საკითხებს უფრო დიდ მნიშვნელობას, ვიდრე სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებს.

შედეგები. ეს კვლევა ორიენტირებულია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასპექტებზე, მაგრამ ამავდროულად მოიცავს უფრო ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენას ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობაზე ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ზეგავლენის შესახებ ცოდნა და ინფორმირებულობა. გამოკითხულები, კერძოდ, დაუქორწინებელი გოგონები და სხვა ჯგუფების უმრავლესობაც, მათ შორის რელიგიური ლიდერები, ამჟღავნებდნენ ცოდნას დედის, ახალშობილის, ჩვილის და ბავშვის ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკების შესახებ 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში. მათი აზრით, გოგონების სხეული მეტისმეტად პატარაა ბავშვის სატარებლად ამ ასაკში და ორსულობისა და მშობიარობის პროცესში გართულებების რისკებიც უფრო მაღალია. თუმცა დაქორწინებული და დაუქორწინებელი

გოგონები და ახალგაზრდა ქალები, ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, მიუთითებდნენ, რომ გოგონები განიცდიან განათლების ნაკლებობას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, არ იციან, თუ რა დღეებში შეიძლება დაორსულება, როგორ მიიღონ სიამოვნება, რა არის სხეული, ურთიერთობა და როგორ აირიდონ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. ნახსენები იყო მცირეწლოვანი დედების ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენა, როგორც ამას ქვემოთ მოტანილი ამონარიდიც ადასტურებს:

> *„ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ბავშვის ჯანმრთელობაზეც, რადგან ამ დროისათვის თავად დედაც არაა ჩამოყალიბებული და მას თავად ესაჭიროება განვითარება“* (სამოქალაქო საზოგადოების წევრი, სამცხე-ჯავახეთი).

ქორწინებასთან დაკავშირებული ნორმების გავლენა გინეკოლოგიური სერვისების გამოყენებაზე. მონაწილეები ხაზს უსვამდნენ, რომ გოგონები გინეკოლოგთან მიდიან მხოლოდ ქორწინების შემდეგ, სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში ან ორსულობის დროს, და რომ არ იტარებენ რუტინულ შემოწმებას. სამედიცინო მუშაკმა აჭარიდან დასძინა, რომ ქორწინებამდე გოგონები იშვიათად თუ აკითხავენ გინეკოლოგის კაბინეტს და ამ შემთხვევაში ცდილობენ, ფარულად იმოქმედონ. კვლევის მონაწილეები სხვადასხვა რეგიონიდან და ჯგუფიდან ხაზს უსვამენ, რომ დაუქორწინებელი გოგონებისთვის ტაბუდადებულია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები. ქორწინებამდე გოგონები გინეკოლოგთან არც მარტო და არც რუტინული გამოკვლევებისთვის მიდიან. თუ ისინი მაინც გადაწყვეტენ ამ სერვისებით სარგებლობას, მათ აუცილებლად მშობელი უნდა ახლდეს.

გოგონები, ოჯახის წევრები, ქმრები და ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები თითქმის ერთხმად ადასტურებენ, რომ ხშირად გოგონები (ქორწინებამდე) გინეკოლოგს მათი „ქალწულობის დადგენის“ მიზნით აკითხავენ, ანუ პარტნიორები/ოჯახის წევრები მოითხოვენ, რომ გამოკვლეული იქნეს გოგონას საქალწულე აპკი და მოპოვებული იქნეს სამედიცინო ცნობა, რომ გოგონა ნამდვილად ქალწულია. ქალის და გოგონას ქალწულობა განაპირობებს იმას, თუ რამდენად სასურველია პარტნიორისთვის მასზე დაქორწინება.

უკვე დაქორწინებული გოგონებისა და ქალებისათვის მისაღებია რუტინული გინეკოლოგიური გამოკვლევებისთვის ექიმთან სიარული. რესპონდენტებმა განსხვავებული პასუხები გასცეს შეკითხვას იმის შესახებ, თუ ვისთან ერთად შეიძლება წავიდეს ქალი გამოკვლევაზე - მარტო, დედამთილთან თუ ქმართან ერთად, თუ ქმარი წინააღმდეგი არ არის. ზოგიერთ თემში ქმრის თანხლება მიუღებელი იყო. ახალგაზრდა ქალების ჯგუფის წევრები კახეთიდან აცხადებდნენ, რომ ქმარი გარეთ უნდა იცდიდეს, რადგან ისინი უხერხულად იგრძნობენ თავს, თუ ქმარი შევა საკონსულტაციო ოთახში.

დაუქორწინებელი თუ დაქორწინებული გოგონების მხრიდან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებასთან დაკავშირებული სირცხვილი და უხერხულობა თითქმის ყველა ინტერვიუში გამოიკვეთა. დაუქორწინებელი და დაქორწინებული ახალგაზრდა მამაკაცები ასევე საუბრობდნენ შიშზე, რომ ინფორმაციას არ მიეღწია ოჯახის სხვა წევრებამდე და რომ მამაკაცებს არაფერი ესაქმებათ ამ სისტემაში, მარტო თუ ცოლებთან ერთად:

> *„ზოგჯერ ისინი ფიქრობენ, რომ თუკი მივლენ ექიმთან, ნათესავები ყველაფერს გაიგებენ“ (17 წლის რესპონდენტი, შიდა ქართლი).*
>
> *„მე ვფიქრობ, რომ გოგონები ქორწინებამდე არ მიდიან გინეკოლოგთან. მე მსგავსი რამ არ გამიგია, რა თქმა უნდა, გათხოვების*

შემდეგ, როცა ორსულდებიან, ყველა მიდის გინეკოლოგთან. ...კაცები საერთოდ იშვიათად დადიან ექიმებთან. ისინი ფიქრობენ, რომ ჯანმრთელები არიან და რომ მათ ექიმის გარეშეც შეუძლიათ გადალახონ ნებისმიერი ტკივილი სახლში“ (დაქორწინებული მამაკაცი გარდაბნიდან, ქვემო ქართლი).

„თუ გოგონა გაუთხოვარია, ეს უკვე მისთვის ბარიერს წარმოადგენს [რომ გაესინჯოს გინეკოლოგს]“ (ახალგაზრდა დაქორწინებული ქალების (18-24 წლის) ფოკუსჯგუფი). სხვების მსგავსად, დაქორწინებული ქალებიც ამბობდნენ, რომ არ სმენიათ იმ დაუქორწინებელი ქალების/გოგონების შესახებ, რომლებიც მიმართავდნენ გინეკოლოგიურ მომსახურებას. თბილისელი დაუქორწინებელი 18-24 წლის ახალგაზრდა ქალების თქმით, გოგონები/ქალები შეიძლება მივიდნენ გინეკოლოგთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აწუხებთ უშვილობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ შემთხვევაშიც მამაკაცები მათ არ მიჰყვებიან ექიმთან.

ყველაზე აშკარა შედეგი ამ გამოკვლევისა იყო ის, რომ დაუქორწინებელი გოგონები მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე დგანან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღების დროს. სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეები - დაქორწინებული ახალგაზრდა ქალები და კაცები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის რელიგიური და სათემო ლიდერები - აცხადებდნენ, რომ დაუქორწინებელი გოგონები თავს არიდებენ ჯანდაცვის სერვისების მიღებას ტაბუს გამო, რადგან ოჯახის წევრებმა შეიძლება გაიგონ მათი ქორწინებამდე სექსის ან სხვა ურთიერთობების შესახებ.

როგორც დაქორწინებული, ასევე დაუქორწინებელი გოგონები/ქალები, ვაჟები/მამაკაცები და სხვა მონაწილეები, მათ შორის ოჯახის წევრებიც, აღწერდნენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებთან დაკავშირებულ სტიგმას და გამოწვევებს, რომლებსაც დაუქორწინებელი გოგონები აწყდებიან. ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერდა იმას, რომ გოგონებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ამ სერვისებზე, სხვები კი ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რატომ არის აუცილებელი დედამთილებისა და ქმრების თანხლება ამ ვიზიტების დროს ქორწინებამდე. მაგრამ თითქმის არავინ საუბრობდა იმაზე, რომ დაუქორწინებელი გოგონებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები (მარტო ან სხვისი თანხლებით). ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ბავშვებისა და მოზარდებისთვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა განპირობებულია მათი ფინანსური დამოკიდებულებით მშობლებზე, რაც მიჩნეული იქნა მოზარდებისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორებად, რადგან მათ ეშინიათ, რომ მოუწევთ, მშობლებს გაუმხილონ ექიმთან ვიზიტის მიზეზი.

უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მონაწილეები, ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები, რელიგიური ლიდერები, რომლებიც საუბრობდნენ გინეკოლოგთან წაუსვლელობის მიზეზებზე, სავარაუდოდ, თავად არ ეწინააღმდეგებოდნენ გოგონების მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების გამოყენებას. ისინი უბრალოდ ამგვარი სერვისების რელევანტურობას აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ. რელიგიურმა ლიდერებმა დაუქორწინებელი გოგონებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის მიმართ მხარდამჭერი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს და განაცხადეს, რომ გოგონებმა დაქორწინებამდეც უნდა ისარგებლონ გინეკოლოგიური მომსახურებით. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიიჩნევდნენ რელიგიას დამაბრკოლებელ გარემოებად (მაგალითად, რელიგიური ლიდერი აჭარიდან).

ასევე, რელიგიურმა ლიდერმა სამეგრელოზემო სვანეთში შეკითხვაზე, უნდა წავიდეს თუ არა გოგონა გინეკოლოგთან, უპასუხა: *„რა განსხვავებაა, მას გული ეტკინება თუ მუცელი? თუ*

აუცილებელია, ექიმს უნდა მიმართოს, არანაირი ბარიერი არ უნდა არსებობდეს.“

ნორმები, რომელთა მიხედვით მხოლოდ დაუქორწინებელი გოგონები შეიძლება იყვნენ სექსუალურად აქტიურები, ასევე უზღუდავს დაუქორწინებელ გოგონებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღების შესაძლებლობას. გოგონები თავს არიდებენ ამ სერვისების გამოყენებას, რათა ოჯახმა არ შეიტყოს მათი სქესობრივი ცხოვრების, სექსუალური იდენტობის ან ურთიერთობების შესახებ. ამ გზით ისინი ცდილობენ, თავიდან აიცილონ კონფლიქტი ოჯახთან, რამაც შესაძლებელია წყვილის დაშორებაც გამოიწვიოს. ახალგაზრდა დაქორწინებული მამაკაცი თბილისიდან შემდეგნაირად აღწერს ამ დინამიკას:

> *„მისი ოჯახი მიიღებს ამის შესახებ ინფორმაციას, [გამოარკვევს] და მან (გოგონამ) არ იცის, ამ დროს რა მოხდება. დიდი ომი და უსიამოვნება რომ მოჰყვეს? შესაძლებელია, ამის გამო მშობლებიც კი დაშორდნენ ერთმანეთს და როდესაც გოგონა ამას იაზრებს, ის ექიმთან წასვლაზე უარს ამბობს და არჩევს ალტერნატიული გზებით იმკურნალოს, სვამს რაღაც წამლებს, [რასაც ნათესავები ან მეზობლები მისცემენ]* (17 წლის ბიჭი, შიდა ქართლი).

შედეგად გოგონები ხშირად თავს არიდებენ ჯანდაცვის სერვისების მიღებას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სერიოზული საშიშროების წინაშე დგნან, მაგალითად, როდესაც მათ ემუქრება პირველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ მოსალოდნელი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციის ან ორსულობის და არაფორმალური პროცედურების ჩატარების საფრთხე. მონაწილეები იშვიათად ახსენებდნენ აბორტს, თუმცა, როდესაც ისინი ამ საკითხს ეხებოდნენ, ყველა - დაქორწინებული და დაუქორწინებელი გოგონები, ასევე სერვისის მიმწოდებლები - გამოთქვამდა შეშფოთებას დაუცველი და იატაკქვეშა აბორტების საშიშროებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქვემოთ მოცემული ამონარიდი მოწმობს იმას, რომ აბორტი ახალგაზრდა ქალების მიერ აღიქმება როგორც ქორწინებისაგან თავის არიდების საშუალება, რადგან გაბატონებული ნორმები ქორწინებამდე კრძალავს როგორც სექსს, ასევე ბავშვის ყოლას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აბორტი ტარდება „სარდაფებში” და რომ მათი რიცხვის დადგენა შეუძლებელია.

დაუქორწინებელი გოგონების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუსჯგუფში დისკუსიის მონაწილეები საუბრობდნენ აბორტისა და მასთან დაკავშირებული სერვისების ხელმისაწვდომობაზე:

> *დაუქორწინებელი გოგონა: როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, გოგონებს რცხვენოდათ გინეკოლოგთან წასვლა. ჩემი კლასელი მე-9 კლასში ორსულად იყო. მას რცხვენოდა ამის შესახებ ეთქვა დედისთვის ან დისთვის. საბოლოოდ როგორ დასრულდა, არ ვიცი, ბიჭი მეათეკლასელი იყო. მგონი, ბოლოს დეიდამ წაიყვანა ექიმთან აბორტის გასაკეთებლად.*
> *ფასილიტატორი: შენ როგორ მოიქცეოდი, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ან კონსულტაცია რომ დაგჭირვებოდა? შეძლებ ექიმთან ვიზიტს, ან სკოლის ექიმთან მიხვალ? არის ვინმე, ვინც რჩევას მოგცემს ორსულობასთან დაკავშირებით?*
> *- არა, არ არსებობს, ამაზე შეკითხვასაც ვერ დავსვამთ.*
> *- შეიძლება არის, მაგრამ მე არ მაქვს ინფორმაცია.*
> *- მსგავსი დაწესებულება კიდევაც რომ არსებობდეს, გოგონები მაინც ამჯობინებდნენ, ყველაფერი დაემალათ.*
> *ფასილიტატორი: ეს სიტუაცია 18 წლის ზემოთ იცვლება? ქმრები მიჰყვებიან გოგონებს?*
> *- 18 წლის შემდეგ ეს იცვლება და ყველა მიდის გინეკოლოგთან* (ფოკუსჯგუფში დისკუსია 12-16 წლის მოზარდებთან, კახეთი).

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა ხშირად „ქალების“ საკითხად ითვლება და პრიორიტეტი ენიჭება სქესობრივ და რეპროდუქციულ სერვისებთან შედარებით. დაქორწინებული ქალები და მამაკაცები ხშირად ასახელებდნენ მაგალითებს, რომლებიც ეხებოდა გოგონებისა და მოზარდების მშობიარობასთან დაკავშირებულ გართულებებს, ასევე სამშობიაროებსა და საავადმყოფოებში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და სახლში მშობიარობას. ახალგაზრდა დაქორწინებული ქალები და ვაჟები ასევე საუბრობდნენ იმ წყვილების შესახებ, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებას სექსის, შვილების და ა.შ. თაობაზე. ისინი საუბრობდნენ კონტრაცეფციაზე როგორც არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების საშუალებაზე, მაგრამ არა როგორც სგგ ინფექციების პრევენციის ინსტრუმენტზე, როგორც დაქორწინებული, ასევე დაუქორწინებელი პარტნიორების შემთხვევაში. წყვილებისა და საზოგადოების განსხვავებული დამოკიდებულება გინეკოლოგთან ვიზიტის მიმართ ორსულობამდე და დაორსულების შემდეგ მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას, ასევე გოგონების, როგორც დედების, დაცვას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას გოგონებისთვის დაქორწინებამდე (და ასევე ფერტილური ასაკის შემდეგაც). დაუქორწინებელი 18-25 წლის ახალგაზრდა ქალი თბილისიდან აღწერს, თუ რამდენად არის ბავშვის ყოლისა და მასზე ზრუნვის ტვირთი მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობა:

> *„ქორწინების შემდგომ, თუ ის ნაადრევად დაქორწინდა, გოგონას შეუძლია წავიდეს ან არ წავიდეს გინეკოლოგთან უშვილობის გამო. მაგრამ თუკი ის არ დაორსულდა ერთი ან ორი წლის შემდეგ, აუცილებლად მივა გინეკოლოგთან, რათა გაარკვიოს უშვილობის მიზეზი. უშვილობა გოგონას ბრალია. ბიჭები თვლიან, რომ მათ არ სჭირდებათ გამოკვლევა. იწყება დაუსრულებელი გამოკვლევები, მკურნალობა, გოგონა იტანჯება და ბოლოს ირკვევა, რომ ის არაფერ შუაშია და უშვილობა ქმრის ბრალია“* (23 წლის ქალი, თბილისი).

მსგავსად სხვა ინტერვიუებისა, სადაც დასმული იყო შეკითხვა, მიჰყვებიან თუ არა ქმრები ცოლებს გინეკოლოგთან ვიზიტზე, რესპონდენტმა უპასუხა, რომ ძალიან ხშირად ცოლები ქმრების გარეშე დადიან ექიმთან. ახალგაზრდა დაქორწინებულმა კაცმა გარდაბნიდან აღნიშნა, რომ *„რძალს ექიმთან ყოველთვის უნდა ახლდეს დედამთილი; ექიმთან წასვლა ქმრის თანხლებით თემში უარყოფითად აღიქმება.“*

და ბოლოს, მამამ შეკითხვაზე, დადიან თუ არა გოგონები გინეკოლოგთან დაქორწინებამდე, უპასუხა, რომ *„თუ ის შეაცდინეს, ის ამას დამალავს და არ წავა ექიმთან.“* ეს ნათქვამი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ გოგონებს, რომლებსაც სექსი აქვთ ქორწინებამდე, სურთ დამალონ ეს ურთიერთობა და, შესაბამისად, არ მიდიან ექიმთან. ამავე რესპონდენტმა ბოლოს დასძინა, რომ დაქორწინებული ქალები/გოგონები უყოყმანოდ წავიდოდნენ გინეკოლოგთან. შესაძლოა, რომ კაცებისა და ბიჭების ჩართულობა ქალებისა და გოგონების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში ასევე იზღუდება საზოგადოებრივი ნორმებით, რომლებიც აიძულებს ქალებსა და გოგონებს, თავი შეიკავონ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრისგან როგორც ოჯახის გარეთ, ასევე მეუღლეებთან. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები შედარებით უფრო ღიაა და მეტად იძლევა კაცებისა და ბიჭების - მამებისა და ქმრების - ჩართულობის და მონაწილეობის შესაძლებლობას გენდერულად სამართლიანი ფორმით.

3.5.3 მობილურობა და სოციალური ქსელი

მიმოხილვა. გენდერული ნორმები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იმაში, თუ რა სახის

ოჯახური ცხოვრების გამოცდილებას იღებენ გოგონები. აღინიშნა, რომ ქორწინებამდე გოგონები ხშირად იყენებენ ტექნოლოგიებს (მობილური ტელეფონი, ინტერნეტი). თუმცა ქორწინების შემდგომ გოგონების მიერ ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენება საგრძნობლად იზღუდება, ძირითადად ქმრების მიერ. შესაბამისად, ქორწინების შემდეგ ქმრისა და ქმრის მშობლების მითითებით იზღუდება გოგონას მობილურობა. ამ ქცევის მიზეზები შეიძლება ვეძებოთ გენდერულ ნორმებში, რომლებიც ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებაში და კარნახობს გოგონას მისაღებ ქცევას. ეს მიგნებები მით უფრო რელევანტურია ქორწინების შემთხვევებში, რაც უფრო დიდია ასაკობრივი განსხვავება ცოლსა და ქმარს შორის, რადგან მსგავსი ურთიერთობების შემთხვევაში ადგილი აქვს კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატულ გენდერულ როლებს. ეს მიგნებები მიგვითითებს, რომ საზოგადოებრივი ნორმების გენდერულ ჭრილში აღქმა გათავისებულია როგორც ბიჭების, ასევე გოგონების მიერ, რაც მკვეთრად ზღუდავს გოგონების გარემოს დაქორწინების შემდეგ.

შედეგები. დაქორწინების შემდეგ ახლად დაქორწინებული გოგონას ცხოვრებაში ხდება ისეთი ცვლილებები, რაც უზღუდავს მას გადაადგილების და სოციალურ თავისუფლებას. ეს ცვლილებები გამოწვეულია გენდერთან დაკავშირებით არსებული კულტურული ნორმებით, რომლებიც თანხვედრაშია გლობალურ სტერეოტიპულ გენდერულ ტენდენციებთან. სწორედ ამაზე მიუთითებს ქვემოთ მოტანილი ამონარიდი ახალგაზრდა თბილისელი ქალის (ოჯახის წევრი) ინტერვიუდან. იგი აღწერს, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოების სხვადასხვა მოლოდინი გოგონებთან დაკავშირებით მათ ქცევაზე ქორწინების შემდეგ:

> *„კონტექსტსა და გარემოებებზეა დამოკიდებული, მაგალითად, აქ, ქვემო ქართლში და ზოგადად რეგიონებში. იყო ბიჭი - ნიშნავს გქონდეს მეტი თავისუფლება, უფლებები, რასაც საზოგადოება განიჭებს თავისი მენტალიტეტის გამო, და მათ აქვთ მეტი თავისუფალი ნება, ძალაუფლება და ნდობა, ხოლო იყო გოგონა, ნიშნავს, რომ ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი გაქვს, მაგრამ ბევრად მცირე დოზებით, უფლებების, თავისუფლებისა და მოქალაქეობის ხარისხის ჩათვლით“.*

საზოგადოების ნორმები კარნახობს გოგონების და ბიჭების სოციალიზაციის სახეებს, რაც ხშირად გულისხმობს გოგონების მობილურობის შეზღუდვას. ეს ნორმები გარკვეულ ქცევას გოგონებისათვის მიუღებლად, ხოლო ბიჭებისათვის მისაღებად მიიჩნევს. ხშირად გოგონები და ქალები კიდევ უფრო ამყარებენ ამ ნორმებს, რადგან ფიქრობენ, რომ შეზღუდვების შემოღება „სწორია, ვინაიდან ამ დროს ცუდ ჩვევებს კრეფენ, მაგალითად, ბილწსიტყვაობას, იწყებენ მოწევას, სმას და ასე შემდეგ. რაც შეეხება ბიჭებს, ეს მათთვის მისაღებია“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია 16 წლის გოგონებთან, თბილისი).

გამოკითხულთა უმრავლესობა, განსაკუთრებით თბილისში, თანხმდებოდა, რომ *„ხშირად გოგონებს დაქორწინების შემდეგ უშლიან მეგობრებთან შეხვედრას სახლის გარეთ“,* განსაკუთრებით ბავშვის დაბადების შემდეგ. იგულისხმება როგორც ქალი, ასევე ვაჟი მეგობრები, თუმცა ვაჟებთან მეგობრობის გაგრძელება განსაკუთრებით მიუღებელია.

რესპონდენტები შენიშნავენ, რომ ნორმების განმტკიცებას ხშირად ხელს უწყობენ ვაჟების მშობლები, რომლებიც თავიანთ გავლენას იყენებენ ვაჟებზე, რათა მათ გოგონებს აუკრძალონ მეგობრებთან შეხვედრა. ერთ-ერთი გოგონა თბილისიდან აღნიშნავდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდები ცალკე ცხოვრობენ, ბიჭს ეშინია, რომ ცოლი უღალატებს.

საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ერთ-ერთი ფოკუსჯგუფის მონაწილე, რომელიც ხსნის, თუ როგორ განსხვავებულად ეხება ეს წესები გოგონებსა და ვაჟებს:

„არავინ არასდროს ამბობს, რომ ეს კაცი სვამს, ან ცოლს აყენებს ცუდ მდგომარეობაში, აშანტაჟებს მას, ეჭვიანობს მასზე. თუ ქალი გააკეთებს იგივეს, ეს უკვე ტრაგედიაა, ხოლო თუ კაცი იქცევა ასე - ნორმა“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია მასწავლებლებთან, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „კონტროლი უკვე არის ძალადობის ერთ-ერთი ტიპი” და ქორწინებაში, რომელშიც ასაკობრივი განსხვავება ქმარსა და ცოლს შორის განსაკუთრებით დიდია, შეზღუდვები კიდევ უფრო მეტია, სავარაუდოდ, უფრო შესამჩნევი გენდერული უთანასწორობისა და მამაკაცის დომინანტური და ცოლის მორჩილი როლების გათვალისწინებით.

ახალგაზრდა ცოლებს არა მხოლოდ მეგობრებთან ურთიერთობა ეკრძალებათ, არამედ კონტროლდება მათ მიერ ტექნოლოგიების გამოყენებაც. ბევრი მონაწილე ამბობდა, რომ ქორწინების შემდეგ ინტერნეტისა და ტელეფონის გამოყენება საგრძნობლად შეეზღუდა. მაგალითად, ერთ-ერთმა ქმარმა აღიარა, რომ „ქორწილის შემდეგ ჩემს ცოლს ინტერნეტის მარაგს არ ვუვსებდი“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია 22-24 წლის მამაკაცებთან, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი). ინტერნეტის კონტროლის მეორე ფორმაა ქმრისა და ცოლის საერთო სოციალური ქსელის ანგარიში, რომელზეც ორივეს თანაბარი წვდომა აქვს (17 წლის ბიჭი, იმერეთი).

ახალგაზრდა ცოლები ამ ფაქტს ამართლებდნენ. „ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მე და ჩემი ქმარი ვჩხუბობთ, არის ის, რომ ის რეკავს და მე არ ვპასუხობ ან ჩემი ტელეფონი გამორთულია“ (*17 წლის ქალი, თბილისი*). დაახლოებით ამასვე ამბობს მეორე ქალიც, რომელიც აღნიშნავს, რომ მობილური ტელეფონის მოხმარების სიხშირე მის შემთხვევაშიც განსხვავდება დაქორწინებამდე პერიოდისგან, რადგან მის ქმარს *„აქვს ასეთი შეხედულება, რომ სხვებმა არ უნდა დამინახონ ტელეფონით ხელში. ის ფიქრობს, რას იტყვის ხალხი, ჩემი ცოლი სულ ტელეფონით ხელში რომ ნახონო“* (17 წლის ქალი, რუსთავი, ქვემო ქართლი).

3.5.4 როლები და პასუხისმგებლობა

მიმოხილვა. როლები და პასუხისმგებლობა ქორწინების შემდეგ მთლიანად გენდერულ როლებზე სტერეოტიპული შეხედულებების მიხედვით არის განაწილებული. გადაწყვეტილებას ოჯახის ფინანსების განკარგვის, გოგონას განათლების გაგრძელების და ოჯახის დაგეგმვის შესახებ ხშირად ქმარი და ქმრის მშობლები იღებენ. ქალის მოვალეობები განსაზღვრულია საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი ნორმებით, რომელთა მიხედვით ქალები არიან მზრუნველები, რომლებმაც უნდა მიხედონ ბავშვებს და მათ ყოველდღიურ საჭიროებებს. თუმცა ამ ყოველივეს გვერდით თანასწორი ურთიერთობის რამდენიმე მაგალითიც დასახელდა, ძირითადად ქალაქად. ბევრი ახალგაზრდა თანხმდება, რომ ოჯახის დაგეგმვა მხოლოდ წყვილის გადასაწყვეტი უნდა იყოს. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ბავშვის მოვლაზე პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება მამასა და დედას შორის. თუმცა გენდერული განსხვავებები აქაც იჩენს თავს. მაგალითად, მამები ჩართულები არიან შვილების სწავლაში, ხოლო დედები იღებენ საყვედურს, როცა შვილები ცუდად იქცევიან. ეს მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამული სტრატეგიის დროს ხარისხობრივი სამუშაოს ჩართვაც, რადგან ფაქიზი ნიუანსებისა და ვარიაციების შესწავლა მხოლოდ ამგვარი მიდგომითაა შესაძლებელი.

შედეგები. **გადაწყვეტილებების მიღება.** მონაცემები მიგვანიშნებს, რომ როლები და პასუხისმგებლობა ქორწინების შემდეგ უმეტესად გენდერული ნიშნით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა ცვალებადი დინამიკა, ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს

ეხება. ძალზე მცირეა იმ მამაკაცების რიცხვი, რომლებიც ამბობენ, რომ მათ ოჯახებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ცოლებიც თანაბრად მონაწილეობენ და პასუხისმგებლობასაც იზიარებენ.

რამდენიმე პოზიტიური გამონაკლისის გარდა და უმეტესწილად იმ ოჯახებში, რომლებიც მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, ფინანსურ გადაწყვეტილებებს მშობლები, ანუ „უფროსები“ იღებენ. ინტერვიუების უმრავლესობაში იკვეთებოდა, რომ წყვილის ფინანსურ საჭიროებებს „ვაჟები ან მამები“ აკმაყოფილებენ, რაც შეესაბამება მასკულინობის ხისტ განსაზღვრებებს. ამ ნორმების სოციალიზაცია იწყება ოჯახებში, როგორც ეს გამოიკვეთა 15 წლის გოგონების ფოკუსჯგუფში. ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: „ჩემი აზრით, მამაკაცს აკისრია ოჯახში წამყვანი როლი...კაცებს უფრო მეტად აწუხებთ ფინანსურ მდგომარეობაზე ზრუნვა..“

პატრიარქალური ნორმები ახდენს გავლენას ცოლქმრულ ურთიერთობებზეც, როდესაც დედამთილი და მამათილი რძალის ქცევაზე კონტროლს აწესებს. რიგ შემთხვევებში ბიჭი ან ბიჭის ოჯახი ფინანსურ გადაწყვეტილებებზე ბევრად მეტს იღებს თავის თავზე და, მაგალითად, წყვეტს, უნდა განაგრძოს თუ არა გოგონამ სწავლა (დაწვრილებით იხილეთ 3.5.1 ქვეთავში). ბევრმა ქალმა (ცოლებმა) განაცხადა, რომ მათი ქმრები იღებენ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ბავშვების აღზრდის საკითხებთან დაკავშირებითაც და ეს იწყება ნიშნობიდანვე:

> *„ნიშნობის შემდეგ ბიჭის ოჯახი იღებს გადაწყვეტილებებს, ასეთი შემთხვევაც ვიცი, როცა გოგონას უთხრეს, შენ ვერ წახვალ სკოლაში, რადგან უკვე ჩვენ გვეკუთვნიო, და მისი უფლება უმალვე შეიზღუდა, თუმცა ეს მხოლოდ ნიშნობა იყო და სხვა არაფერი“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, თბილისი).

ამ ფონზე ზოგიერთი ქალი საკუთარ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების უფრო თანასწორ პროცესზე საუბრობდა, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხებოდა მოზარდების ოჯახის დაგეგმვას. მაგალითად, 17 წლის გარდაბნელმა გოგონამ (ქვემო ქართლი) განაცხადა, რომ ორივე პარტნიორი შეთანხმდა კონტრაცეპტივების გამოყენებაზე.

ზოგიერთ ოჯახში იყო შემთხვევები, როცა ახალგაზრდა წყვილს მშობლები სთხოვდნენ ბავშვის გაჩენას (34 წლის რელიგიური ლიდერი, ქვემო ქართლი). ეს ძირითადად ქმრის მშობლებს ეხება, რომლებსაც უნდათ მალე ჰყავდეთ შვილიშვილი. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ახალგაზრდა გოგონას ნაყოფიერება არის მთავარი მიზეზი, რის გამოც იქმნება ნაადრევი ოჯახები (იხილეთ ქვეთავი 3.3).

პასუხისმგებლობა საოჯახო საქმეზე. სხვადასხვაგვარი მოლოდინი ოჯახური მოვალეობების თვალსაზრისით ისეთი პროგრესული არ ყოფილა, როგორც ბავშვის ჩასახვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. მოლოდინი, რომ გოგონა შეასრულებს რძლის მოვალეობას, ანუ იტრიალებს სამზარეულოში, დაალაგებს სახლს და მოუვლის ოჯახის წევრებს, საკმაოდ მაღალია. იმ ოჯახებშიც კი, სადაც დედამთილები არ იზიარებენ მზითევის დრომოჭმულ ტრადიციას, მათი მოლოდინი, რომ რძალი შეასრულებს საოჯახო საქმეებს და ისწავლის ღომის და ხაჭაპურის მომზადებას, ძალიან მაღალია.

რაც შეეხება ბავშვის მოვლას, პასუხები მოვალეობების განაწილების განსხვავებულ ტენდენციაზე მიუთითებს. მონაწილეთა ნაწილი საუბრობს ქმარსა და ცოლს შორის მოვალეობების თანაბრად განაწილებაზე, თუმცა რესპონდენტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ ცოლს აკისრია.

> *„როცა ვმუშაობ, ქმარი უვლის ბავშვებს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიღებთ გადა-*

წყვეტილებებს, არ გვაქვს საიდუმლოებები ერთმანეთისგან, არასოდეს არაფერი დაგვიმალავს ერთმანეთისთვის. ვცდილობთ, მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ და ერთად გადავწყვიტოთ პრობლემები" (23 წლის ქალი, შიდა ქართლი).

„როცა ქალს ჰყავს ბავშვი და არ შეუძლია მუშაობა, ფიზიკურადაც კი, თუ არ ჰყავთ ძიძა, მამაკაცის როლი ის არის, რომ როცა მამა ხდები, უნდა გაიაზრო, რომ შენს ბავშვსაც და ცოლსაც სჭირდებათ მზრუნველობა, უნდა უზრუნველყო ყველაფრით, რაც საჭიროა ბავშვის ჯანმრთელობისთვის და კარგი აღზრდისთვის, რადგან შენი მოვალეობაა, კარგად მოუარო შენს შვილს, ბიჭი იქნება თუ გოგო" (17 წლის გოგონა, თბილისი).

თუმცა, როდესაც მამაკაცები მონაწილეობას იღებენ ბავშვების აღზრდაში, ესეც კი გენდერული ნორმებითაა ნაკარნახევი. მაგალითად, ისინი უფრო განათლებაზე ზრუნავენ, მაშინ, როდესაც დედები ბავშვებზე მზრუნველობით და ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებით არიან დაკავებულები. ერთ-ერთმა დედამ განაცხადა, რომ, ისევე, როგორც დიდწილად პატრიარქალურ საზოგადოებაში ხდება, თუკი მისი ვაჟი ცუდად მოიქცევა, ეს უსათუოდ მას დაბრალდება, ხოლო თუ კარგად - ქებას ორივე ინაწილებს - დედაც და მამაც.

3.5.5 კონფლიქტი და ოჯახში ძალადობა

მიმოხილვა. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმის გამო ამ ტიპის პრობლემებზე ჯერ კიდევ არ ლაპარაკობენ ღიად, რაც, შესაძლოა, ხსნიდეს რესპონდენტების მიერ ოჯახში ძალადობის ტენდენციის უარყოფას. თუმცა უფრო ღრმა ანალიზი გვაჩვენებს, რომ ძალადობა, მაკონტროლებელი ქცევის სახით, გავრცელებული მოვლენაა, ხშირად შეძენილი ოჯახის მხრიდანაც. უფრო მეტიც, ქმრის ოჯახი ხშირად ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის მაპროვოცირებელია. კონფლიქტის მქონე წყვილების ოჯახებში ბავშვები ძალადობის მოწმეებიც არიან და მსხვერპლებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტიმურ პარტნიორზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხი საქართველოში შემდგომი შესწავლის საგანია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ამგვარ შემთხვევებს ხშირად უარყოფენ.

შედეგები. გამოკითხულები მიუთითებენ, რომ არსებობს დაქორწინებულ წყვილებს შორის კონფლიქტის რამდენიმე მიზეზი. ბევრმა ასევე აღნიშნა, რომ მათ არ იციან ფიზიკური ძალადობის ფაქტების შესახებ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის შიგნით პირად საკითხად რჩება, გამოკითხულებმა შეიძლება კონკრეტულად არ იცოდნენ ოჯახში ძალადობის შემთხვევები. თუმცა პოლიციელი ქვემო ქართლიდან აცხადებს: *„სამწუხაროდ, დიახ, იყო შემთხვევები, როდესაც ცოლი შემთხვევით ან განზრახ იქნა მოკლული. ბოლო წლებში ძალიან ბევრი მსგავსი შემთხვევა მოხდა".*

რესპონდენტებმა ოჯახური კონფლიქტის და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი დაასახელეს. მათგან ყველაზე გავრცელებულია კონფლიქტი რძალსა და დედამთილს შორის, რაც გამოწვეულია რძლის პატარა ასაკით და იმ არგუმენტით, რომ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს ოჯახში მის მოვალეობებს. შესაბამისად, შეძენილი ოჯახის წევრები ხშირად სახელდებოდნენ კონფლიქტების მაპროვოცირებლებად იმის ნიადაგზე, რომ რძალმა *„არ იცის, როგორ მოამზადოს კერძი, როგორ მოუაროს სახლს, ან მისი ბავშვური პრინციპების გამო"* (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან საგარეჯოში, კახეთი).

ცნობილია, რომ ქმრის მშობლები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს რძლებისთვის, მაგალითად, უკრძალავენ გარკვეული ტიპის ტანსამოსის ტარებას, რაც ემოციური ძალადობის

ტოლფასია და ქცევის გაკონტროლებად კვალიფიცირდება (ინტერვიუ ტყიბულელ პედაგოგთან, იმერეთი).

ამას გარდა, კონფლიქტები ისედაც ხშირია ცოლ-ქმარს შორის. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ქმრების მხრიდან ძალადობა ცოლის მიერ არასათანადოდ შესრულებული საოჯახო საქმის გამო გავრცელებული მოვლენაა. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელმა თბილისიდან მაგალითად მოიტანა გოგონას ისტორია, რომელსაც უნდოდა სწავლის გაგრძელება და ისე დარეგისტრირდა სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად, რომ არ შეუთანხმდა ქმარს, რომელიც ფიზიკურად გაუსწორდა გოგონას, როცა შეიტყო ეს. მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები ასევე მიუთითებენ, რომ *„ფინანსური პრობლემები და ქმრის ალკოჰოლიზმი“* ხშირად არის უთანხმოების მიზეზი (პოლიციელი ქვემო ქართლიდან). მსგავსი წყვილების ოჯახებში ბავშვებიც ძალადობას განიცდიან, როდესაც მათ მამები იყენებენ დედების მიმართ ძალადობის უწყვეტ პროცესში (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი, ჭიათურა, იმერეთი).

მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმა არის მიზეზი იმისა, რომ ძალადობა პირად საქმედ ითვლება (მაგ., პოლიციელი ქვემო ქართლიდან).

3.5.6 დაშორების და განქორწინების გავლენა

მიმოხილვა. ოჯახის დანგრევა, იქნება ეს გაყრა თუ განქორწინება, ხშირად ხდება, თუმცა საქართველოში მიღებული პრაქტიკა არ არის. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია ქალებისათვის, რომლებიც განქორწინების შემდეგ რჩებიან სტიგმატიზებული და ძალზე მცირე შანსები რჩებათ ცხოვრების თავიდან დაწყების და ხელახალი ქორწინებისათვის. რესპონდენტები პასუხობდნენ, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება უფრო მეტი ალბათობით სრულდება განქორწინებით, რადგან მოზარდები მეტისმეტად ახალგაზრდები არიან იმისათვის, რომ აღიქვან ქორწინების არსი. უფრო მეტიც, ხშირად რძალსა და ქმრის ნათესავებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი ხდება განქორწინების მთავარი მიზეზი. როგორც აღვნიშნეთ, განქორწინება გავრცელებულია, თუმცა მასთან დაკავშირებული სიძნელეები აიძულებს ბევრ ქალს, რთული პირობების მიუხედავად დარჩეს ქორწინებაში.

შედეგები. მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წყვილი არ უნდა დარჩეს ერთად შვილების გულისთვის, რადგან გაუთავებელი სტრესი და დაძაბულობა ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვებზე. განქორწინების პროცესი, თუ ის ორმხრივი გადაწყვეტილების შედეგია, მარტივად სრულდება: *„წყვილი მიდის საჯარო რეესტრში ოფიციალური განქორწინების მისაღებად. თუ საქმე ორმხრივად შეთანხმებული არ არის, განქორწინება ხდება სასამართლოს გზით“* (ინტერვიუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან, იმერეთი).

დამოკიდებულება განქორწინებული მამაკაცისა და განქორწინებული ქალის მიმართ გენდერულ ნორმებს ეყრდნობა, რამდენადაც გაყრის შემდეგ საზოგადოებაში უფრო ხშირად ქალის მიმართ ჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება და განქორწინებაც მას ბრალდება. სინამდვილეში კი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი აღნიშნავს, *„არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბიჭს მოესურვებინა განქორწინება და ეს ვერ გაეკეთებინა“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, თბილისი). ერთ-ერთი გამოკითხული მიუთითებს, რომ განქორწინებული ქალის უფლებრივი მდგომარეობა მეტად სავალალოა, ხოლო მისი არჩევანი - შეზღუდული, რადგან რელიგიური და ტრადიციული კანონებით აკრძალულია მიწის საკუთრების ქალიშვილებისთვის გადაცემა:

„თვლიან, რომ განქორწინებული ქალი ცუდია. განქორწინებული ქალი არის პოტენციური მეძავი, მას არავინ აღარ აკონტროლებს და ამიტომ შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება, რაც პირდაპირ ტრაგედიად განიხილება. ასევე მიიჩნევენ, რომ განქორწინებულ ბავშვიან ქალზე არავინ დაქორწინდება, ამიტომაც იგი ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგება: სად წავიდეს, სად იცხოვროს? იმის გამო, რომ სახლი ქალს მემკვიდრეობით არ ერგება, ქალი ხდება უსახლკარო, რჩება ქუჩაში. ეკონომიკური პრობლემის გამო მას არ იღებს მშობლების ოჯახიც. ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ სახლი ვაჟისაა დ მშობლებს არ სურთ, უკან დაიბრუნონ საკუთარი ქალიშვილი. ქალს ფაქტობრივად წასასვლელი არ რჩება“ (აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი, თბილისი).

კაცისა და ქალის არათანაბარი სტატუსი უფრო ცხადად იკვეთება განმეორებითი ქორწინების შემთხვევაში. მონაწილეები თანხმდებიან, რომ ქალი, რომელიც რამდენჯერმე დაქორწინდა, უფრო უარყოფითად აღიქმება, ვიდრე ვაჟი:

„რამდენადაც ვიცი, საზოგადოება არასოდეს აღიქვამს უარყოფითად ვაჟის განმეორებით ქორწინებას, მაგრამ გოგონასთან მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია - ის თუ მეორედ დაქორწინდა, კრიტიკის საგანი ხდება“ (ფოკუსჯგუფში დისკუსია 15-16 წლის დაუქორწინებელ ბიჭებთან, თბილისი).

კვლევის დროს გამოიკვეთა განქორწინების ორი ძირითადი მიზეზი. პირველი არის ის, რომ ადრეული ქორწინების დროს წყვილი ზედმეტად ახალგაზრდაა და ვერ აცნობიერებს ქორწინების სირთულეებს. ამავდროულად, მათ უჭირთ, გაუმკლავდნენ იმ სირთულეებს, რომლებიც მათი ზრდის პროცესს ახლავს თან.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც ინტერვიუებიდან იკვეთება, არის მშობლების გავლენა და უხეში ჩარევა ახალგაზრდების ქორწინებაში. მართლაც, რელიგიურ ლიდერებთან ფოკუსჯგუფში დისკუსიის დროს ითქვა: *„განქორწინების მთავარი მიზეზი მშობლები არიან. ისინი წყვეტენ, უნდა განქორწინდნენ თუ არა ახალგაზრდები“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან საგარეჯოში, კახეთში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მშობლები ხედავენ, რომ კონფლიქტები ბავშვებს შორის ხშირია, ისინი თავად ურჩევენ წყვილს, დაშორდნენ. ზოგჯერ, როდესაც გოგონა აწყდება პრობლემებს თავის ახალ ოჯახში, იგი ამის შესახებ ელაპარაკება მშობლებს, რომლებიც ასევე ურჩევენ მას, დაანგრიოს ოჯახი, ამბობენ რელიგიური ლიდერები კახეთში. თუმცა ერთ-ერთი გამოკითხული კახეთიდან აბათილებს ამ მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ ის იცნობს ოჯახებს, რომლებიც მხარს არ უჭერენ განქორწინებას, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობას აქვს ადგილი.

გარდა ამისა, განქორწინებას ხშირად მიაწერენ რძალ-დედამთილს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს:

„ხშირად დედამთილები არიან განქორწინების მიზეზი, რადგან მათ სურთ, რომ რძლები მონებად აქციონ და როდესაც ისინი არ ემორჩილებიან, ყველა ღონეს მიმართავენ, რომ წყვილი დააშორონ“ (30 წლის ქალი მარნეულიდან, ქვემო ქართლი).

3.6 ინსტიტუციური რეაგირება ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე

მიმოხილვა. მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები ინტერვიუში აცხადებდნენ, რომ მოზარდთა უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება ინსტიტუციურ ან პროგრამულ რესურსებზე, რომლებიც სისტემატურად მიაწვდიან ინფორმაციას ქორწინების შესახებ,

რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს თანატოლები, მშობლები და ინტერნეტი წარმოადგენს. ყველა მონაწილე თანხმდებოდა, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ დაეყრდნონ პოლიციასა და ჯანდაცვის სამსახურებს, თუმცა მოზარდები არ იყენებენ ამ სერვისებს. რამდენიმე მონაწილემ დაასახელა ენობრივი და ინფრასტრუქტურული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებსა და მოშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტებში/სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს ამ სერვისებით სარგებლობაში.

რაც შეეხება სამართლებრივ რეაგირებას, რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათთვის ცნობილი იყო იმ კანონის არსებობა, რომელიც კრძალავს ქორწინებას 18 წლამდე, თუმცა ცოტას თუ სმენოდა კანონის ბოლო ცვლილებების შესახებ. კულტურული და რელიგიური წესები ხშირად ეწინააღმდეგება კანონს და იწვევს დაბნეულობას რესპონდენტებში, შესაბამისად, კანონის აღსრულება ხშირად არ ხდება. ქორწინების რეგისტრაცია იშვიათია, რადგან წყვილები ამჯობინებენ, ქორწინება მას შემდეგ დაარეგისტრირონ, რაც 18 წელი შეუსრულდებათ. კვლევის მიგნებებით ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები (მაგალითად, გინეკოლოგები) თვითონაც მანკიერი გენდერული ნორმების გავლენის ქვეშ არიან და ხშირად ამჟღავნებენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას გოგონების ქორწინებამდელ სქესობრივ კავშირთან დაკავშირებით. ეს დამოკიდებულება ხსნის, თუ რატომ ამჯობინებენ გოგონები, არ მიმართონ ჯანდაცვის სერვისებს. მსგავსად ამისა, სოციალური ნორმები დამატებით გამოწვევებს ქმნის ჯანდაცვის მუშაკებისთვის, რომ ღიად შეეხონ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემას, რადგან მასთან დაკავშირებული საკითხები ოჯახის პირად საქმედ მიიჩნევა. კვლევისას ნათელი გახდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობა არ მიიჩნევა ჯანდაცვის სერვისების მნიშვნელოვან კომპონენტებად, განსაკუთრებით ახალგაზრდა დაქორწინებული ქალებისთვის. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები შესაბამის უწყებას ინფორმაციას არასრულწლოვან ორსულებთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში აწვდიან დაბადების მოწმობის გაცემის მიზნით, არ არის ცნობილი თუ რა სამართლებრივი რეაგირება მოჰყვა ასეთ შეტყობინებას.

განათლების სფეროში ინსტიტუციური რეაგირებაც იმ მასწავლებლების გამო ფერხდება, რომლებსაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის მიმართ. უფრო მეტიც, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპონენტის არარსებობა, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი უნდა იყოს, ასევე დასახელდა უმწვავეს პრობლემად. არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ სკოლები ახორციელებენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა მონიტორინგს და ინფორმაციას აწვდიან შესაბამის უწყებას ამგვარი შემთხვევების შესახებ. და ბოლოს, რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლების პასუხებმა ცხადყო, რომ მათი უმეტესობა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგია. თუმცა ნაკლებად იყო ცნობილი კანონით დაწესებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციური რეაგირება ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე საჭიროებს პროგრამულ და პოლიტიკურ მხარდაჭერას.

3.6.1 რეაგირება კანონის ფარგლებში

კვლევისას გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ცნობილია ქორწინებისთვის დასაშვები ქვედა მინიმალური ზღვარის არსებობა, თუმცა ეს არ ამცირებს ქვეყანაში ადრეული ქორწინების ტენდენციას. მაგალითად, მთავარი სამიზნე ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ მხოლოდ კანონის მიღება საკმარისი არ არის:

„როგორც ჟურნალისტს, შემიძლია გითხრათ, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება. ყველა, ვისაც ვიცნობ, ამის წინააღმდეგია. ყველა მათგანი ფიქრობს, რომ ეს საჯარო განხილვების საგანია, კანონი უნდა გამკაცრდეს ან დამატებითი რეგულაციები უნდა იქნეს შემოღებული. ვიცით, რომ ამ საკითხის მარეგულირებელი კანონი არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეგიონებში მას არავინ აქცევს ყურადღებას“ (ჟურნალისტი, თბილისი).

ანალოგიურად, თბილისში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფში დისკუსიების დროს დაუქორწინებელი მამაკაცები აცხადებდნენ: *„მართალია, კანონი არსებობს, მაგრამ ეს არავის აწუხებს. სანქციები საკმარისად მკაცრი არ არის“* (ფოკუსჯგუფში დისკუსია 14-15 წლის დაუქორწინებელ ბიჭებთან, თბილისი). ამ აზრის გამოძახილი ყველა ინტერვიუში ისმოდა. ერთ-ერთი გამოკითხული აცხადებდა, რომ ჯარიმა ადრეული ქორწინების ფაქტზე არ არის საკმარისად მაღალი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონის დამრღვევები მიახლოებულნი არიან კანონით დაშვებულ ასაკთან.

არსებული საკანონმდებლო ბაზის კიდევ ერთი გამოწვევა, გამოკითხულთა აზრით, არის ის, რომ ადამიანებს კანონი *„თავისებურად ესმით“* (34 წლის ქალი, სამცხე-ჯავახეთი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავებული წყაროები (მაგალითად, რელიგიური, კულტურული და სახელმწიფო ინსტიტუტები) ქორწინების განსხვავებულ ასაკს აღიარებენ, რაც იწვევს გაურკვევლობას ქორწინების დაშვებულ ასაკთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, 2017 წლის იანვარში კანონში შეტანილი ცვლილების შესახებ სულ რამდენიმე მონაწილისთვის იყო ცნობილი. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი აწყურიდან (სამცხე-ჯავახეთი) აცხადებს, რომ, მიუხედავად ადრეული ქორწინების ხუთი შემთხვევისა, რომელთაც უახლოეს წარსულში მის გარემოცვაში ჰქონდა ადგილი, მშობლებმა ნებართვა გასცეს ქორწინებაზე, რითაც თანხმობა განაცხადეს, და არცერთი მხარე კანონის ძალით არ დასჯილა.

ქორწინების რეგისტრაცია. საინტერესოა, რომ უამრავი შემთხვევა გამოვლინდა იმისა, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები, გვერდი აუარონ კანონს. ეს განსაკუთრებით ქორწინებასთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალებით მტკიცდება, რომელთა დროსაც, განსხვავებით სამოქალაქო ქორწინებისგან, არანაირი რეგისტრაცია არ ხდება. ინტერვიუებმა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან ქარელში, მცხეთა-მთიანეთსა და რუსთავში, ასევე ინტერვიუებმა მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან თბილისში გამოავლინა, რომ არასრულწლოვანთა ქორწინების დროს ეს ხშირად ხდება, რათა თავი აარიდონ კანონს. რეალურად, ზოგიერთი წყვილი მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ არეგისტრირებს ქორწინებას, რათა ბავშვის დაბადების რეგისტრაცია შეძლონ.

3.6.2 ჯანდაცვის სფეროს რეაგირება

ჯანდაცვის მუშაკები სქესობრივ აქტივობას მხოლოდ ქორწინებასთან აკავშირებენ. ჯანდაცვის ერთ-ერთმა მუშაკმა გვიამბო, რომ *გინეკოლოგები ხშირად ეკითხებიან გოგონებს, არიან თუ არა ისინი დაქორწინებულები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი სქესობრივად აქტიურები არიან.* ჯანდაცვის სფეროს იმავე წარმომადგენელმა თბილისიდან მითი უწოდა იმ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თითქოს სქესობრივი ურთიერთობები მხოლოდ ქორწინებაში მყოფებისთვის არის დასაშვები (შესაბამისად, ამგვარი მცდარი წარმოდგენა ამყარებს მოსაზრებას, თითქოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები მხოლოდ დაქორწინებული ქალებისთვის არის განკუთვნილი).

„არსებობს მითი, რომ სანამ არ დაიწყებ სქესობრივ ცხოვრებას, მანამ პრობლემები არ გაქვს და არ არის საჭირო გინეკოლოგთან ვიზიტი, რის გამოც გოგონები არ დადიან ექიმთან. ეს სრული სისულელეა, რადგან ადამიანს არ სჭირდება სქესობრივი ცხოვრება იმისათვის, რომ ჰქონდეს გინეკოლოგიური პრობლემები. ამიტომაც ბავშვებსაც არ აქვთ საკმარისი ცოდნა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მარტო კი ექიმთან ვერ მივლენ, ამდენად, ეს მათთვის რთული და უცნობი სიტუაციაა. ისინი გინეკოლოგთან მიდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული პრობლემები აქვთ“ (ინტერვიუ 32 წლის ქალთან, თბილისი).

როდესაც საქმე ეხებოდა სექსუალობას და ქორწინების გარეშე სქესობრივ ურთიერთობას, ზოგიერთი მონაწილე საუბრობდა იმ გავლენებზე, რასაც გოგონებსა და ბიჭებზე ახდენს მედია ან ბიჭების გასეირნება პოსტ-საბჭოთა კავშირის სლავურ ქვეყნებში, საიდანაც უფრო „ლიბერალური“ შეხედულებებით და ნორმებით ბრუნდებიან, რაც გავლენას ახდენს ქართველებზე, თუმცა ეს გავლენა არ არის ერთგვაროვანი და ყველგან ერთნაირი დოზით არ გვხვდება.

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები საუბრობენ კონფიდენციალურობის პრობლემებსა და იმაზე, თუ როდის და რა გზით უნდა ჩაერიონ ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში. გოგონები და მოზარდები განიცდიან უხერხულობას სერვისებზე წვდომის თვალსაზრისით, როცა სახალხოდ უხდებათ ამის გაკეთება და არა კონფიდენციალურად, რის გამოც ისინი უმეტესად თავს იკავებენ მსგავსი სერვისების მიღებისგან. ჯანდაცვის მუშაკმა თბილისიდან განაცხადა, რომ კონფიდენციალური სერვისების არარსებობა ნორმადაა ქცეული და აღნიშნა, რომ უფროსებს არ ესმით, რატომ არის მოზარდებისთვის კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანი.

თუმცა გინეკოლოგმა საგარეჯოში, კახეთის რეგიონში, განმარტა, რომ როდესაც მოზარდი გოგონა აჩენს ბავშვს, ისინი ამ ინფორმაციას მაშინვე გადასცემენ შესაბამის სამინისტროს „24 საათის განმავლობაში, რათა დაარეგისტრირონ დაბადება“, მაშინ, როდესაც ამის შესახებ არ არის ინფორმირებული თავად მოზარდი დედა. არ არსებობს არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის რეაგირება მოჰყვება ამგვარი ინფორმაციის შეტყობინებას.

საინტერესოა, რომ ჯანდაცვის მუშაკების თქმით, ქორწინებისა და ურთიერთობების შესახებ შეკითხვის დასმა ოჯახურ სივრცეში შეჭრის ტოლფასი იქნებოდა. ექიმი აღწერს, როგორ უმკურნალა გოგონას ფიზიკურ პრობლემებს და, ამავე დროს, განმარტა: „მე, როგორც ექიმს, არ მაქვს უფლება, ვკითხო მას *„თუ რატომ გათხოვდა“*. ქუთაისელმა ექიმმა ახსნა, თუ რატომ არ ჩაერია იგი პაციენტის საქმეში:

„მე ყოველთვის ვეკითხები, ხომ არ ჰქონდა ადგილი ძალადობას სქესობრივი აქტის დროს. ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც გოგონამ დადებითი პასუხი გამცა ამ შეკითხვაზე. დედამისმაც კი არ იცოდა ამის შესახებ და მე უფლება არ მქონდა, კიდევ დამესვა შეკითხვები“.

კიდევ ერთმა ჯანდაცვის მუშაკმა თბილისიდან გამოთქვა წუხილი, რომ მშობლებმა შეიძლება ექიმი დაადანაშაულონ ქორწინებაში შექმნილი პრობლემისთვის, თუკი იგი მაგალითად, პაციენტს (დაქორწინებულისთვის თუ დაუქორწინებლისთვის) კონტრაცეპტივს დაუნიშნავს. მეორე ექიმმა განაცხადა, რომ მან არ იცოდა, რატომ არ მიდიოდნენ დაუქორწინებელი გოგონები გინეკოლოგთან. მისი და სხვა რესპონდენტების პასუხებიდან ნათელი ხდება, რომ მოსაზრება, რომლის მიხედვით მხოლოდ ქორწინებაში მყოფი ქალები უნდა იყენებდნენ გინეკოლოგიურ სერვისებს (რადგან მხოლოდ ქალების ეს კატეგორიაა სქესობრივად აქტიური), უკვე ნორმად არის ქცეული და მასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებიც არ არსებობს.

გოგონების წინაშე სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები უმეტესად უკავშირდება სოციალურ ნორმებს და არა ამგვარი სერვისების არარსებობას. სხვადასხვა ჯგუფში ახსენებდნენ, რომ გოგონები თავს არიდებენ გინეკოლოგთან მისვლას, რადგან ამას მოჰყვება ჭორაობა. გოგონებმა ფოკუსჯგუფში გაიცინეს კიდეც, როდესაც აღნიშნეს, რომ ხალხი დასცინებს წყვილს, თუ მეუღლე ცოლს გინეკოლოგთან გაჰყვება. ამ სოციალური ნორმების გათვალისწინებით კვლევა ხაზს უსვამს, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ორი ძირითადი ბარიერი, რომლებიც ხელს უშლის გოგონებს ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობაში. პირველი - ეს არის საზოგადოებრივი ნორმების დაძლევა, რაც დაეხმარება დაუქორწინებელ გოგონებს, მიმართონ გინეკოლოგიურ სერვისებს, მათ შორის თანმხლების გარეშეც, თუკი ეს მათი არჩევანია. მეორე არის იმ დამოკიდებულების დაძლევა, რომელსაც თავად ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ამჟღავნებენ, და ასევე კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სისტემამ დანერგოს WHO-ს სტანდარტები ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, რათა მათ შეძლოს მომსახურების მიღება კონფიდენციალურად, გაკიცხვის გარეშე და მაღალი ხარისხით.

ფსიქიკურ ჯანმრთელობას, სოციალურ-ემოციურ განვითარებასა და კეთილდღეობას არასათანადო ყურადღება ექცევა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან მიმართებაში. როდესაც ისმებოდა შეკითხვა იმის თაობაზე, ახდენს თუ არა გავლენას ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება, მონაწილეები ხშირად არ ახსენებდნენ ფსიქიკური ჯანრთელობის შესაძლო პრობლემებს, თუმცა, როდესაც ამ საკითხს ეხებოდნენ, საუბრობდნენ ქორწინებასთან დაკავშირებული სტრესის, ახალ ოჯახში წარმოქმნილი კონფლიქტების, დაქვეითებული თვითშეფასების, დეპრესიისა და ახალგაზრდა წყვილის არასაკმარისი ემოციური და ფიზიკური მზაობის შესახებ:

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან ასევე შეეხო ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების უფრო ფართო გავლენას გოგონების ჯანმრთელობასა და განვითარებაზე:

> *„ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე... ამ ასაკში თავად დედა არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული და ესაჭიროება განვითარება“.*

კიდევ ერთი ჯანდაცვის პროფესიონალი თბილისიდან ყურადღებას ამახვილებს ბავშვისა და მოზარდის მიერ საკუთარი თავის სოციალური აღქმის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე, რაც ყურადღებას ამახვილებს მათ უნარზე იფიქრონ და გაიზარდონ, რაც განსხვავდება საკუთარი თავის ოჯახთან მიმართებაში აღქმისაგან. ქალები თბილისში აღნიშნავნენ, რომ მათ, ვისაც საკუთარი თავი კარგად აქვთ შეცნობილი, შეუძლიათ „ჯანსაღი“ ბავშვების აღზრდა.

3.6.3 განათლების სისტემის რეაგირება

ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა რაოდენობის შემცირება, არის ამგვარი შემთხვევების გადამისამართება სკოლის დირექციის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და შემდგომ ფსიქოლოგის ჩართვა. ამ მოსაზრებას ემხრობა მთავარი სამიზნე ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი - ფსიქოლოგი გორიდან (შიდა ქართლი).

თუმცა კოორდინირება იმ ინსტიტუციებს შორის, რომლებსაც ევალებათ რეაგირება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე, საკმაოდ სუსტია, როგორც ამას მთავარი სამიზნე

ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს. ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტია განათლების სექტორი, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე დგას (მაგალითად, სკოლები ვერ ახერხებენ, აღრიცხონ გოგონების დასწრება):

> *„ჯანდაცვის სამინისტროსა და სამართალდამცავი ამ საკითხებზე მჭიდრო თანამშრომლობა მოეთხოვებათ. თუმცა როდესაც ჩვენამდე მოდის მსგავს შემთხვევებზე ინფორმაცია, ჩვენ დამოუკიდებლად ვატყობინებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს. სკოლა ვალდებული იყო, შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა ამ ორი სტრუქტურისთვის, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათ ამ შემთხვევის შესახებ არ იცოდნენ. არის შემთხვევები, როდესაც შსს იწყებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ფაქტის გამოძიებას, მაგრამ ის ამის შესახებ არ ატყობინებს არც სოციალურ სააგენტოს და არც სკოლას. ჩვენ მსგავს პრობლემას ყველა მხარესთან ვაწყდებით. ამ სამ ორგანიზაციას შორის - სკოლა, სოციალური სააგენტო და საკანონმდებლო ორგანო - ყველაზე სუსტი რგოლი თავად საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის დირექტორი არასწორ ჩანაწერებს აკეთებს გოგონას დასწრების ფურცელში და არ აღნიშნავს მის გაცდენებს“* (28 წლის ქალი, თბილისი).

სექსის შესახებ არსებული ტაბუ და სტიგმა ასუსტებს განათლების სისტემის რეაგირებას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე. მსგავსად ჯანდაცვის სერვისების მომწოდებლებისა, პედაგოგებს შორისაც მრავლად არიან ისინი, ვინც ზუსტად ისე ფიქრობს, როგორც დანარჩენი საზოგადოება, როდესაც საქმე ეხება ქორწინებამდე სქესობრივ ცხოვრებას - ამბობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი თბილისიდან. იგი იხსენებს ცნობიერების ამაღლების ტრენინგს და აღნიშნავს, რომ თავად პედაგოგებიც ფიქრობენ, რომ ქორწინება, თუნდაც ადრეული, აუცილებელია, როდესაც ახალგაზრდას ქორწინებამდე აქვს სქესობრივი ცხოვრება.

ცხადია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებს, არამედ სოციალურ კეთილდღეობასაც. კვლევისას ხშირად ისმოდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ განათლების ეს მიმართულება ტაბუდადებულია, თუმცა ამავე დროს საინტერესოც. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ, გავრცელებული შეხედულების თანახმად, იგი უფრო ანატომიაზეა ორიენტირებული, ვიდრე ურთიერთობებზე. სერვისის მიმწოდებლები ბევრს საუბრობდნენ განათლების ეროვნულ პროგრამაში ამ მხრივ არსებულ ხარვეზებზე და აღნიშნავდნენ, რომ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტს. ისინი საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ოჯახების წევრები, ბიჭებიც და გოგონებიც, ინტერესდებოდნენ ამ საკითხით და კითხვებიც უჩნდებოდათ. ხშირად სქესობრივი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია ანატომიისა და „ჰიგიენის“ ფარგლებს არ სცდება და არ გულისხმობს საუბრებს ურთიერთობებზე. ფოკუსჯგუფებში დისკუსიების დროს სერვისების მიმწოდებლები ასევე საუბრობდნენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების აუცილებლობაზე და მიუთითებდნენ მოზარდებში ამ საკითხის ირგვლივ ინფორმირებულობის დაბალი დონის პრობლემებზე:

სექსუალობის ირგვლივ არსებული ტაბუ ნიშნავს იმას, რომ სკოლები არ აძლევენ მოზარდებს სქესობრივ განათლებას. და მაშინ, როდესაც სახელმძღვანელოებში ამ განათლების შეტანის მცდელობა იყო, მას მშობლების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა და ზოგმა მშობელმა

სკოლიდანაც კი გამოიყვანა ბავშვი. ჯანდაცვის სერვისის მომწოდებლები ფიქრობენ, რომ ბავშვები ერთმანეთში ცვლიან ინფორმაციას ამ საკითხების ირგვლივ და რომ ეს ინფორმაცია ყოველთვის არ შეესაბამება სიმართლეს. ჯანდაცვის სპეციალისტები თითქმის ერთხმად თანხმდებიან, რომ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ აუცილებელია, თუმცა მათი მიდგომები განსხვავებულია პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ფონიდან გამომდინარე.

3.6.4 რელიგიური და თემის ლიდერები

რელიგიურ ლიდერებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეკლესია და მეჩეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიღებული კანონის აღსრულებაში. რელიგიურმა ლიდერებმა რამდენიმე მაგალითიც კი მოიტანეს, სადაც ისინი ცალსახად გმობდნენ ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას:

> *„მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ საჭიროა ნაადრევი ქორწინების რეგულირება, ეს მოვლენა პრობლემაა და ჩვენ არ ვწერთ ჯვარს ტაძარში არასრულწლოვნებს“* (რელიგიური ლიდერი ლამბალოდან, კახეთი)

> *„წყვილები ხშირად მთხოვენ როგორც იმამს, რომ შევასრულო რელიგიური რიტუალი, მაგრამ არ ვაკეთებ ამას. რადგან კანონი კრძალავს ადრეულ ქორწინებას, ჩვენ არ ვასრულებთ არასრულწლოვანთა ქორწინების ცერემონიალს. ჩვენ საგარეჯოს მუსლიმური თემის ლიდერები ვართ და ვიცავთ კანონს. მოვუწოდებთ ყველა იმამს, ჩვენი მაგალითი აიღოს და დაემორჩილოს კანონებს”* (ფოკუსჯგუფში დისკუსია რელიგიურ ლიდერებთან, კახეთი).

> *„ახლა ქორწინების ასაკმა აიწია და გახდა 18 წელი, მანამდე მინიმალური ასაკი 16 წელი იყო, მაგრამ მშობლების თანხმობით. არცერთი რელიგია არ უნდა წავიდეს კანონის წინააღმდეგ“* (27 წლის ქალი ბათუმიდან, აჭარა).

თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება ქორწინების ლეგალური მინიმალური ასაკი. ამავე დროს, რელიგიური ლიდერი სამცხე-ჯავახეთიდან აცხადებს, რომ 16 წლის ზემოთ მოზარდები ზრდასრულებად ითვლებიან:

> *„ჩვენ ვიცნობთ წყვილებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ დიდი შვილები და მაინც მოდიან ჯვრის დასაწერად. მათ უარს არასდროს ვეუბნებით. კომუნისტების დროს ეკლესიაში ქორწინება არ იყო დაშვებული. ახლა კი მათ სურთ, რომ ღმერთთან იყვნენ. ჩვენ არ ვცდილობთ გავარკვიოთ, თუ როდის დაიწყეს მათ ერთად ცხოვრება - ეს არ გვაინტერესებს. და კიდევ ერთიც, როდესაც გოგონას იტაცებენ, ეკლესია ქორწინების კურთხევას მხოლოდ მაშინ აძლევს, როდესაც მშობლები თანახმანი არიან.“*

ხშირად ხდება სამართლებრივ და რელიგიურ რეაგირებას შორის დაპირისპირება, რადგან სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფომ უნდა აღიაროს ეკლესიის მიერ გაცემული ჯვრისწერის მოწმობა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად, თუმცა რეალურად სამოქალაქო და არა რელიგიური ქორწინება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში და ამიტომ იურიდიულად აღიარებული მხოლოდ ის არის.

3.6.5 განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი კვლევის შედეგად იშვიათად ხერხდება განზოგადება ჯგუფებს შორის, ჩვენი კვლევის შემთხვევაში მაინც გამოვლინდა განსხვავებები ეთნიკურ/სასოფლო

და ურბანულ/ეთნიკური ნიშნებით. პირველ რიგში, აღმოჩნდა, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ენა არის ბარიერი სერვისების ხელმისაწვდომობისთვის. გამოკითხულები ახსენებდნენ სერვისებზე ხელმიუწვდომლობას, რადგან სერვისების მიმწოდებლები არ ლაპარაკობენ უმცირესობების ენაზე, მაგალითად, აზერბაიჯანულად, ხოლო აზერბაიჯანლები ძირითადად ვერც ქართულად ლაპარაკობენ და ვერც რუსულად.

მეორე რიგში, დადგინდა, რომ, მიუხედავად უმნიშვნელო განსხვავებისა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტენდენციებში ქალაქად და სოფლად (მაგალითად, განსხვავებით კვლევის ადრეულ ეტაპზე ჩატარებული ინტერვიუების შედეგებისგან, ამგვარი შემთხვევები არ არის კონცენტრირებული მხოლოდ კახეთში), გამოიკვეთა, რომ სოფლად მცხოვრები რესპონდენტები უფრო მისდევენ ტრადიციებსა და ჩვეულებებს, ვიდრე ქალაქებში (მაგ. მარნეულში) მცხოვრები გამოკითხულები. შესაბამისად, მზითევის ფაქტორს უფრო ხშირად სწორედ სოფლად მცხოვრები რესპონდენტები ასახელებდნენ და არა ქალაქელები (მაგ, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი). გარდა ამისა, სოფლად უფრო მოქმედებს ნორმა იმასთან დაკავშირებით, რომ ქმრები არ უნდა გაჰყვნენ ცოლებს გინეკოლოგთან ვიზიტისას (მაგ. პანკისი, კახეთი). თუმცა, ამავე დროს, სიფრთხილე გვმართებს ნორმებზე საუბრისას, რადგან იგივე ნორმები ქალაქებშიც მოქმედებს.

გარდა ამისა, აღმოვაჩინეთ, რომ არსებობს განსხვავებები ურბანულ და სასოფლო ადგილებს შორის და ეს განსხვავებები ძირითადად გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებზე, მათ შორის აზერბაიჯანლებსა და სომხებზე. მაგალითად, გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული სირთულეები და განათლებაზე წვდომა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქელებთან შედარებით უფრო რთულია სოფლად მცხოვრებთათვის. განათლებაზე ხელმისაწვდომობა შედარებით შეზღუდულია სოფლად მცხოვრები თემებისთვის, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების ქალი წარმომადგენლებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას საშუალო და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებითაც. ახალგაზრდა დაქორწინებულმა მამაკაცმა თბილისიდან განაცხადა, რომ თუ გსურს მაღაზიაში ან მარკეტში იმუშავო სადმე, უნდა წახვიდე დედაქალაქში, რადგან, მაგალითად, იმ სოფელში, საიდანაც ის წარმოშობით არის, შემოსავლის მიღების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის ზოგი სერვისი ხელმისაწვდომია სოფლებში, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირად სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ქალაქებში ამჯობინებს გამგზავრებას ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად.

3.7 ექსპერტთა მოსაზრებები

კვლევის ფარგლებში მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები ძირითადად შეესაბამება ზემოთ განხილულ ტენდენციებს. შემდეგ ნაწილში განხილულია სწორედ მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაცია (იხ. დანართი 1).

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელება

მთავარი სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენელი თანხმდებოდა, რომ საქართველოში გავრცელებული ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევები უმეტესად 15 წლის და მათზე უფროსი ასაკის გოგონებს შორის გვხვდება. თუმცა არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვით ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ძირითადად ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ხდება. მაგრამ რამდენიმე გამოკითხული ექსპერტი, მათ შორის სკოლის დირექტორები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, აღნიშნავენ, რომ ეს შეხედულება მცდარია და რომ ადრეული/

ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებს მთელ ქვეყანაში აქვს ადგილი.

ექსპერტები ასევე თანხმდებიან, რომ წყვილებს შორის არსებობს ასაკობრივი სხვაობა და, როგორც წესი, გოგონა ბიჭზე უმცროსია ხოლმე, თუმცა ასაკობრივი სხვაობის შესახებ რესპონდენტები სხვადასხვა რიცხვს ასახელებდნენ.

კონსენსუსი იყო იმასთან დაკავშირებითაც, რომ ქვეყანაში ფართოდ არის ფესვგადგმული გენდერული უთანასწორობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას. მაგალითად, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუში გამოვლინდა, რომ „ძირითადად ოჯახები ცდილობენ, საკუთარი ვაჟები ყველაზე გვიან 27 წლამდე დააქორწინონ (თუკი ისინი ჯერ კიდევ ქვეყანაში იმყოფებიან), იდეალურ შემთხვევებში 22 წლამდეც კი. შედარებით უფროსები, მას შემდეგ, რაც ემიგრაციიდან დაბრუნდებიან, ახალგაზრდა გოგონების ძებნას იწყებენ, რათა „საკუთარ ჭკუაზე“ გამოზარდონ. აქ სექსიც იგულისხმება, რაც ზრდის შანსებს, რომ გოგონას გადაედება სქესობრივი გზით გადამდები სხვადასხვა ინფექცია“. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მამაკაცს შეუძლია ჩაშალოს ნიშნობა, ხოლო ქალს - არა.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორები. ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც, საზოგადოების მიერ დასახელებულ მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას:

- სიღარიბე
- შესაბამისი კანონმდებლობისა და ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინების მავნე ზეგავლენის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე
- სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის საკითხებზე ინფორმირებულობის დაბალი დონე
- რელიგიური და კულტურული ფაქტორები
- სკოლის დამთავრების შემდეგ დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები
- ქორწინება როგორც სახლში გამეფებული სიმკაცრის/ძალადობისგან თავის დაღწევის საშუალება
- მოტაცებით დაქორწინების შიში
- ქალის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ნორმები
- გოგონების კომოდიფიკაცია (ნივთად აღქმა)
- საცოლეში გადახდილი საფასური, ე.წ. „ყალიმი“
- დაუქორწინებელ გოგონებთან დაკავშირებული სტიგმა
- გოგონების უუნარობა, წინ აღუდგნენ მშობლების ნებას
- სიყვარული და ვნება
- ფიზიკური მიზიდულობა
- წყვილის სასიყვარულო ურთიერთობასთან დაკავშირებული ნორმები
- ნიშნობასთან დაკავშირებული ნორმები, რითაც იზრდება გოგონებზე კონტროლის მექანიზმი მათი რეპუტაციის დაცვის მიზნით
- სოციალური ინტეგრაციის ენობრივი ბარიერი, მომსახურების ხელმისაწვდომობა და კანონის ცოდნა

ქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ოჯახში უფროსი მამაკაცის, ანუ მამის და ბაბუის, პრეროგატივაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ბებიასაც შეუძლია.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ზეგავლენა გოგონებზე

ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს გოგონების განათლებასა და მათ მომავალ შესაძლებლობებზე. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, *„დანიშნული გოგონების*

98% სწავლას არ აგრძელებს“. გოგონების მობილურობა იზღუდება და პარალელურად იზრდება მათ მიერ აუნაზღაურებელი სამუშაოს შესრულების რისკიც. რესპონდენტები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებითაც, რომ მოზარდთა ორსულობის მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ზრდის მოზარდი გოგონების ჯანმრთელობის რისკებს. გარდა ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებში გავრცელებულია ოჯახში ძალადობა, რადგან ასაკის გამო დაქორწინებულ გოგონებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ძალაუფლება ოჯახში.

ექსპერტები ამბობენ, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინებული მშობლების შვილები დიდი ალბათობით იმავეს იმეორებენ, რაც ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას ციკლურ ხასიათს სძენს და იმ ტრადიციად აქცევს, რომელიც თაობებზე შეიძლება გადავიდეს.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისადმი ინსტიტუციური მიდგომა

სამთავრობო უწყებების რეაგირება. ინსტიტუციური მიდგომა ბავშვთა ქორწინებისადმი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, დიდწილად იმის გამოც, რომ უახლოეს წარსულამდე ამ ფენომენის შესახებ ზუსტი მონაცემებიც კი არ არსებობდა და, შესაბამისად, ის ქვეყნისთვის პრობლემადაც არ მიიჩნეოდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ ადამიანებს არ სურთ ნაადრევი ქორწინებების რეგისტრაცია, რაც, თავის მხრივ, ართულებს პრობლემის მასშტაბის შეფასებას. თუმცა, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, უკვე შეიქმნა მზარდი მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის უკანასკნელი კვლევა 2010 წელს ჩატარდა, ხოლო მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) ფარგლებში მოხდება აღნიშნული ინდიკატორების შესწავლა 2018 წელს. გარდა ამისა, ომბუდსმენის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრობლემებზე მუშაობის თვალსაზრისით. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების დასაძლევად იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი პროექტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გაეროს სააგენტოების მონაწილეობით. ინიციატივა, სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს *„მშობელთა ჩართულობის პროგრამას, რომლის მიზანია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენცია იმ ადგილებში, სადაც მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება. ეს გულისხმობს შეხვედრებს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან, მშობლებთნ და ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებთან. ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანის უფლებებზე, ჯანდაცვის საკითხებზე და განათლების პერსპექტივებზე, რომლებიც ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას უკავშირდება“* (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი). სახალხო დამცველის აპარატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ სამუშაო შეხვედრების დროს. მისი წარმომადგენლები ავრცელებენ ინფორმაციას საბაზისო იურიდიულ საკითხებზე ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და სკოლებში, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე სახალხო დამცველის აპარატიდან საუბრობს, რომ მასალების გავრცელება ხდება სამ ენაზე. პოლიციის თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი ოჯახში ძალადობის სფეროში სენსიტიურობის საკითხებში. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ყველა ამ ღონისძიების ფონზე 15 წლამდე ახალგაზრდების ქორწინების შემთხვევებმა იკლო.

სკოლის რეაგირება. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, სკოლაში *„სწავლის შეწყვეტა აღირიცხება ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით. სკოლები აკეთებენ შეტყობინებას იმ შემთხვევაში, როდესაც ბიჭები და გოგონები წყვეტენ სასკოლო განათლების მიღებას დაქორწინების გამო“.* სკოლებში მომუშავე ექიმები ცდილობენ, ახალდაქორწინებულ გოგონებს მიაწოდონ ინფორმაცია ჯანდაცვის საკითხებზე, მაგრამ, როგორც ისინი ამბობენ, სამიდან მხოლოდ ერთი გოგონა თუ უბრუნდება სკოლას დაქორწინების შემდეგ.

რელიგიური ინსტიტუტების რეაგირება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რელიგია მკაცრად ეწინააღმდეგება ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას. ამის ერთ-ერთი საშუალებაა ყურანიდან იმ ნაწყვეტების გაზიარება, სადაც ქალის უფლებებია აღწერილი. ერთ-ერთი რელიგიური ლიდერი ამბობს, რომ მათ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული გასვლები მოაწყვეს იორმუღანლოსა და ყარაჯალაში, მაგრამ „ადგილობრივ თემს განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუხატავს და ზოგიერთმა აგრესიაც კი გამოავლინა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“.

4. დასკვნები

კვლევა წარმოადგენს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკების თვისებრივი მხარისა და საქართველოში საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი გავლენის უკეთ შესწავლის მცდელობას. ქვეყნის 11 მხარეში ჩატარებულ თვისებრივ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებში დისკუსიებზე დაყრდნობით, კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების კანონით დაშვებულ ასაკთან და ჯანმრთელობისთვის შემცველ რისკებთან დაკავშირებით ინფორმირებულობის დონე მაღალია, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება და, შესაბამისად ძირითადად 15-17 წლის გოგონების დაქორწინება გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. გამოკითხულთა აზრით, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება, როგორც იძულება, წარსულს ჩაბარდა, დღეს ამგვარი ქორწინება ახალგაზრდების თანხმობით ხდება და, შესაბამისად, იძულებად არ ითვლება მაშინაც კი, როდესაც მოზარდებს სხვა არჩევანი, გარდა ქორწინებისა, იშვიათად ეძლევათ. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ტენდენციები და ხელშემწყობი ფაქტორები მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ გენდერულ ნორმებს, რომელიც ამ რეგიონში კომპლექსურობით ხასიათდება და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის კომპლექსური ხასიათი. კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ ჩვენს რესპონდენტებს გააჩნდათ ინფორმაცია ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის მავნე პრაქტიკის შესახებ, მაგრამ მათ არ სურდათ გაეზიარებინათ ინფორმაცია იმის შესახებ კვლავ გრძელდება თუ არა აღნიშნული პრაქტიკა. ეს ჩვენება მკვეთრად ეწინააღმდეგება სხვა ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების მიერ წარმოდგენილ ანგარიშების, რომელთა მიხედვითაც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა კვლავ გრძელდება საქართველოში. ჩაღრმავებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის მავნე პრაქტიკის შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა კამპანია ჩატარდა. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ კამპანიების შედეგად, რესპონდენტებმა დაისწავლეს სოციალურად სასურველი პასუხი, ჯარიმების თავიდან აცილების მიზნით. მეტიც, ხანდაზმული ქალები აცხადებენ რომ ეს პრაქტიკა მათზე გავრცელდა, თუმცა ისინი განმარტავენ, რომ მათ ქალიშვილებს ეს პროცედურა არ ჩატარებიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი, რომელიც სოფელში ამ პროცედურას ატარებდა, გარდაიცვალა. ასეთი მიგნებები ხაზს უსვამს ქვეყანაში ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის კომპლექსურ ხასიათს და ნათლად აჩვენებს მეტი კვლევის ჩატარების საჭიროებას, სადაც ყურადღება მსგავს ნიუანსებზე გამახვილდება.

ადრეული ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორები. შედეგებზე დაყრდნობით მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ეკონომიკური ფაქტორები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკის შენარჩუნებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ახალგაზრდების თანხმობით ხდება და ისინი თავად გამოხატავენ დაქორწინების სურვილს (რადგან შეყვარებულები არიან), გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ-

ლებიც მიუთითებს, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ირჩევენ ურთიერთობის ამგვარ ფორმას, ნება შეზღუდული აქვთ. ეკონომიკური სიდუხჭირე ქმნის დაბრკოლებას განათლებისა და, შესაბამისად, კარიერული წინსვლისთვის, რის გამოც ახალგაზრდები „ირჩევენ“ დაქორწინებას. დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები გადამწყვეტ როლს თამაშობს ახალგაზრდების მიერ არჩევანის გაკეთებისას. ცხადია, შეზღუდული შესაძლებლობების ფონზე ახალგაზრდების ნების მნიშვნელობის გაგება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ საქართველოში ოჯახს, როგორც ერთობას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რომ ახალგაზრდები, რომლებიც ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინდებიან, ხშირად ოჯახთან ერთად განაგრძობენ ცხოვრებას, რადგან მარტო ცხოვრების უნარი არ აქვთ. უფრო მეტიც, ეკონომიკური ფაქტორი უშუალოდ მოქმედებს ქვეყანაში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკაზე, რადგან ბევრი ოჯახი ფიქრობს, რომ ქორწინების შედეგად მათ შვილებს უზრუნველყოფილი ცხოვრება ექნებათ შეძლებულ ოჯახებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა, ეხება გენდერული ნორმების, როგორც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრაქტიკის ყველაზე ძლიერი ხელშემწყობი ფაქტორის, მნიშვნელობას. შედეგების მიხედვით, შვილების ქორწინებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მამები იღებენ, ხოლო დედის აზრი, ძირითადად, შვილის ბედზე წუხილად აღიქმება. ნორმა, რომელიც ზღუდავს სქესობრივ ურთიერთობებს ქორწინებამდე, უმეტესად უკავშირდება „გოგონას პატიოსნებისა და ოჯახის ღირსების დაცვას“ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდების მიერ ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, შედარებით უფროსი ასაკის გოგონა, რომელიც არ არის დაქორწინებული, ოჯახისთვის სირცხვილად ითვლება. იგივე ნორმა განაპირობებს, რომ რეპროდუქციული ასაკისთვის აუცილებელი სამედიცინო სერვისების მიღება ან არ ხდება, ან, თუ ხდება, საიდუმლოდ და ყველასგან მალულად. ამავდროულად, დასკვნები გოგონას მოწიფულობის შესახებ, ძირითადად, გარეგნობაზე დაკვირვების შედეგად კეთდება. შესაბამისად, გოგონები, რომლებიც ადრეულ ასაკში გადიან პუბერტატის სტადიას, უფრო ადრეც ქორწინდებიან. სოციალური წნეხი ქმნის კონტექსტს, რომელშიც შედარებით უფროსი ასაკის და ჯერ კიდევ დაუქორწინებელი გოგონების მიმართ არასასურველი განწყობა აღინიშნება. უთანასწორო მიდგომა გოგონებისა და ბიჭებისადმი ყველაზე მკაფიოდ ცოლსა და ქმარს შორის ასაკობრივ სხვაობაში ვლინდება: ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თითქმის ყველა შემთხვევაში ვაჟი ქალზე უფროსია.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენა. განათლება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ადრეული ქორწინება, ასევე ასახავს დამკვიდრებულ ტრადიციულ ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გამოკითხული გოგონა გამოხატავდა განათლებისა და კარიერული წინსვლისაკენ სწრაფვას, ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ განათლება და დასაქმება მხოლოდ თავის რჩენის საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქმრის მიერ გამომუშავებული თანხა საკმარისი არ არის ოჯახისთვის. დასაქმება არ განიხილება გოგონათა გაძლიერების ინსტრუმენტად, რაც შეიძლება ხსნიდეს იმ ფაქტს, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინებული გოგონების უმრავლესობა სასკოლო განათლების მიღებას წყვეტს. რესპონდენტებს შორის იყვნენ გოგონებიც, რომლებმაც დაქორწინების შემდეგაც გააგრძელეს სწავლა, თუმცა მათ ამისთვის ქმრების ან ქმრის მშობლების ნებართვა დასჭირდათ.

გენდერული უთანასწორობა იჩენს თავს ცხოვრების განსხვავებული წესში, რომლითაც გოგონები და ვაჟები განაგრძობენ ცხოვრე-

ბას ქორწინების შემდეგ. ეს აშკარა გახდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითზე. კვლევისას ხაზგასმული იქნა ტექნოლოგიების როლი ახალგაზრდების ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ. თუ ქორწინებამდე საკომუნიკაციო და სოციალური მედიის პლატფორმები ემსახურება სოციალური იზოლაციის დაძლევას და ზოგჯერ ქორწინების ხელშემწყობიც კი ხდება, ქორწინების შემდეგ ისინი ქცევის კონტროლის საშუალებად იქცევა და პატრიარქალური საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმას - ქალის იზოლაციას - უწყობს ხელს, უზღუდავს რა მას გარემოსთან ურთიერთობას და თავისუფლებას. მსგავს მაკონტროლებელ ქცევას გლობალურ სოციოლოგიურ წყაროებში ძალადობის კვალიფიკაცია ენიჭება. კვლევისას გამოვლინდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებიც, თუმცა ამ ტიპის ძალადობის დაფარული ხასიათი არ იძლევა ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირების საშუალებას. გადაწყვეტილება ოჯახის ბიუჯეტის, განათლების გაგრძელებისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ უფრო ხშირად ქმრის ან მისი მშობლების პრეროგატივაა. გარდა ამისა, დამკვიდრებული გენდერული როლები ძირითად პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდაზე დედებს აკისრებს.

გენდერული ნორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდი გოგონებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და სერვისების მიწოდების საკითხშიც. ქორწინებამდე სექსთან დაკავშირებული სტიგმა და ტაბუ მნიშვნელოვნად განაპირობებს გოგონების ქორწინებამდელ სქესობრივ აქტივობას და ძირითად აქცენტს მათ სიწმინდესა და ღირსებაზე აკეთებს. შესაბამისად, ეს ნორმები სერიოზულად ზღუდავს გოგონების ხელმისაწვდომობას ჯანმრთელობის სერვისებზე და აიძულებს მათ, ექიმთან ვიზიტზე საიდუმლოდ წავიდნენ. სქესობრივი აქტივობის აკრძალვა, როგორც წესი, გოგონებზე უფრო ვრცელდება ვიდრე ბიჭებზე. ქორწინებამდე სქესობრივი ცხოვრება აკრძალვად რჩება გოგონასთვის, ბიჭს იგივე ნორმა არ ეხება. კვლევამ გვაჩვენა, რომ ბიჭების სექსუალური სურვილები ბუნებრივ ნორმად ითვლება და ხშირად მამებს მიჰყავთ ვაჟები სექსმუშაკებთან პირველი სექსუალური გამოცდილების მისაღებად, რაც ზრდასრულობაში გადასვლის ეტაპად ითვლება.

ტრადიციული ნორმები სქესობრივი ცხოვრების შესახებ ქორწინების შემდეგაც ვრცელდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გოგონებზე, რომლებსაც სწავლის გაგრძელება სურთ. კვლევამ გვაჩვენა, რომ გოგონები, რომლებიც დაქორწინდნენ, სკოლიდან გამოიყვანეს, რადგან ითვლება, რომ სქესობრივად აქტიურ გოგონას არ შეჰფერის თანატოლებთან თამაში. მიუხედავად იმისა, რომ გოგონების ნაწილი ცდილობს, ქორწინების შემდეგაც გააგრძელოს სწავლა, ოჯახი და სასწავლო პროცესი საზოგადოების მიერ შეუთავსებლად მიიჩნევა, ხოლო სწავლასა და ოჯახის მოვლას შორის ბალანსის დაცვა - შეუძლებლად.

მსგავსი გამოწვევების ფონზე არცარის გასაკვირი, რომ განქორწინების შემთხვევები ხშირია, თუმცა განქორწინება საზოგადოებაში მაინცდამაინც მიღებული არ არის. განქორწინების მიზეზად ხშირად სახელდება წყვილის მეტისმეტად ახალგაზრდა ასაკი. უფრო მეტიც, გენდერული განსხვავებულობა ქორწინების შემდეგაც ძალაში რჩება და ქალი, მამაკაცთან შედარებით, მეტად განიცდის სტიგმატიზაციას. გარდა ამისა, საზოგადოებისთვის უფრო მისაღებია მამაკაცის განმეორებით დაქორწინება, რასაც ვერ ვიტყვით ქალებზე.

კაცებისა და ბიჭების როლი. კვლევის შედეგებმა გამოავლინა სოციალური ნორმების გათავისების მაგალითები როგორც გოგონების, ისე ბიჭების შემთხვევაში. მაგალითად, პატრიარქალური ნორმები ახდენს მამების, როგორც ოჯახის თავების, ლეგიტიმაციას. სწორედ მამები იღებენ გადაწყვეტილებას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ, რომ-

ლის მსხვერპლები უფრო ხშირად გოგონები ხდებიან, ვიდრე ბიჭები. დედები იშვიათად იღებენ ამგვარ გადაწყვეტილებებს და მათ მიერ ქორწინებასთან დაკავშირებული მოსაზრება ძირითადად შვილების მომავლის შესახებ წუხილად განიხილება. ახალგაზრდები მშობლებისგან მემკვიდრეობით იღებენ ამ ნორმებს, რომლებსაც საზოგადოება კიდევ უფრო ამყარებს. მაგალითად, ბიჭების მიერ საკუთარი სექსუალობის შესწავლის სურვილი ნორმად აღიქმება, მაგრამ გოგონებისგან პატიოსნებას და სიწმინდეს მოელიან. ეს განსხვავებული მოლოდინი ქმნის სიტუაციას, რომელშიც ქორწინებამდე სექსი და ორსულობა გოგონებს დაქორწინების გარდა სხვა არჩევანს არ უტოვებს. საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული ნორმები ბიჭებს ადრეული ასაკიდანვე ასწავლის, რომ ისინი ოჯახის თავკაცები და გადაწყვეტილების მიმღებები უნდა იყვნენ. სწორედ ეს ნორმები ქმნის იმ გენდერულ განსხვავებებს, რომელთა მიხედვითაც იმიჯნება ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. როდესაც ბიჭები ხდებიან ქმრები, ისინი ცდილობენ, შეზღუდონ ცოლების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება და მათი მობილურობა, და ამას აკეთებენ ქალის, როგორც ოჯახის ღირსებისა და პატიოსნების დამცველის, როლის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ბიჭების მიერ ნაკისრი ცოლების დაცვის მოვალეობა ხშირად ანიჭებს მათ უფლებას, განსაზღვრონ, მიიღებენ ან გააგრძელებენ თუ არა ცოლები განათლებას. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ოჯახში ძალადობა გავრცელებული მოვლენაა, ხოლო ძალთა განაწილების დინამიკა გოგონასა და ბიჭის ოჯახებს შორის ხშირად ამ უკანასკნელს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს ძალადობის გარკვეული ფორმები გოგონას წინააღმდეგ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ ბიჭებს მოსწონთ განათლებული გოგონები და ხელსაც უწყობენ ცოლებს დასახული მიზნების მიღწევაში. ამავდროულად, გამოვლინდა, რომ ბევრ ახალგაზრდა მამაკაცს მიუღებლად მიაჩნია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება, თუმცა მიაჩნიათ, რომ მამაკაცი ასაკით უფროსი უნდა იყოს ცოლზე. ზოგიერთი მამაკაცი მონაწილის განცხადებით, ისინი ჩართულები არიან ოჯახის დაგეგმვის პროცესში და მათი ურთიერთობაც თანასწორობაზეა დაფუძნებული. ამ კვლევის შედეგები ამყარებს გავრცელებულ მოსაზრებას გოგონებისა და ქალების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობის მნიშვნელობაზე (Greene et al., 2014).

ინსტიტუციური მიდგომა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისადმი. მიუხედავად სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინიციატივისა, რომელიც მიმართულია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების დაძლევისაკენ, კვლევა აჩვენებს, რომ პრევენციისა და რეაგირების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. ერთ-ერთი ბარიერი უკავშირდება ქორწინების მინიმალური ასაკის შესახებ კანონის ამოქმედებას. გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ინფორმირებულობის დონე კანონში ახალი დამატებების შესახებ განსხვავებულია. რეაგირების მიმართულებით კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა უმეტესობა დაფარულია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ვისაც ადრე დაქორწინება უნდა, მაინც პოულობს კანონის იმ ნორმების გვერდის ავლის საშუალებას, რომელიც რეგისტრაციისას ქორწინებისთვის ნებადართულ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს ითხოვს. როგორც წესი, სანქციების თავიდან აცილების მიზნით, ახალგაზრდა წყვილი ქორწინებას მას შემდეგ არეგისტრირებს, რაც მათ 18 წელი შეუსრულდებათ. თუ წყვილი 18 წელს მიახლოებულია, სანქციები არ არის მკაცრი.

კიდევ ერთი ბარიერი, რომელიც ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ტენდენციის შესუსტებას უშლის ხელს, არის სუსტად განვითარებული მონიტორინგის მექანიზმები სკოლებში, რომლებიც ვალდებულები არიან, სამთავრობო უწყებებს გადასცენ ინფორმაცია

იმ მოსწავლეების (როგორც გოგონების, ასეევე ბიჭების) შესახებ, რომლებიც სკოლას აცდენენ. უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა კიდევ უფრო აუარესებს ისედაც სუსტ ინსტიტუციურ რეაგირებას. გარდა ამისა, ქორწინებამდე სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ტაბუ და სტიგმა ხელს უწყობს ისეთი სიტუაციის წარმოქმნას, როდესაც მასწავლებლები ცდილობენ, ცოდვის კლიშეებით და დანაშაულის გრძნობით დათრგუნონ ამგვარ ქცევაში შემჩნეული მოსწავლეები და ქორწინებისკენ უბიძგონ. ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ჯანდაცვის სფეროს მუშაკებს, რომლებშიც ასევე მყარად არის გამჯდარი ფართო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გენდერული ნორმები. გარდა ამისა, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არც კი განიხილება არასრულწლოვნების ჯანმრთელობის მნიშვნელოვან კომპონენტად.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, როგორც ამას კვლევის შედეგები მოწმობს, არის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული ცოდნის დეფიციტი, რადგან მასთან დაკავშირებული საკითხები არასათანადოდაა დაფარული საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც საჯარო პოლიტიკის ორ მნიშვნელოვან სფეროს - განათლებასა და ჯანდაცვას - აკავშირებს და პირდაპირი გავლენა აქვს სოციალურ კეთილდღეობაზე. მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები ადასტურებს, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებების შესახებ კომპონენტის არარსებობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამაში მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის ბიჭების, გოგონებისა და მათი ოჯახებისთვის. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ მოზარდებს რეალურად აინტერესებთ ეს საკითხები და ბევრი კითხვაც უჩნდებათ, რომლებზეც კვალიფიციური პასუხის გაცემა აუცილებელია.

ენობრივი ბარიერი და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით გოგონების ცხოვრებაზე, რომლებიც ვერ ახერხებენ შესაბამისი სერვისების მიღებას. უფრო მეტიც, კანონის შესახებ ინფორმირებულობის დონე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში დაბალია, რადგან კანონი არ არის თარგმნილი იმ ენებზე, რომლებზეც აღნიშნული ჯგუფები ლაპარაკობენ.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ კვლევის შედეგები ქმნის საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ფართო სურათს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენდერული ნორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მანკიერი პრაქტიკის შენარჩუნებაში. შემდეგ თავში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც სწორედ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა და გამიზნულია პოლიტიკის, პროგრამების დაგეგმვისა და კვლევის მიმართულებით შემდეგი ნაბიჯების განხორციელებისთვის.

5. რეკომენდაციები

საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკების, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის, მიმართ გაზრდილი ყურადღება საჯარო დისკურსში თუ პოლიტიკის დონეზე, მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა დადებითი ცვლილებების მისაღწევად. კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით გთავაზობთ რეკომენდაციებს სამი მიმართულებით.

5.1 რეკომენდაციები საჯარო პოლიტიკისთვის

მოქმედი კანონმდებლობის აღსრულება და, ამავე დროს, მაღალი ხარისხისა და ინკლუზიური სერვისების შეთავაზება, შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდების მომავლისთვის მნიშვნელოვანია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკების დაძლევის მიზნით. რადგან ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება, ქალთა სასქესო ორგანოების დასახჩრება/კვეთა, ის პრობლემებია, რომლებიც მრავალ სფეროს ეხება. შესაბამისად, საჭიროა ადეკვატური ფინანსური რესურსების გამოყოფა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად შემდეგი მიმართულებებით:

- **ქორწინების ასაკის შესახებ ცნობიერების გაზრდა.** ქორწინების ლეგალური ასაკის ქვედა ზღვარის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ფარული შემთხვევების შემცირების მიზნით. საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს ამ პრაქტიკის უარყოფითი გავლენა როგორც ბიჭების, ისე გოგონების ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ იცოდა ქორწინების ლეგალური ასაკის ქვედა ზღვარის შესახებ, მათი აზრით, საჭიროა უფრო მეტი გაკეთდეს, რათა საზოგადოებამ გაითავისოს, თუ რა სანქციები მოჰყვება კანონის დარღვევას. გარდა ამისა, საჭიროა კანონის მეტი სიმკაცრით აღსრულება მაშინაც კი, როდესაც წყვილი არ არეგისტრირებს ქორწინებას. აუცილებელია, რომ სკოლების ან სხვა წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ამგვარი შემთხვევების შესახებ მოჰყვეს სათანადო რეაგირება.
- არსებული კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი უწყებების მოხელეების, როგორებიც არიან მოსამართლეები, სამოქალაქო რეესტრისა და ბავშვთა დაცვის სამსახურების თანამშრომლები, გადამზადება, რათა სათანადოდ იქნეს დაცული კანონით გათვალისწინებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევათა შეტყობინების მოთხოვნა.
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის (განსაკუთრებით, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის) სერვისების შეთავაზება მნიშვნელოვანია. ასევე გასათვალისწინებელია ჯანდაცვის პერსონალის დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე მუშაობა და ინოვაციური გზების შემუშავება ენობრივი ბარიერების დაძლევისა და ქვეყნის ყველაზე მარგინალიზებული (გეოგრაფიულად, ენობრივად და კულტურულად) მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

- რეგიონული განვითარების მიზნით, აუცილებელია მუშაობის გაძლიერება, რადგანაც რეგიონულ დონეზე მუშაობა განსაკუთრებით ეფექტიანია სხვადასხვა ღონისძიების დასაგეგმად და მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების შესაქმნელად.
- მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ადგილობრივ ბიუჯეტებში, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების, მოზარდების/ახალგაზრდების კლუბების, ტრენინგების და სხვა საშუალებების დასაფინანსებლად.
- ახალგაზრდებისა და ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თვითმართველობებში დადებით შედეგს გამოიღებს, რადგანაც ისინი შეძლებენ კონკრეტული საკითხების ადვოკატირებას და რესურსების მოძიებას საზიანო პრაქტიკების დაძლევის მიზნით.
- მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის შესახებ სამართლებრივი ზომები იყოს როგორც პრევენციული, ასევე დამცავი. იდეალურ შემთხვევაში, შესაბამისი ზომები უზრუნველყოფდეს დახმარების სერვისებზე, მათ შორის, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ დახმარებაზე მსხვერპლთა ხელმისაწვდომობას.

5.2 რეკომენდაციები პროგრამების შემუშავებისთვის

იმისათვის, რომ გოგონებს მიეცეთ საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება, საჭიროა იმ ღრმად გამჯდარი გენდერული ნორმების ტრანსფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს გოგონების ცხოვრებაზე და ძირითადი აქტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია სოციალური ნორმებისადმი გენდერული თვალსაზრისით ტრანსფორმაციული მიდგომის გამოყენება, ძირითად აქტორებთან მუშაობა, ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის საინტერესო სივრცეების შექმნა და გოგონების გაძლიერება. შესაბამისად მიზანშეწონილია შემდეგი ზომების მიღება:

მოზარდების სოციალურ წრეში შემევალი მნიშვნელოვანი აქტორების ჩართულობის უზრუნველყოფა:

- **ბიჭები და კაცები, როგორც მამები, ძმები, ქმრები, თანატოლები და ვაჟები,** უნდა ჩაერთონ იმ მანკიერ გენდერულ ნორმებთან ბრძოლაში, რომლებიც ზღუდავს გოგონების უფლებამოსილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ვაჟებთან მუშაობა იმ ნორმების ცვლილებისთვის, რომლებიც არსებობს ქორწინებამდე სქესობრივი აქტივობების ირგვლივ. გარდა ამისა, აუცილებელია, ახალგაზრდა ქმრებს გაცნობიერებული ჰქონდეთ ოჯახებში დამკვიდრებული უთანასწორო გენდერული როლების მანკიერება, რათა მათ შეძლონ ბავშვის მოვლაში აქტიური მონაწილეობის მიღება. რადგან ქმრები ყველაზე ხშირად წყვეტენ, უნდა გააგრძელონ თუ არა ცოლებმა დაქორწინების შემდეგ სკოლაში სიარული, საჭიროა, სათანადოდ შეფასდეს ქმრების უდიდესი როლი ცოლების განათლების საქმეში. აუცილებელია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს დადებითი დევიანტები - ის მამაკაცები, რომლებიც მხარს უჭერენ ცოლებს განათლების მიღებაში და ემხრობიან ოჯახში გადაწყვეტილებათა მიღებაში ცოლ-ქმრის თანასწორ მონაწილეობას.

  ამის მსგავსად, საჭიროა მუშაობა მამებთან, დედებთან, დედამთილებთან და ოჯახის სხვა წევრებთან, რათა მათაც დაუჭირონ მხარი გოგონების განათლებას. მამაკაცებთან, როგორც მამებთან, მუშაობა უმნიშვნელოვანესია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას შვილების იძულებით ქორწინებასთან, ასევე ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით და სოცია-

ლიზაციის მეშვეობით კიდევ უფრო მყარად ამკვიდრებენ მასკულინობის პატრიარქალურ განსაზღვრებას.

- **მშობლებმა** უნდა იმოქმედონ ისეთი დადებითი სოციალური ნორმების განმტკიცებისთვის, როგორიც არის, მაგალითად, ნორმა, რომ „კარგ ოჯახებში გოგონები არ ქორწინდებიან 18 წლამდე.“ მშობლებმა უნდა გადასცენ შვილებს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიპოვონ ფინანსური დამოუკიდებლობა. საჭიროა გაძლიერებული მუშაობა როგორც ბიჭების, ასევე გოგონების მშობლებთან, რადგან, როგორც ცნობილია, სადედამთილოები ხშირად ეძებენ საკუთარი ვაჟებისთვის ახალგაზრდა გოგონებს საცოლეებად, რომლებსაც თვითონ იოლად „გაზრდიან/ასწავლიან“. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ მამებსაც, რომლებიც საზოგადოების მიერ მიჩნეულები არიან ოჯახის მარჩენლებად და, შესაბამისად, ეს მესიჯი ხშირად გადაეცემათ ხოლმე ბიჭებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამყარებს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ბიჭებს ცოლები მოჰყავთ იმიტომ, რომ დაამტკიცონ საკუთარი „ფინანსური“ შესაძლებლობები და ე. წ. „მამაკაცური“ პასუხისმგებლობა. ამასთან ერთად, მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომელიც შეასუსტებს ისეთ დამკვიდრებულ ნორმებს, როგორიც არის გოგონების და ქალების, როგორც უმთავრესად მზრუნველებისა და აღმზრდელების, როლი, ასევე შეხედულება, რომ ახალგაზრდა გოგონები უფრო ნაყოფიერები არიან შვილოსნობისთვის.
- **რელიგიურმა ლიდერებმა** უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ქორწინებისთვის კანონით დადგენილი ასაკობრივი მინიმუმი. გარდა ამისა, ეკლესიები და მეჩეთები ხშირად ერთადერთი ადგილია, სადაც გოგონები თავის თანატოლებს ხვდებიან. ამიტომ რელიგიურმა ლიდერებმა მუდმივად უნდა მოუწოდონ მათ განათლების გაგრძელებისკენ მათივე გაძლიერების მიზნით.
- **ჯანდაცვის სერვისების მომწოდებლებმა,** განსაკუთრებით გინეკოლოგებმა, უნდა გააცნობიერონ, რომ მათმა მიკერძოებულმა დამოკიდებულებამ ქორწინებამდე სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით შეიძლება შეამციროს გოგონების მიერ ჯანდაცვის სერვისების გამოყენების ალბათობა. კვლევამ გამოავლინა, რომ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს ესაჭიროებათ ხარისხიანი ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის შესახებ, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებმა შესაძლოა გაამყარონ ბავშვის ზრუნვის შესახებ უთანასწორო დამოკიდებულება თუკი ისინი ქალებს მხოლოდ მზრუნველებად და მომვლელებად აღიქვამენ, რითაც ფაქტობრივად გამორიცხავენ და ზღუდავენ მამების როლს და ჩართულობას.
- **დადებითი დევიანტები,** როგორებიც არიან ოჯახის წევრები, თვითონ გოგონები და მამაკაცები, რომლებიც მხარს უჭერენ გოგონების მისწრაფებებს და არ აძალებენ დაქორწინებას, ასევე განათლების სპეციალისტები, რომლებიც გოგონებს სწავლის გაგრძელებისკენ მოუწოდებენ, ჩართულნი უნდა იყვნენ შემდგომ ინიციატივებში.

სოციალური ნორმების გადახედვა

- **სკოლებში და მათ გარეთ ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის იმგვარად შეტანა, რომ ეს გოგონებისთვის საინტერესო იყოს და არ გამოიწვიოს მათი სტიგმატიზაცია.** იმ კავშირის გათვალისწინებით, რომელიც არსებობს განათლებასა და ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას შორის, განსაკუთრებით აუცილებელია, ხელი შეეწყოს გოგონების უწყვეტ განათლებას და მიღებული განათლების კავშირს დასაქმებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეები ზოგადად ეთანხმებიან გოგონებისა და ქალებისთვის განათლების მნიშვნელობას, ისინი ფიქ-

რობენ, რომ განათლებას და საშინაო, განსაკუთრებით დედის, მოვალეობებს შორის ბალანსის დაცვა თუ მთლად შეუძლებელი არა, ძალზე ძნელია. მეტიც, რესპონდენტთა აზრით, განათლება მეორეხარისხოვანია დაუქორწინებელი გოგონებისთვისაც კი, რადგანაც მათგან ოჯახის საქმეების შესრულებას და ბავშვებზე ზრუნვას მოელიან. საჭიროა გოგონების გაძლიერება, რათა ისინი დარჩნენ სკოლის გარემოში და მიიღონ განათლება, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი სტრუქტურული ფაქტორების გადახედვა, როგორიცაა ოჯახური პირობები, ორსულობა, არაპროპორციული და აუნაზღაურებელი ზრუნვის ვალდებულება, რადგან ასეთი საკითხები ეჭვქვეშ აყენებს გოგონას განათლების მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსების შექმნა მასწავლებლებისთვის და მათი გადამზადება. ასევე რეკომენდებულია კონკრეტული მოდულის შემუშავება საზიანო პრაქტიკების შესახებ და მისი მასწავლებელთა უწყვეტი განათლების სისტემაში ინტეგრირება. მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით კი, რეკომენდებულია რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნას და დაამტკიცოს სპეციალური პროგრამა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის პრევენციის შესახებ. არაფორმალური განათლება, ისევე, როგორც, მშობელთა განათლების კომპონენტი შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს მასში, რადგანაც ხშირად, სწორად მშობლები არიან გადაწყვეტილების მიმღებები თავიანთი არასრულწლოვანი ბავშვების ქორწინების საკითხთან დაკავშირებით.

- პროფესიული განათლების ხელშეწყობა ბიჭებისა და გოგონებისთვის, რათა მათ შეძლონ დასაქმება და არ აღიქვან ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება როგორც ერთადერთი გამოსავალი.
- ადრეულ ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება. მნიშვნელოვანია მათი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა. ასევე საჭიროა ბავშვთა მოვლის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა შეძლონ სკოლაში ყოფნის განმავლობაში ბავშვის უსაფრთხოდ დატოვება.
- **ახალგაზრდების მიმართ კეთილგანწყობილი და ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის სერვისების შეთავაზება და ჯანდაცვის პერსონალის დამოკიდებულებისა და პრაქტიკის გაუმჯობესება:** საჭიროა ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელთა ტრენინგი სენსიტიურობისა და კონფიდენციალურობის მიმართულებით, რათა მათ მეტი შემწყნარებლობა გამოიჩინონ ქორწინებამდე სქესობრივი ცხოვრების მიმართ. კვლევამ გამოავლინა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დედათა, ახალშობილთა და ბავშვთა ჯანმრთელობას, ხოლო ახალგაზრდა დედები დაცვის უფრო მეტი მექანიზმით სარგებლობენ. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, საგანგებო ყურადღება და რესურსები უნდა დაეთმოს გოგონებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებას ქორწინებამდე (და ალბათ შვილოსნობის ასაკის შემდგომ პერიოდშიც).
- **სოციალიზაციისთვის შინაარსიანი და საინტერესო სივრცეების ხელშეწყობა,** რათა აღმოიფხვრას ნორმები, რომლებიც უკრძალავს ახალგაზრდებს ერთმანეთთან შეხვედრას. სივრცეები დაეხმარება ახალგაზრდებს, არ იგრძნონ თავი იძულებულად დაქორწინდნენ ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილის გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქორწინებამდელ სქესობრივ აქტივობასთან დაკავშირებული ნორმების შესახებ საზოგადოებასთან დიალოგის ხელშეწყობა: ბოლო მონაცემების მიხედვით, 2005-2010 წლებში თითქმის გაორმაგდა ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის მაჩვენებელი (საქართველოს დაავადებათა

კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2012). შეზღუდულ კონტექსტში ძნელია სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ცოდნის მოპოვება. სქესობრივად აქტიური მოზარდების რიცხვის ზრდის ფონზე აუცილებელია, გადაიჭრას ამ სოციალურ ნორმებთან დაკავშირებული პრობლემები. ახალგაზრდულ ცენტრებს შეუძლიათ, უზრუნველყონ ახალგაზრდები და მოზარდები სხვადასხვა მომსახურებით, რათა მათ მოახერხონ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების თავისუფლად გამოყენება. ცენტრებს ასევე შეეძლებათ უზრუნველყონ სივრცე იმ გოგონების სოციალიზაციისთვის, რომლებსაც ქორწინების შემდეგ შეზღუდული აქვთ გადაადგილება. სერვისების მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიც არის სქესი, ეთნიკურობა, ენა და შემოსავლის დონეები.

- **იმ ნორმების შესუსტება, რომელიც ხელს უწყობს ოჯახებში დამკვიდრებული ტიპური გენდერული როლების შენარჩუნებას.** აქ იგულისხმება ნორმები, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში უთანასწორო ურთიერთობების განმტკიცებას და ქალების და კაცების დაყოფას მომვლელებად და მარჩენლებად. იმ მიდგომების გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული ნორმების ტრანსფორმაციას და პოზიტიური დევიანტების მისაბაძ მაგალითებად წარმოჩენას, ეჭვქვეშ დააყენებს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობ ტრადიციულ გენდერულ როლებსა და ნორმებს.

5.3 რეკომენდაციები კვლევისთვის

საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციის დეფიციტის დასაძლევად საჭიროა შემდგომი კვლევა, რომელიც აქცენტს გააკეთებს ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაზე და აგრეთვე მასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და განათლების საკითხებზე. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება კვლავ გამოწვევად რჩება ქვეყნისთვის და, შესაბამისად, აუცილებელია, გაგრძელდეს კვლევა ამ მიმართულებით, რათა განისაზღვროს პროგრამული ღონისძიებების ამოსავალი წერტილები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევა შემდეგი მიმართულებებით:

- **კვლევის შედეგად გამოვლენილი თვისებრივი მიგნებების შემდგომი ანალიზი, საქართველოში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიგნებების ანალიზთან ერთად.** ქვეყანაში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების სრული სურათის მისაღებად აუცილებელია, ჩატარდეს ანალიზი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ რისკები და განვსაზღვროთ დამცავი ფაქტორები. განსაკუთრებით საჭიროა, გაირკვეს, როგორ ეწინააღმდეგებიან ინდივიდები და წყვილები ამ პრაქტიკას, დადგინდეს მათი მისწრაფებები და პოზიტიური დევიანტები, ასევე რა ფაქტორები უწყობს ხელს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების დაყოვნებას და ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნებას. ეს ინფორმაცია ღირებული იქნება მთელი რეგიონისთვის. წინააღმდეგობის ეს ფორმები უნდა განიხილებოდეს იმ სტრუქტურული ძალადობის და უთანასწორობის კონტექსტში, რომელიც გავლენას ახდენს მოზარდების წარსულ, ამჟამინდელ და მომავალ შესაძლებლობებზე.
- **ყოველმხრივი თვისებრივი კვლევის გაგრძელება** მოზარდების ცხოვრების შესწავლის მიზნით. თვისებრივი კვლევა ქმედითი ინსტრუმენტია იმის გასარკვევად, თუ როგორ შეუძლიათ მშობლებს დაეხმარონ მოზარდებს, გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებლები, ასევე გენდერული სოციალიზაციისა და ქორწინებასთან დაკავში-

რებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში დედებისა და მამების როლის დასადგენად. კვლევის შედეგების გამოყენება რეკომენდებულია იმისთვის, რომ პროგრამული ინტერვენციები იყოს კონტექსტზე მორგებული (მაგ. ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს ხარისხიანი სერვისებით უზრუნველყოფას). გარდა ამისა, თვისებრივი კვლევა ასევე უმნიშვნელოვანესია იმ როლის გასაგებად, რომელსაც რელიგია და რელიგიური ლიდერები ასრულებენ მოზარდების ცხოვრებაში.

- **ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავლენის შესწავლა ზრდასრულ ასაკში ინტიმურ პარტნიორთა შორის ძალადობაზე** და რაოდენობრივი კვლევა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და ინტიმურ პარტნიორთა შორის ძალადობას შორის კავშირის შესახებ. შემდგომი კვლევა სასარგებლო იქნება მტკიცებულებების ბაზის შესავსებად იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც გლობალური კვლევები გვიჩვენებს, შესაძლებელია გახდეს უმნიშვნელოვანესი გარდამავალი მომენტი და შესაძლებლობა ინტიმურ პარტნიორთა შორის ძალადობის პრევენციისთვის: ანუ როდის გადადის სასიყვარულო ურთიერთობა თანაცხოვრებაში და როდის იზრდება წყვილის იზოლაცია.
- **ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ინდიკატორების დადგენა შინამეურნეობათა ყოველწლიურ გამოკითხვაში ჩასართავად.** ამჟამად საქართველო ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ინდიკატორების შესახებ მონაცემთა დეფიციტს განიცდის. შესაბამისად, ამ ინდიკატორების ჩართვა მოსახლეობის გამოკითხვაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სურათს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გავრცელების შესახებ. არსებობს გავრცელების შესახებ მონაცემთა გაუმჯობესების მწვავე საჭიროება, განსაკუთრებით, პრობლემის მასშტაბის უკეთ გაგების და, შესაბამისად, ქმედითი რეაგირების მიზნით. მაჩვენებლები ამ პრაქტიკის გავრცელების შესახებ არათანმიმდევრულად გროვდება და ხშირად მოძველებულიც არის, რაც შეიძლება აიხსნას ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხშირად არაოფიციალური ხასიათით და მონაცემთა შეგროვების დროს გამოყენებული სხვადასხვა მიდგომით. ასევე საჭიროა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ მონაცემთა შევსება ქვეყნის ეკონომიკურად სუსტი რეგიონებიდან, რადგან, როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ პრაქტიკის შენარჩუნებას. ქვეყნის მასშტაბის და მოსახლეობაზე დაფუძნებული გამოკითხვები საშუალებას მისცემს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, პრაქტიკოსებსა და მკვლევარებს, მიიღონ სიღრმისეული ცოდნა ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული ტენდენციების შესახებ.
- **ერთი მხრივ, კვლევას და, მეორე მხრივ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საჯარო პოლიტიკასა და პროგრამირებას შორის კავშირის განმტკიცება.** ამ თვისებრივი კვლევის მიგნებები აღრმავებს საქართველოში ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული ცოდნის დონეს და ამავე დროს, მოითხოვს საკითხის შემდგომ შესწავლას და მოქმედებას. შემდგომი კვლევა შესაძლებელს გახდის არა მხოლოდ უფრო ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას და ინტერვენციების განხორციელებას, არამედ პროგრესის გაზომვასაც. ამ ნაბიჯების გადადგმისას მთავრობებმა, ორგანიზაციებმა და თვითონ მოზარდებმა უნდა გაატარონ კონკრეტული ზომები ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თავიდან ასაცილებლად და მისი მავნე ზეგავლენის შესამცირებლად და მხარი დაუჭირონ დამცავ ფაქტორებს ხანგრძლივი თანასწორი და არაძალადობრივი ურთიერთობის დასამყარებლად.

ბიბლიოგრაფია

Abashidze A. 2015. The Phenomenon of Child Brides and its Impact on Georgia's EU Integration Open Society Georgia Foundation. Retrieved from: https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Angarishi_A4_4.pdf

Bajaj, M. 2009. 'I Have Big Things Planned for My Future': The Limits and Possibilities of Transformative Agency in Zambian Schools. Compare 39(4), 551-568.

Bicchieri, C., Lindemans, J. W., & Jiang, T. 2014. A structured approach to a diagnostic of collective practices. Frontiers in psychology, 5, 1-13.

CEDAW. 2012. Consideration of reports submitted by States parties under article 18 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women Combined fourth and fifth periodic reports of States parties Georgia, CEDAW/C/GEO/4-5, CEDAW, New York.

European Centre for Minority Issues (ECMI). 2014. Needs Assessment of Ethnic Minority Women in Georgia. Retrieved from: http://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2014/01/needs-assessment-of-ethnic-minority-women-in-georgia

Girls not Brides. 2017. Ending Early/child marriage Will Help Us Achieve the Sustainable Development Goals: Here's How. Retrieved from: https://www.girlsnotbrides.org/ending-child-marriage-will-help-us-achieve-the-global-goals-heres-how/

Greene, M.E., Perlson, S., Taylor, A. and Lauro, G. 2015. Engaging Men and Boys to Address the Practice of Early/child marriage. Washington, DC: GreeneWorks.

Hotchkiss D., Godha D., Gage AJ, Cappa C. 2016. Risk factors associated with the practice of early/child marriage among Roma girls in Serbia. BMC International Health and Human Rights. 16, 1-10.

International Center for Research on Women (ICRW). 2015. Early/child marriage facts and figures. Retrieved from: http://www.icrw.org/child-marriage-facts-and-figures

Jahan, S., Jesperson, E., et al. 2016. Human Development Report 2016. UNDP, New York.

Jain, S., & Kurtz, K. 2007. New insights on preventing early/child marriage: A global analysis of factors and programs. International Council for Research on Women (ICRW). Retrieved from http://www.icrw.org/docs/2007-new-insights-preventing-child-marriage.pdf

Jones, N., Tefera, B., Stephenson, J, Gupta, T., & Pereznieto, P. 2014. Early marriage in Ethiopia: The role of gendered social norms in shaping adolescent girls' futures. Policy Brief, Overseas Development Institute, London UK.

Miles, M. B., Huberman, A. M., & Saldaña. J. 2014. Qualitative data analysis: A sourcebook, 3rd Edition. Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Murphy-Graham, E. and Leal, G. 2014. Child marriage, agency, and schooling in rural Honduras. Comparative Education Review, 59(1), 24-49.

National Center for Disease Control and Public Health (NCDC). 2016. Health Care Highlights. Tblisi, Georgia.

National Center for Disease Control and Public Health (NDCC). 2010. Reproductive Health Survey. Ministry of Labor, Health and Social Affairs (MoLHSA); National Statistics office of Georgia; Division of Reproductive Health/CDC; UNFPA, USAID, UNICEF., Georgia.

National Center for Disease Control and Public

Health. (NCDC). 2000 Reproductive Health Survey. Ministry of Labor, Health and Social Affairs (MoLHSA); National Statistics office of Georgia; Division of Reproductive Health/ CDC; UNFPA, USAID, UNICEF. Tbilisi, Georgia.

National Center for Disease Control and Public Health. (NCDC). 2005. Reproductive Health Survey. Ministry of Labor, Health and Social Affairs (MoLHSA); National Statistics office of Georgia; Division of Reproductive Health/ CDC; UNFPA, USAID, UNICEF.Tblisi, Georgia.

National Statistics Office of Georgia. 2014. General Population Census. Tblisi, Georgia.

National Statistics Office of Georgia. 2017. General Population Census. Tblisi, Georgia.

Nove, A., Matthews, Z., Neal, S. and Camacho, A.V. 2014. Maternal mortality in adolescents compared with women of other ages: evidence from 144 countries. The Lancet Global Health, 2(3), 155-164.

Peinhopf, A. 2014. Ethnic Minority Women in Georgia – Facing a Double Burden? Working Paper #74. Retrieved from: http://www.ecmi.de/publications/detail/74-ethnic-minority-women-in-georgia-facing-a-double-burden-288/

Public Defender (Ombudsman) of Georgia (PDo). 2016. Early Age Marriages: Challenges and Solutions. Retrieved from: http://www.ombudsman.ge/en/

Raj, A. 2010. When the mother is a child: The impact of early/child marriage on health and human rights of girls. Retrieved from: Archives of Diseases in Childhood, 95, 931-935.

Raj, A. and Boehmer, U. 2013. Girl child marriage and its association with national rates of HIV, maternal health, and infant mortality across 97 countries. Violence Against Women, 19(4), 536-551.

Svanemyr J, Chandra-Mouli, V, Raj, A, Travers, E, Sundaram, L. 201). Research priorities on ending early/child marriage and supporting married girls. Reproductive Health, 12(1), 80.

Taylor, A., Lauro, G., Segundo, M., Greene, M. 2015. 'She goes with me in my boat' Child and Adolescent Marriage in Brazil: Results from Mixed-Methods Research. Rio de Janeiro and Washington DC: Instituto Promundo & Promundo-US. Retreived from: http://promundoglobal.org/resources/she-goes-with-me-in-my-boat-child-and-adolescent-marriage-in-brazil/

UN Women. 2014. Study on the Needs and Priorities of Ethnic Minorities Women in the Kvemo Kartli Region. Tbilisi, Georgia: Institute for Social Studies and Analysis (ISSA), UN Women.

UNDESA 2015. World Population Prospects: The 2015 Revision. New York.

UNDP. 2016. Human Development Report: Georgia. Retrieved from http://hdr.undp.org/sites/all/themes/hdr_theme/country-notes/GEO.pdf

UNFPA. 2012. Marrying Too Young. New York: UNFPA.

UNFPA. 2014. Early/child marriage in Eastern Europe and Central Asia: Regional overview. Tbilisi, Georgia.

UNICEF. 2007. Progress for children. Protecting against abuse, exploitation and violence. Child marriage. Retrieved from http://www.unicef.org/progressforchildren/2007n6/index_41843.htm

UNICEF. 2008. National Study on Violence against Children in Georgia 2007-2008. International Society for Prevention of Child Abuse and Neglect (ISPCAN), PHMDGF, and UNICEF.

UNICEF. 2014. Ending Early/child marriage: Progress and prospects, UNICEF, New York.

United Nations Population Fund (UNFPA). (2014). Child marriage in Georgia: Overview.

Vaitla, B., Taylor, A., Van Horn, J., and Cislaghi, B. 2017. Social Norms and Girls' Well-Being: Linking Theory and Practice. Washington, D.C.: Data2X. Retrieved from: data2x.org/wp-content/uploads/2017/07/Social-Norms.pdf

World Bank. 2011. World Development Report 2012: Gender Equality and Development, World Bank, Washington, D.C.

დანართი 1

ინტერვიუები ჩაიწერა შემდეგი მთავარი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან:

- ✔ საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი
- ✔ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი
- ✔ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი
- ✔ საქართველოს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ასევე გლობალური ქსელის "Girls Not Brides" („გოგონები, არა პატარძლები") წევრი
- ✔ ქართველ მუსლიმთა თემის რელიგიური ლიდერი (მუფტი)
- ✔ აზერბაიჯანელთა თემის მუსლიმი ლიდერი (შეიხი)
- ✔ რელიგიური ლიდერი (მღვდელი) მართლმადიდებლური ეკლესიიდან
- ✔ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი (თანატოლთა განმანათლებელი) კახეთის რეგიონიდან
- ✔ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი კახეთის რეგიონში
- ✔ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი
- ✔ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე
- ✔ სკოლის ექიმი ქვემო ქართლიდან